F
ეროვნული ბიბლიოთეკა

NATO - ICCN

# კავკასიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება

თბილისი
1996 წლის 4-6 ოქტომბერი

## საერთაშორისო კონფერენციის მასალები

ICCN

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა
სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი

ICCN

International Center on Conflict & Negotiation

# DEVELOPING A REGIONAL SECURITY CONCEPT FOR THE CAUCASUS

## FINAL REPORT

*Proceedings of the Workshop Co-Sponsored by*

The North Atlantic Treaty Organization
and
The International Center on Conflict & Negotiation

October 4-6, 1996
Tbilisi, Georgia

*Chairman*
Dr. George Khutsishvili

ICCN

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი

# კავკასიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება

## საერთაშორისო კონფერენციის მასალები

კონფერენციის თანამომწყობები

ჩრდილო ატლანტიკური კავშირი
და
კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის
საერთაშორისო ცენტრი

ჩატარდა თბილისში
1996 წლის 4-6 ოქტომბერს

*თავმჯდომარე*
პროფ. გიორგი ხუციშვილი

ICCN

327.56+327.7

1996 წლის 4-6 ოქტომბერს ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის (NATO) და კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის (ICCN) მიერ ერთობლივად ჩატარდა კონფერენცია "კავკასიისთვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება". 5 ოქტომბერს აშშ ბრაუნის უნივერსიტეტის გლობალური უსაფრთხოების შესახებ პროგრამისა და ICCN-ის მიერ ერთობლივად ჩატარდა სემინარი "ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში: მათი რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე გავლენა".

კონფერენციისა და სემინარის მასალები გამოცემულია აუდიოჩანაწერებისა და კონფერენციის მონაწილეთა მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე.

რედაქტორი
გიორგი ხუციშვილი

შეადგინა
მარია ბარლეტმა

ქართულად თარგმნა
მალვა ფირხაძემ

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა ნატო-ს პრესისა და ინფორმაციის სამსახურის (NATIP), აშშ საინფორმაციო სამსახურების (USIS) დემოკრატიის პროგრამისა და ჯონ და კეტრინ მაკარტურების ფონდის მხარდაჭერით

სატიტულო გვერდის უკანა მხარე იმეორებს ინგლისურენოვანი გამოცემის სატიტულო გვერდს

Copyright © 1997 by ICCN
All Rights Reserved

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონაწილეთა სია

## ნატო

მაიკლ პიტერ ბრეტონი, ვიცე-ადმირალი, დიდი ბრიტანეთის საზღვაო ძალები, ატლანტიკის უმაღლეს სარდლობაში ევროპის წარმომადგენელი (SACLANTREPEUR).

ვერნერ ბაუვენსი, ნატო-ს ინფორმაციისა და პრესის სამსახურში საგარეო ურთიერთობათა ხელმძღვანელი.

იურგენ შულცი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საქმეებში გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის მოადგილე.

უილიამ პირსი, პოლკოვნიკი, აშშ შეიარაღებული ძალები, ნატო-ში საერთაშორისო შეიარაღებული ძალების წარმომადგენლობა.

ნეჩილ ნედიმოღლუ, ნატო-ს პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილე.

ერიკ დე ლაბარტი, თავდაცვის დაგეგმვისა და პოლიტიკის დეპარტამენტი.

## საქართველო

ირაკლი მენაღარიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი.

გიგა ბურდული, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

დავით დონდუა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატო-ს სამმართველოს უფროსი.

გიორგი გვენეტაძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის უფროსი.

მამუკა კუდავა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატო-ს სამმართველოს უფროსის მოადგილე.

კოტე ქლენტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი.

პეტრე მამრაძე, სახელმწიფო მინისტრის პირველი მადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი.

არჩილ გეგეშიძე, პოლიტიკური ანალიზის ჯგუფის ხელმძღვანელი, სახელმწიფო კანცელარია.

გელა ჩარკვიანი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსი, სახელმწიფო კანცელარია.

შალვა ფიჩხაძე, უფროსი სახელმწიფო მრჩეველი, საერთაშორისო დეპარტამენტი, სახელმწიფო კანცელარია.

ირაკლი მაჭავარიანი, პოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგების დარგში პრეზიდენტის წარმომადგენელი - მიმართულების ხელმძღვანელი

ვალერი ჩხეიძე, გენერალი, სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის უფროსი.

გელა ხუციშვილი, პოლკოვნიკი, სასაზღვრო ჯარები.

მანანა ხვედელიძე, მაიორი, სასაზღვრო ჯარები.

რევაზ ადამია, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

კახა ჩიტაია, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

პაატა ზაქარეიშვილი, ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი.

ბადრი ქოჩორაძე, პარლამენტის პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

თინათინ ნარსია, პარლამენტის კვლევითი სამსახურის დირექტორი.

გურამ ნიკოლაიშვილი, გენერალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

ომარ ლეკვეიშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

ჯიმი ჯალიაშვილი, ეროვნული უშიშროების საბჭო.

ავთანდილ იოსელიანი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე.

ზურაბ მიმინოშვილი, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამმართველოს უფროსი.

ლევან ალექსიძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საერთაშორისო სამართლის დარგში მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

ალექსანდრე რონდელი, თბილისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგე.

გია ნოდია, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის დირექტორი.

ნიკოლოზ მელიქაძე, სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორი.

ნაირა გელაშვილი, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის - „კავკასიური სახლის“ დირექტორი.

ირინე სარიშვილი-ჭანტურია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი.

ივლიანე ხაინდრავა, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.

ვახტანგ ხმალაძე, კონსტიტუციის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

გივი ბოლოთაშვილი, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეს-სამსახურის უფროსი.

დინა ალბოროვა, ლტოლვილთა ნორვეგიული საბჭოს ცხინვალის ოფისის უფროსი.

დიმიტრი მედოევი, სოციოლოგიურ და პოლიტიკურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი, ცხინვალი.

გიორგი ხუციშვილი, პროფესორი, კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი.

## სომხეთი

რაფი ოვანესიანი, სომხეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ეროვნული და საერთაშორისო საკითხების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი, ერევანი.

ლევონ ხაჩატრიანი, სომხეთის ელჩი საქართველოში.

ბორის ნავასარდიანი, ერევნის პრეს-კლუბის პრეზიდენტი, ერევანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აზერბაიჯანი

ჰაჯან ჰაჯიევი, აზერბაიჯანის ელჩი საქართველოში.

ელმად ნასიროვი, საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა სამინისტრო.

აკიფ აბდულაევი, საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

არასლი ჯაჰანგირი, პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტრო.

ნადირ ტალიბოვი, თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე, სამხედრო თანამშრომლობის განყოფილების უფროსი.

აიდინ ბალაიევი, საერთაშორისო ექსპერტი.

## რუსეთის ფედერაცია

ფელიქს სტანევსკი, რუსეთის ფედერაციის ელჩი საქართველოში.

ვიქტორ არხიპოვი, საქართველოში მისიის ხელმძღვანელის მოადგილე.

ალექსანდრე იაკოვენკო, რუსეთის საელჩოს პირველი მდივანი.

სტანისლავ ივანოვი, თავდაცვის ატაშე, რუსეთის საელჩო.

## უკრაინა

ანატოლი კასიანენკო, უკრაინის ელჩი საქართველოში.

სერკი აპატოვი, პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ოდესის უნივერსიტეტი.

იური ჩუბაენკო, საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელი.

ევგენი მაროვი, ევროპული რეგიონული თანამშრომლობის დარგში პირველი მდივანი, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თურქეთი

თევფიკ ოქიაიზი, თურქეთის ელჩი საქართველოში.

ახმედ რიზა დემირერი, თურქეთის საელჩოს პირველი მდივანი.

## ისრაელი

ლილი ხახამი, ისრაელის ელჩი საქართველოში.

## საბერძნეთი

ტასოს კრიეკუკისი, საბერძნეთის ელჩი საქართველოში.

## საფრანგეთი

ბერნარ ფასიე, საფრანგეთის ელჩი საქართველოში.

მიშელ ბოკოზი, ვენაში საფრანგეთის მისიის პირველი მდივანი, CFE–ის ექსპერტი.

სოფია კლემენტე, ექსპერტი, დასავლეთ-ევროპული უნივერსიტეტი, პარიზი.

## დიდი ბრიტანეთი

სტივენ ნეში, დიდ ბრიტანეთის ელჩი საქართველოში.

ჩარლზ ბლენდი, პოლკოვნიკი, სამეფო სამხედრო აკადემიის კონფლიქტების შემსწავლელი კვლევითი ცენტრის (CSRC) უფროსის მოადგილე.

ჯორჯ გრეგორი, ექსპერტი, CSRC.

რ.მ. კადოუ, ვიცე-პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამერიკის შეერთებული შტატები

უილიამ კორტნი, აშშ-ს ელჩი საქართველოში.

ლოურენს კერი, მისიის ხელმძღვანელის მოადგილე.

მოლი ო'ნილი, აშშ-ს საელჩოს პირველი მდივანი პოლიტიკურ დარგში.

ჰენრი ვუსტერი, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარგებში.

ერიკ შულცი, აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელი პოლიტიკურ და ეკონომიკურ დარგებში.

ჯეიმს ჰოუკროფტი, ვიცე-პოლკოვნიკი, აშშ-ს საელჩოს სამხედრო ატაშე.

მაიკლ ბოსარტი, აშშ-ს საელჩო აზერბაიჯანში.

როჯერ რადკლიფი, გენერალი, ეუთო-ში ამერიკის გაერთიანებული შტაბების კომიტეტის წარმომადგელობის მეთაური.

გრეგორი გოვანი, ბრიგადის გენერალი, ეუთო-სთან მოლაპარაკებათა ხელმძღვანელი აშშ-ს მხრიდან (შეიარაღების კონტროლისა და განიარაღების სააგენტო).

ჯონ კიბიტსი, აშშ-ს წარმომადგენლობა ვენაში.

ტერენს ჰოპმანი, პროფესორი, ბრაუნის უნივერსიტეტში ჯ. უოტსონის სახ. საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის განვითარების ცენტრის დირექტორი.

სტივენ შენფილდი, უოტსონის ინსტიტუტის პროფესორი.

დომინიკ არელი, უოტსონის ინსტიტუტის პროფესორი.

## გერმანია

ნორბერტ ბაასი, გერმანიის ელჩი საქართველოში.

იურგენ ბეიხე, საქართველოში გერმანიის საელჩოს სამხედრო ატაშე.

ინა ლეპელი, საქართველოში მისიის ხელმძღვანელის მოადგილე.

დიტრიხ შპერლინგი, გერმანიის ბუნდესტაგის წევრი.

ალბრეხტ შნაბელი, ცენტრალური ევროპული უნივერსიტეტი, ბუდაპეშტი.

## გაერთიანებული ევროპა

დენის კორბოი, გაერთიანებული ევროპის ელჩი.

## ჰოლანდია

ტეო მიიეუვისი, საქართველოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის თავმჯდომარე.

## ეუთო-ს მისია საქართველოში

პიტერ ბოდენი, ელჩი, მისიის ხელმძღვანელი.

ალექსანდერ ბაიჩოროვი, პროფესორი, მისიის თანამშრომელი.

მიხაი გრიბენჩა, მისიის თანამშრომელი.

## გაერო-ს მისია საქართველოში

ლივიუ ბოტა, საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი.

## მოწვეული სტუმრები და დამკვირვებლები

ალის ჰილი, ჯონ და კეტრინ მაკარტურების ფონდის მოსკოვის ოფისის ასოცირებული დირექტორი.

რობერტ მური, აზერბაიჯანის ნავთობის საერთაშორისო კომპანია.

მარია ბარლეტი, სახელმწიფო მრჩეველი, საერთაშორისო დეპარტამენტი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარია.

ვალერი ვაშაკიძე, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი.

დარიუს კენაიატა ელისი, საქართველოსათვის პროგრამის დირექტორი, აშშ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი.

ჰანრი კამია, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი, პარიზი.

ტობი ლანცერი, გაერო-ს ჰუმანიტარული დეპარტამენტის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი.

ირაკლი მჭედლიშვილი, მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

გიორგი თარხან-მოურავი, გაერო-ს მისია საქართველოში.

ნოდარ ნათაძე, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნინო ლილუაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ხათუნა გიორგაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ეკატერინე ქრისტესაშვილი, პოლიტიკური ანალიზის ჯგუფი, სახელმწიფო კანცელარია.

ნატალია უბილავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

## ICCN-ის თანამშრომლები

გიორგი ხუციშვილი, დირექტორი.

ეკა ახალკაცი, პუბლიკაციების მენეჯერი.

ნარინა კაზაროვა, კომპიუტერი/კომუნიკაციები.

თეო კანდელაკი, დირექტორის თანაშემწე.

ანა პაპლიაშვილი, ინფორმაციის მენეჯერი.

ნინო ციხისთავი, დირექტორის თანაშემწე.

## ICCN-ის დროებითი თანამშრომლები

თამუნა ციხისთავი, მდივანი.

გიორგი ქიქნაძე, მძღოლი.

საშა ოგანეზოვი, მძღოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესავალი

## მშვიდობიანი კავკასიისათვის

### კონფერენციის „კავკასიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება" ზოგადი მიმოხილვა

*გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი*

---

პოსტ–საბჭოეთის რუკაზე ცხელ წერტილებს შორის კავკასიის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უკავია. უკანასკნელ წლებში ის იმგვარად გამოიყურებოდა, თითქოს სხვა არაფერია, თუ არა ეთნიკური ომების, მაღალი და დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებისა და სოციალური დაძაბულობის ზონების ერთობლიობა. მთიან ყარაბაღში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და ინგუშეთში აშკარად გაჭიანურებული კონფლიქტების მიუხედავად კავკასია მსოფლიოს პოლიტიკური სპექტრის განაპირა რეგიონი იყო მანამ, სანამ აშკარა არ შეიქნა ამ მხარის ჭეშმარიტად ფეთქებადი პოტენციალი: ა) ომი ჩეჩნეთში, რომელმაც თავისი ინტენსივობით და უმოწყალობით გააოგნა მსოფლიო და ბ) კასპიის ნავთობის საკითხმა გავლენა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკის პრიორიტეტებზე და ამის გამო, ირიბად ხელი შეუწყო ჩეჩნეთის ომის შეწყვეტას.

დიდი ხანია ცხადი იყო, რომ იმის განსაზღვრის გარეშე, თუ რეგიონში მთავარ "მოთამაშეებს" რა მიაჩნიათ თავის აუცილებელ სტრატეგიულ ინტერესებად, შეუძლებელია ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა კავკასიაში. კავკასიის სამ სახელმწიფოს – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობა ყოველთვის ნომერ პირველ საკითხად აღიქმებოდა. ამ პირობებშიც, ამ საბოლოო მიზანს სამივე სახელმწიფოში სხვაგვარად უდგებოდნენ. საქართველოს პირველი პოსტ–კომუნისტური ეთნონაციონალისტური ხელმძღვანელობა ცდილობდა რეგიონის ძირძველი ერებისათვის "კავკასიური სახლის" შექმნის იდეის წამოყენებას, რაც სრულიად უგულებელყოფდა რუსეთის ინტერესებს.

თითქმის ყველა პოსტ–საბჭოთა სახელმწიფოში ეთნონაციონალისტური რეჟიმების წარუმატებლობით აღინიშნა ეროვნული მიზნებისა და პერსპექტივების რაციონალიზაციის ახალი ეტაპი. საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რამდენჯერმე სცადა რეგიონში მოსახლე ყველა ერისა და ეთნიური ჯგუფის სიახლოვისა და ინტერესთა თანხვედრის რაციონალურ საფუძველზე დამყარებული მშვიდობიანი კავკასიის იდეის წამოყენება, რომელიც, ასევე, თანხვდებოდა მეზობელი დიდი სახელმწიფოების სასიცოცხლო სტრატეგიულ ინტერესებს. ერები და ხალხები, რომლებსაც ასეთი ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოუწიათ თანაცხოვრება და ამის გამო ბევრი რამ აქვთ საერთო, უფრო ადვილად უნდა იქცნენ პარტნიორებად დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშენებლობისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის საქმეში. და მაინც, აფხაზეთისა და ყარაბაღის მოუგვარებელი პრობლემები და, განსაკუთრებით, ომი ჩეჩნეთში ცხადყოფენ, რომ კავკასიის პრობლემებისადმი რუსეთის "რაციონალური მიდგომის" მატერიალიზებამდე ჯერ კარგა ბევრი დროა დარჩენილი.

ნატო-მ, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძლიერმა და წარმატებულმა თავდაცვითმა ალიანსმა, ეროვნული უშიშროების კონცეფციების შემუშავებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიის თეორიულ კვლევებში, განვითარებასა და პრაქტიკულ განხორციელების დარგში უდიდესი გამოცდილება დააგროვა იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც უკიდურესად საჭიროებენ მათ. მისი პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის უკვე იქცა პოსტ–კომუნისტურ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებისა და თანამშრომლობის ეფექტურ ინსტრუმენტად. საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლია კონსტრუქციული როლი შეასრულოს მთელს პოსტ–საბჭოთა კავკასიაში კონფლიქტების მოწესრიგების, მშვიდობის დამკვიდრებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობისათვის. საქართველოსა და კავკასიის სხვა სახელმწიფოებისთვის გადაჭარბებული ფუფუნება იქნებოდა ნატო-ს გამოცდილებისა და მის მიერ შემოთავაზებული თანადგომის უგულებელყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მარცხნიდან მარჯვნივ: ქ-ნი ალის კილი, ბ-ნი იურგენ შულცი, ბ-ნი გიორგი ბეჟნებაძე, ელჩი ბილ კორტნი, დ-რი გიორგი ხუციშვილი, ალმ. მაიკლ ბრებონი, ბ-ნი ვერნერ ბაუვსი, გენ. გრეგორი გოვენი, ბ-ნი ფატრის მაერლინგი

1997 წლის თებერვალში ნატო-ს გენერალური მდივნის დოქტორ ხავიერ სოლანას ჰოსტ–საბჭოთა სახელმწიფოებში ვიზიტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ნატო-ს მტკიცე განზრახვა, განავითაროს ჩვენთან თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლო საფუძველზე, რომელ "გარიგებამიც" ჩვენი წვლილი იქნებოდა სამშვიდობო ოპერაციებში სტაბილური თანამშრომლობა, დემოკრატიული საზოგადოებისა და კანონის უზენაესობისაკენ სვლის შეუქცევადობის უზრუნველყოფა. ბ–ნ სოლანასთან შეხვედრისას პრეზიდენტმა შევარდნაძემ ბრძანა: "ევრაზიულ სივრცეში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესები არ არის მიმართული რეგიონის რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ და ემსახურება უნივერსალური უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ყველა ქვეყნისათვის მისაღები ფორმით". პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მათი ხანგრძლივი და შორს გამიზნული საუბარი მხოლოდ ადასტურებს ამ პოზიციას.

1996 წლის მარტში თბილისში უკვე გაიმართა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის ეგიდით და ნატო-ს თანასპონსორობით გამართული პირველი სემინარი, რომლის თემა იყო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება საქართველოსთვის. მას შემდეგ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოკვეთა ეროვნული უსაფრთხოების საკითხების რეგიონულ კონტექსტში განხილვის დაჩქარების აუცილებლობა. ამიტომაც, აუცილებელი გახდა უფრო ფართო მასშტაბის სემინარის მოწყობა, ნატო-ს უფრო აქტიური მონაწილეობით, რომელიც მოიცავდა ურთიერთდამოკიდებულ საკითხთა უფრო ფართო სპექტრს.

ნატო-სა და კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა საერთაშორისო ცენტრის გაერთიანებული სემინარის „კავკასიისთვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება" 1996 წლის ოქტომბერში მოწყობის მიზეზი მრავალია. კავკასია არის აქ მოსახლე ხალხების კულტურათა, მიდგომათა, ცხოვრების წესთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა. თუ ამას ყურადღება არ მიექცა, მსოფლიო საზოგადოებრიობა ვერ შესძლებს დაეუფლოს ჩვენი სადაო საკითხებისა და კონფლიქტების მოგვარებაში. უფრო მეტიც, სულ უფრო ცხადი ხდება,

რომ კავკასიის ერებს არ შეუძლიათ თავიანთი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების განვითარება მათი უფრო ფართო, რეგიონული უსაფრთხოების ასპექტში განხილვის გარეშე. როდესაც ვქმნით პირობებს იმისათვის, რომ აზერბაიჯანელები და სომხები ერთ მაგიდასთან დასხდნენ და მედიატორის როლი გავწიოთ რეგიონულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მათი საერთო პრობლემების განხილვაში, ამით ჩვენ ასევე ხელსაყრელ ატმოსფეროსაც ვქმნით, რათა მოიძებნოს მთიანი ყარაბაღის ანკლავთან დაკავშირებული გაჭიანურებული დავის ასე სასურველი გადაწყვეტილება. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ საშინაო კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, და არა პირიქით, ვინაიდან ისტორია ცხადყოფს, რომ, საზოგადოდ, შიდაპოლიტიკური კონფლიქტების შინაური საშუალებებით გადაწყვეტა შეუძლებელია და მოითხოვს საერთაშორისო დონეზე ჩარევას. ეს უკანასკნელი საჭიროებს სხვადასხვა ქვეყნებში შესაბამის ორგანიზაციებს შორის უკუკავშირსა და კონსულტაციებს.

ამ სემინარის ძირითადი ამოცანები შემდეგში მდგომარეობდა:

- რეგიონული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში პარტნიორობის – კავკასიისთვის თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროცესის ინიცირება;
- თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს შესაძლო როლის განსაზღვრა რეგიონში ნდობის შექმნასა და კონფლიქტების თავიდან აცილებაში;
- იმის შესწავლა, თუ რა შესაძლებლობებს შეიცავს ნატო-ს პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის მისი წევრი ქვეყნებისთვის ამ პროცესების მართვისა და ხელშეწყობის მიზნით;

სემინარი მიზნად ისახავდა:

- კავკასიის სახელმწიფოებსა და მოსაზღვრე შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის იდეების მნიშვნელოვანი კომპონენტების განსაზღვრა;



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

- იმ საგანგებო გარემოებებზე მსჯელობა, რომლებიც გავლენას ახდენენ პოსტ–საბჭოთა კავკასიის რეგიონისთვის ასეთი კონცეფციის და ასეთი სტრატეგიის შემუშავებაზე;
- საქართველოს პოტენციალისა და იმ ხელმისაწვდომ შესაძლებლობათა განხილვა, რაც მას საშუალებას მისცემდა გადამწყვეტი როლი შეასრულოს ნდობის შექმნასა და რეგიონული კონფლიქტების მოგვარებაში;
- კონკრეტული და კოორდინირებული პროგრამის დასახვა კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციისა და თავდაცვის სფეროში ქმედებათა შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

რაც შეეხება შემოთავაზებულ მეთოდს, მონაწილეთა ჯგუფებში ბრეინ–სტორმინგისათვის წარმოდგენილი იყო ოთხი საკითხი:

1. რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია და მისი გავლენა პროგრამაზე პარტნიორობა მშვიდობისათვის;
2. რუსეთის და თურქეთის წვლილი რეგიონულ უსაფრთხოებაში;
3. ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი;
4. საზოგადოება და რეგიონული კონფლიქტების სამხედრო საშუალებებით შეკავება.

პლენარულ სესიებზე განიხილეს მოცემული ოთხი საკითხი და შემდეგ ჩამოყალიბდა ბრეინსტორმინგის ჯგუფები. ყოველ ჯგუფში შედიოდნენ ქართველი ექსპერტები, რეგიონის სხვა ქვეყნების წარმომადგენლები და დასავლელი ექსპერტები, რომელთა მიზანი იყო ამ სესიაზე განხილული სპეციფიური პრობლემების გადალახვის პრაქტიკული ნაბიჯების დასახვა. შედეგებმა შეადგინეს დასკვნითი პლენარული დისკუსიის საფუძველი, რომლის დროსაც წინასწარ განსაზღვრულმა მომხსენებლებმა შეაჯამეს დისკუსიებისა და ბრეინსტორმინგის შედეგები და საბოლოო წინადადებები ჩამოაყალიბეს მოქმედების კოორდინირებული პროგრამისთვის.

ისე, როგორც დისკუსიებმა საქართველოს პრობლემების ირგვლივ მიგვიყვანეს მათ კავკასიურ კონტექსტში განხილვამდე, ასევე – კავკასიის საკითხები ბუნებრივად მიგვიყვანდა მათ უფრო ფართო კონტექსტში განხილვამდე – ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიასა და ევროპის გარკვეულ ნაწილებზე მოვლენების განვითარების სცენარებამდე. იმ მიზნით, რომ განგვეხილა ეს ბუნებრივი განვითარება, ჩვენ მოვაწყვეთ სემინარი "ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში: გავლენა რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე", რომელიც ერთობლივად იყო ორგანიზებული ბრაუნის უნივერსიტეტის (პროვიდენსი, როდ–აილენდი, აშშ) გლობალური უსაფრთხოების პროგრამისა და კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის მიერ (იხ. *დამატება*). კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი ბრაუნის უნივერსიტეტის პროექტის ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი კოორდინატორია. ამ სემინარზე მონაწილეებს განსახილველად შესთავაზეს პოსტ–საბჭოური განვითარების ოთხი განსხვავებული სცენარი. ბრაუნის უნივერსიტეტისა და კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის სემინარის ყურადღება ძირითადად ფოკუსირებული იყო კავკასიის პრობლემებზე.

კონფერენციაზე სხვა მომხსენებლებთან ერთად, თავის მისასალმებელ გამოსვლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ–ნმა ირაკლი მენაღარიშვილმა და ნატო-ს პრესისა და ინფორმაციის ბიუროს საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა, ბ–ნმა ვერნერ ბაუვენსმა აღნიშნეს, რომ უსაფრთხოების ახალი მოდელის შემუშავებას კავკასიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რეგიონის სახელმწიფოებს მორის არსებული და ჯერ–ჯერობით გადაუწყვეტელი პრობლემების მიუხედავად, არსებობს პრობლემების ერთობლივი გადაჭრის სტრატეგიის შემუშავებისა და მათი კოლექტიური უსაფრთხოების მოდელების კონტექსტუალურ ჩარჩოში წარმოჩენის მზარდი მოთხოვნილება.

მთავარმა მომხსენებელმა, ნატო-ს დელეგაციის ხელმძღვანელმა ვიცე–ადმირალმა მაიკლ პ. გრეტონმა (ევროპის წარმომადგენელი ნატო-ს უმაღლეს გაერთიანებულ სარდლობაში) ყურადღება გაამახვილა რეგიო-

ნული უსაფრთხოების კონცეფციის განსაზღვრაზე და იმაზე, თუ რით განსხვავდება ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისაგან. მან, ასევე, მიმოიხილა საკითხთა ფართო სპექტრი, მათ შორის ნატო-ს ძალისხმევა და სტრატეგია ევროპული უსაფრთხოების შემუშავებაში, ნატო-ს დამოკიდებულება რუსეთისადმი, როგორც კონტინენტის უმნიშვნელოვანესი "ცვლადისადმი".

საქართველოში აშშ–ს ელჩის ბ–ნ უილიამ კორტნის აფხაზეთში, საქართველო, მშვიდობის დამკვიდრების შესახებ მოხსენებაში პირველად იყო ოფიციალურად ჩამოყალიბებული აშშ პოლიტიკა აფხაზეთის სეპარატისტი ლიდერების პოზიციისა და გაჭიანურებული კონფლიქტის საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით მოგვარებისადმი.

სემინარის ყოველი დღე აღსავსე იყო იმის მოლოდინით, რომ ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოება და ამის მიმართ რუსეთის დამოკიდებულების საკითხი ძირითადი იქნებოდა დისკუსიების დროს, ან თუნდაც, თავს წამოყოფდა სხვა მონათესავე საკითხების განხილვისას. თუმცა, საინტერესოა, რომ რუსეთის საკითხს მონაწილეთა ყურადღება სხვა მნიშვნელოვან საკითხების ფონზე არ დაპკლებია და სინამდვილეში დიდი სიფრთხილითაც განიხილებოდა (ფაქტი, რომელიც განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წარმომადგენელმა). რაც შეეხება რუსეთის როლს კავკასიის რეგიონში, ყველაზე იმედი შეიძლება გამოითქვას აშშ პრეზიდენტის ბილ კლინტონის მიერ მოსკოვში პირველი ვიზიტის დროს წარმოთქმული სიტყვებით, რომ რუსეთს "აქვს შანსი დაგვანახოს, რომ დიდ სახელმწიფოს ძალუძს შეინარჩუნოს პატრიოტიზმი ექსპანსიის გარეშე; რომ დიდ სახელმწიფოს ძალუძს შეინარჩუნოს ეროვნული ღირსება ცრურწმენის გარეშე... მჯერა, რომ მომავალში თქვენი სიდიადის საზომი იქნება ის, ძალუძს თუ არა რუსეთს, დიდ მეზობელს, იყოს ასევე კეთილი მეზობელი".

კონფერენციამ და სემინარმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იგი, უდავოდ, წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა კავკასიის პრობლემათა განხილვასთან დაკავშირებით. კონფერენციაზე თხუთმეტმა ქვეყ-

ანამ გამოაგზავნა წარმომადგენელი, აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში აკრედიტებული ელჩები და საერთაშორისო მისიების ხელმძღვანელები, რომლებიც აქტივობას იჩენდნენ მთელი სემინარის მანძილზე. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო კონფლიქტის რეგიონის – სამხრეთ ოსეთის არაოფიციალური წარმომადგენლების დასწრება. დისკუსიის ზოგიერთი მონაწილის შენიშვნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენელთა მონაწილეობა მიზანშეწონილი იქნებოდა, ადასტურებს იმ აზრს, რომ კავკასია, გარკვეული აზრით, პოლიტიკური საზღვრების მიუხედავად, ერთ განუყოფელ სხეულად განიხილება.

ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა და კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის ერთიანი კონფერენცია ახალი ეტაპია ცივილიზებული მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ნორმებისა და ღირებულებებისაკენ მავალი საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახლა ნათელია საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის უსაფრთხოების მზარდი ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის დასავლეთის თანადგომის აუცილებლობა და გასაგებია ნატო-ს სურვილი, დახმარება აღმოუჩინოს პოსტ–საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებულ სახელმწიფოებს მათი სახელმწიფოებრიობის ხელახლა დამკვიდრებასა და\ან ხელახლა შეფასებაში. მაგრამ, შეიძლება დაიბადოს კითხვა და საჭირო გახდეს მცირე განმარტება – გლობალური გავლენის მქონე მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაცია რატომ გამოდის პატარა არასამთავრობო ორგანიზაციის პარტნიორი საქართველოში კონფერენციის მოსაწყობად, და არა, ვთქვათ, საგარეო საქმეთა სამინისტროსი ან პარლამენტის?

სულ უფრო იზრდება იმის შეგნება, რომ საზოგადოებამ ინიციატივა უნდა გამოიჩინოს არა მხოლოდ ჩვენი პრობლემების მართვაში, არამედ იმაშიც, რომ შევთავაზოთ საერთაშორისო დონორებს მათი დახმარების მოწოდებისა და განლაგების ყველაზე კონსტრუქციული და ეფექტური გზები. ამავე დროს, ჩვენს ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც დემოკრატიული მშენებლობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კომპონენტის, როლი ჯერ–ჯერობით ბოლომდე გაცნობიერებული

არ არის. დასავლეთში არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარება, განსაკუთრებით მათი, რომლებიც მუშაობენ ნდობისა და მშვიდობის დამკვიდრებისთვის, დემოკრატიული ტრანსფორმაციისა და კონფლიქტების მოგვარებისთვის, რის შედეგად ვითარდება სახელმწიფოთა შესაძლებლობები, ნორმალური და საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკაა. ამიტომ, ნატო-ს თანასწორი პარტნიორრობის ფაქტი კონფერენციის ორგანიზებისა და ჩატარების საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე ნატო-ს ინფორმაციისა და პრესის ბიუროს (ნატიპ) ფინანსური დახმარება.

სემინარის შედეგად, ახლა ჩვენ მკაფიო წარმოდგენა გვაქვს რეგიონული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რამაც უნდა მიგვაახლოვოს კავკასიის ქვეყნებს შორის მშვიდობის, ურთიერთგაგებისა და ნდობის დამკვიდრებასთან. იმედი გვაქვს, რომ ეს შესავალი და კონფერენციის მასალების ამსახველი დასკვნითი წიგნი, რომლებიც ეფუძნებოდნენ კონფერენციის დროს გამართულ სჯა–ბაასის მიგნებებს, დასაბამს მისცემენ ხანგრძლივ და ნაყოფიერ პროცესს, რომელიც დაიწყო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებით, გადაიზარდა რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციებისა და მოდელების განხილვაში, და საბოლოო ჯამში საერთაშორისო უსაფრთხოების მოდელის შექმნას ემსახურება.

შორს ვარ იმ აზრისგან, თითქოს ეს მოხსენება საკმარისად სრულყოფილად ასახავს როგორც საერთო ატმოსფეროს, ასევე იმას, რაც ითქვა კონფერენციისა და სემინარის ფარგლებში მიმდინარე გამოსვლებისა და დისკუსიების დროს. მოვუწოდებ მკითხველს, განსაკუთრებით სემინარის მონაწილეებს, თავისი მოსაზრებები მოაწოდონ კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრს იმის თაობაზე, თუ რამდენად პასუხობს ეს გამოცემა კონფერენციის ძირითად მიზანს.

დასასრულს, ნება მიბოძეთ ღრმა მადლიერების გრძნობა გამოვთქვა იმ ადამიანებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომელთა დახმარებისა და მეგობრული ზრუნვის გარეშე კონფერენცია ვერ ჩატარდებოდა. უპირველეს ყოვლისა ესაა ნატო-ს ინფორმაციისა და პრესის ბიურო

(ნატიპ), აშშ საინფორმაციო სამსახურის დემოკრატიის პროგრამა, ჯონ დ. და კატრინ ტ. მაკარტურების ფონდი (კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის მთავარი სულისჩამდგმელი) და ბრაუნის უნივერსიტეტი, რომლებმაც ფინანსური დახმარება გაუწიეს კონფერენციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მუდმივი მხარდაჭერა, რომელსაც მე ვგრძნობდი სემინარისა და სამუშაო შეხვედრის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობის დროს ბელგიასა და ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს ელჩის ბატონ ზურაბ აბაშიძის, იმჟამად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატო-ს დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბ–ნ ზურაბ ლომაშვილის, ბრაუნის უნივერსიტეტის გლობალური უსაფრთხოების პროგრამის დირექტორის პროფესორ ტერენს ჰოპმანის, იმჟამად ნატო-ს გენერალური მდივნის აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საკითხებში სპეციალური მრჩევლის მოადგილის ბ–ნ ვოლფგანგ მანიგის, ნატო-ში საქართველოს მეკავშირის ბ–ნ კახა იმნაძის, საქართველოში აშშ-ს საელჩოს თანამშრომლის ქ–ნი მოლი ო'ნილის მხრიდან.

ვინაიდან კონფერენცია ძირითადად ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა, პირველად გამოიცა მასალების ინგლისური ვერსია. მინდა, განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომელს, სახელმწიფო მრჩეველს ქ–ნ მარია ბარლეტს დასკვნითი წიგნის მომზადებაში, მისი ფასდაუდებელი თანადგომისათვის, ისევე, როგორც დახმარებისათვის მთელი კონფერენციის მანძილზე. დიდი მადლიერება მინდა გამოვთქვა წიგნის ქართულად თარგმნისათვის ბ-ნ შალვა ფიჩხაძის მისამართით. უღიდეს მადლობას მოვახსენებ, ასევე, კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებს, რომლებმაც თავდადებით იმუშავეს, რათა მოემზადებინათ და წარმატებით დაესრულებინათ კონფერენცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზოგი რამ კავკასიის უკეთ გასაცნობად

*პროფესორი გიორგი ხუციშვილი*

საყურადღებოა, რომ იმ პრობლემათა დიდ ნაწილს, რომლებიც პოსტ–საბჭოთა კავკასიის წინაშე დგას, შინაგანი მიზეზები გააჩნია და ისინი იარსებებდნენ დიდი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული პოლიტიკის გარეშეც. პოსტ–ტოტალიტარიზმიდან გარდამავალი პერიოდის უცილობელ პრობლემებთან ერთად, ეს მოიცავს ეთნიური ფსიქოლოგიისა და ეროვნული კულტურების როლს, განსაკუთრებით კავკასიური ღირსების "კოდის" მსგავს ტრადიციებს.

ჩეჩნეთის ომმა გამოააშკარავა კავკასიურის მსგავსი კონფლიქტების სპეციფიური თვისებები: კონფლიქტების უმეტესი მონაწილის მითოლოგიზირებული ეროვნული ამბიციები (სინდრომი *დავითი – გოლიათის წინააღმდეგ*), გადაზრდილი საკუთარი თავის მსხვერპლად წარმოჩენაში (ვიქტიმიზაცია), რასაც ავტონომიურობის გამძაფრებული, თვითიზოლაციონიზმში გადაზრდილი შეგრძნება ემატება. ყველა ამ თვისებას 1864 წლის, ანუ 130 წლის შემდეგ მას მერე, რაც რუსეთმა დაასრულა კოლონიალური ექსპანსია კავკასიის მიერთების მიზნით, განვითარების ფართო სივრცე ჰქონდათ. თვით რუსეთში მზარდმა იმედგაცრუებამ, გადაღლილობამ და ცენტრიდანულმა ტენდენციებმა იძულებითი რეინტეგრაციის საკითხს დროებით დააკარგვინეს პრიორიტეტულობა იმ დონემდე, რომ მოძმე ჩრდილო კავკასიელებისგან, რომლებიც მონდომებით იბრძოდნენ აფხაზეთის საქართველოსგან დამოუკიდებლობისათვის, ჩეჩნებს შესამჩნევი დახმარება არ მიუღიათ. ჩრდილოეთ კავკასიის არარუსი მოსახლეობა, რომელიც ჩუმ სიმპატიას განიცდის ჩეჩნების მიმართ, ახლა ორადაა გაყოფილი: ადამიანებად, რომლებიც შეურიგდნენ თავიანთი მიწის რუსეთის ნაწილად ხილვის იდეას და ცდილობენ არ გაირთულონ თავიანთი მომავალი რუსეთში და ადამიანებად, რომლებიც კვლავაც საზრდოობენ იმ იდეით, რომ ოდესმე მოიპოვებენ დამოუკიდებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კავკასია - ყოფილი საბჭოთა კავშირის ძალზე მრავალფეროვანი მრავალეთნიური მხარე, განლაგებული შავ და კასპიის ზღვებს შორის და აკავშირებს რუსეთს ახლო აღმოსავლეთთან. მისი სტრატეგიული, კულტურათაშორისი და რელიგიათაშორისი მდგომარეობა ისტორიულად აქცევდა რეგიონს მრავალი ომისა და სისხლისმღვრელი კონფლიქტის წინა ხაზად. რეგიონი, რომელშიც მე-19 საუკუნიდან რუსეთი დომინირებდა, საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – საქართველოდ, სომხეთად და აზერბაიჯანად დაიშალა. საქართველო, ტრადიციულად მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანა და ზომიერად მაჰმადიანური აზერბაიჯანი აშკარად მრავალეთნიური სახელმწიფოებია სომხეთისგან განსხვავებით, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობს და მხოლოდ ხმელეთითაა შემოსაზღვრული.

უფრო მცირე კავკასიური ეროვნებები, როგორებიცაა ჩეჩნები, ინგუშები, ადიღები, ლეკები, ჩერქეზები, ბალყარელები, ავარლები (მათგან შედარებით განცალკევებით დგანან ოსები ანუ ალანები) გაცილებით მეტად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, ვიდრე სამი ძირითადი კავკასიური ერი. ისინი რუსეთის ფედერაციის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილებად დარჩნენ მეტნაკლებად დაცული ავტონომიის ხარისხით. რუსეთის ჩრდილოკავკასიური ავტონომიური რეგიონების (რომლებიც საქართველოდან და აზერბაიჯანიდან კავკასიის მთავარი ქედით არიან გამოყოფილი) ეროვნული თვითშეგნება ასევე სწრაფად იზრდება და ამ პროცესს, ცხადია, წინ მიუძღვება ჩეჩნეთი, რომელიც კვლავაც ჩართულია სათუო ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის რუსეთის ფედერაციისგან.

პოსტ–საბჭოთა სივრცეში თითქოსდა მარგინალური მდებარეობის მიუხედავად, საქართველოსა და აზერბაიჯანში სამოქალაქო ომებისა და გადატრიალებებისა და მთიანი ყარაბაღის ანკლავისათვის სომხეთ – აზერაიჯანის ომის (ყველაზე გაჭიანურებული კონფლიქტი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე), აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ინგუშეთში და ჩეჩნეთში მიმდინარე მაღალი ინტენსივობის კონფლიქტების გამო კავკა-

სიამ მრავალჯერ დაიმსახურა შეშფოთებული საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება. 1994 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც ელცინის ადმინისტრაცია შეეცადა ზეწოლა მოეხდინა ყოფილ საბჭოთა ავიაციის ამბოხებულ გენერალზე, ჩეჩნეთის თვითმარქვია სახელმწიფოს პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევზე (აწ გარდაცვლილზე), რათა აეძულებინა ის გადამდგარიყო და ეცნო რუსეთის იურისდიქცია ჩეჩნეთში, ეს უკანასკნელი კონფლიქტი გადაიზარდა ღია შეიარაღებულ კონფრონტაციაში რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. 1994 წლის დეკემბერმა პირველად დაგვანახა ავღანეთის ომის ტიპის გაჭიანურებული საერთოკავკასიური ომის რეალური პერსპექტივა რუსეთის მონაწილეობით, რომელსაც კატასტროფული შედეგი ექნებოდა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობისთვის და განუჭვრეტადი – საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის.



საქართველო, თავისი წინარუსული ისტორიის უკეთეს პერიოდებში ცენტრალურ და წამყვან როლს ასრულებდა კავკასიაში, კავკასიის სხვა სახელმწიფოებზე მეტად იხრებოდა და მეტალაც იყო დაკავშირებული ევროპასთან. თუმცა, როგორც 1990–92 წლების პოსტ–საბჭოურმა მოვლენებმა დაგვანახეს, საქართველოც მგრძნობიარე აღმოჩნდა უკიდურესი ეთნო–ნაციონალიზმისა და ქარიზმატული ლიდერების დემაგოგიისადმი (შემდგომში ამ პერიოდს პრეზიდენტმა შევარდნაძემ "პროვინციული ფაშიზმი" უწოდა).

საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებულია პოსტ–საბჭოთა სახელმწიფოებს შორის, ვინაიდან ითვლებოდა, რომ საბჭოთა პერიოდშიც კი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ამ ქვეყანაზე ოფიციალურ იდეოლოგიასა და თავსმოხვეულ მსოფლმხედველობას ყველაზე ნაკლები გავლენა ჰქონდა. საქართველოს, ბალტიის სახელმწიფოებთან ერთად, იცნობენ, როგორც ქვეყანას, რომელმაც დასაბამი მისცა იმპერიის დანგრევას. თუმცა, ქართულმა ფსიქოლოგიურმა და კულტურულმა თვითწარმოდგენამ, რომელიც მას გამოარჩევდა, თუნდაც, საბჭოთა ცენტრალური აზიისგან, დამოუკიდებლობის ქართულ გზაზე მეტი ტკივილი და სირთულე აღმართა, ვიდრე ბალტიისპირეთისა; ქართველებს მოუხდათ საქმე ჰქონოდათ ინტრა–ეთნიურ კონფლიქტებთან, რომლებიც (ტაჯიკეთის გარდა) ძალზე უცხო იყო ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისთვის. უფრო ზოგადად, ამის ახსნა შეიძლება, თუკი მხედველობაში მივიღებთ, როგორც კლასიკური და თანამედროვე ნაციონალიზმის საერთო ტენდენციებს, ასევე პოსტ–საბჭოური საქართველოს ნაციონალიზმის დამახასიათებელ ნიშნებს.

უსამართლობა იქნებოდა, თუკი არ აღვნიშნავდით თვალნათელ სტაბილიზაციას საქართველოში მას შემდეგ, რაც 1993 წლის მიწურულიდან ამ ქვეყანამ დაუთმო რუსეთის ზეწოლასა და ფაქტობრივ პოლიტიკურ ზედამხედველობას, მას შემდეგ, რაც ჩაიშალა რუსეთის შუამავლობით აფხაზეთის თაობაზე წარმოებული მოლაპარაკებები და, კვლავ რუსეთის დახმარებით, აფხაზეთი ჩამოშორდა საქართველოს. თუკი ახლა საქართველოში შეეკითხებით ქუჩაში გამვლელს, რა პრობლემა უნდა მოგვარდეს უპირველეს ყოვლისა, რათა ქვეყანამ დაიწყოს გაჯანსაღება, ყველაზე ალბათურია, რომ ახსენებენ აფხაზეთს და არა გაჩანაგებულ ეკონომიკას.

აფხაზეთის რესპუბლიკის გამოყოფის მოსურნე ხელმძღვანელობასთან გაჭიანურებული კონფლიქტი აღინიშნა აფხაზთა (რომელთა რიცხვია 80 000) მხრიდან ეთნიური შეუწყნარებლობის საგრძნობი დონით ქართველთა მიმართ, რომელიც არ შეწყვეტილა მას შემდეგაც კი, რაც ეთნიური ომის შედეგად (რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოდან 1993 წლის 27 სექტემბრამდე გაგრძელდა) 250 000 –ზე მეტი ქართველი განდევნეს აფხაზეთიდან.

ბევრს დავობენ რუსეთის მონაწილეობაზე პოსტ–საბჭოთა ეთნო-პოლიტიკურ კონფლიქტებში, რომელსაც თვით რუსი ოფიციალური პირები მუდამ ხსნიდნენ, როგორც ამ რესპუბლიკებში ნაციონალისტების კონსპი-რატორული აკვიატებული აზრებით ინსპირირებულს და როგორც დასავ-ლეთის პრესის სპეკულაციებს. მაგრამ, დასავლეთისთვის ნაკლებადაა ცნობილი ის, რომ კავკასიის კონფლიქტების არსებული სურათი (სეპარა-ტისტული ომები საქართველოს რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, აზერბაიჯან–სომხეთის ომი მთიანი ყარაბაღის ანკლავის გამო, სიტუაცია გამოყოფის მოსურნე ჩეჩნეთში, ეთნიური შეჯახებები ინგუშებსა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიებს შორის) მეტწილად შექმნა და მსოფლიოს მოსდო რუსეთის ტელევიზიამ – ერთადერთმა ყოვლისმომ-ცველმა დომინირებულმა ძალამ პოსტ–საბჭოთა საინფორმაციო სივრცეში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის დისკუსიას მასობრივი ინფორმა-ციის საშუალებების როლზე ეთნიური და სოციალური კონფლიქტების ესკალაციის ან გადაჭრის საკითხში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე მთელი მსოფლიო კავკასიის რეგიონს რუსეთისგან ვერ არჩევდა. საბჭოთა კავკასიელებს ყოველი უცხოელისთ-ვის უნდა აეხსნათ, რომ ისინი წარმოადგენენ კულტურას და ლაპარაკობენ ენაზე, რომელიც განსხვავდება რუსულისგან და რომ მათ ჰქონდათ ადრეული სახელმწიფოებრიობის ისტორია. რეგიონში დასავლეთიდან ჩამოსული ახალი ამბების კორესპონდენტებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ანალიტიკოსებზე, რომლებმაც არ იცოდნენ ადგილობრივი ენები და ძალიან ცუდად იცნობდნენ ადგილობრივ სიტუაციას, ძირითადად ვითარებაზე მსჯელობდნენ და განწყობილნი იყვნენ იმისდა მიხედვით, თუ რას უყ-ურებდნენ მოსკოვის ტელეპროგრამებით. და მათ ძნელად თუ წარმოედგ-ინათ სუბიექტურობის ის დონე, რომლითაც შეიძლებოდა მომზადებულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტების ამსახველი მასალები, პირდაპირი რეპორტაჟები თუ კომენტარები.

იბადება ბუნებრივი შეკითხვა – რატომ შეიძლებოდა რუსეთის სახელმწიფო დაინტერესებული ყოფილიყო ეთნიური კონფლიქტებით მანიპულაციითა და მათი გართულებით მოსაზღვრე ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებში, თუ გავითვალისწინებთ მათ სახიფათო სიახლოვეს რუსეთთან და არასტაბილურ მდგომარეობას ამ მსოფლიოში (ჯერ კიდევ!) უდიდეს სახელმწიფოში? სწორ პასუხს მაშინ მივაგნებდით, თუკი განვარჩევდით იმ ძალებს, რომლებიც ოფიციალურად განსაზღვრავენ რუსეთის სამხედრო სტრატეგიას იმ ძალებისგან, რომლებიც ჭეშმარიტად განსაზღვრავენ მას. რაციონალური არჩევანის თეორიიდან გამომდინარე არ შეიძლება დავუშვათ, რომ მთელი ამ გართულებული სურათის მიღმა მხოლოდ ერთი მოთამაშე არსებობს. უფრო რაციონალურია, დავუშვათ, რომ სამხედრო და უშიშროების აპარატებში, საკანონმდებლო სტრუქტურებში მომუშავე და ერთნაირად განწყობილ პირთა ერთობლიობის სინერგია, მათ ამომრჩეველთა შორის გაბატონებულ გრძნობებზე გამრავლებული, არის იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლებოდა ყოველივე ეს მომხდარიყო..

აქ ჩნდება მეორე ბუნებრივი შეკითხვა: რატომ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ყოფილ რუსეთის დომინიონებთან დასავლეთის თავდაცვითი ალიანსის კავშირების გაძლიერებას ქვეყანა, რომელიც აღარ წარმოადგენს გლობალური ექსპანსიის იდეოლგიას და რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკასა დ კულტურაში დასავლეთის სტანდარტებისკენ მოძრაობას?

ნატო-ს გაფართოების მიმართ რუსეთის გაუნელებელი წინააღმდეგობის მიუხედავად ერთი რამ ცხადზე ცხადია. ის, რომ საბოლოო განტოლებაში კავკასია აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული.

# გამოსვლები გახსნის ცერემონიალზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ბ-ნი ირაკლი მენაღარიშვილი,*
*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი*

დიდი მადლობა, ბ–ნო თავმჯდომარე,

უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ მივესალმო მონაწილეებს და მადლობა მოვახსენო კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრსა და ნატო-ს ამ მეტად მნიშვნელოვანი ფორუმის ორგანიზაციისათვის. იმედი მაქვს, ის ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაღრმავებას, ურთიერთგაგებას და, ამაზე დაყრდნობით, გააძლიერებს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში.

"ცივი ომისა" და ბლოკური კონფრონტაციის დასრულების შემდეგ კავკასია მრავალი სახელმწიფოს, მხარისა თუ ძალის ინტერესთა გადაკვეთის ადგილად იქცა. კავკასიაში განვითარების ისტორიული გზების სხვადასხვაობის, ეთნიური, რელიგიური, ფსიქოლოგიური და კულტურული განსხვავებისა, და რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოების, სახელმწიფოსა და სახელმწიფო სტრუქტურების პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა მახასიათებლების მიუხედავად, ის ყოველთვის წარმოადგენდა ერთგვაროვან სხეულს. ის ასეთია და მომავალშიც ასეთად დარჩება.

კავკასიაში დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოების არსებობის მიუხედავად, ჩვენ არ შეგვიძლია ერთმანეთისგან იზოლირებული ვიყოთ. ამავე დროს, დამოუკიდებლობის მოპოვების ადრეულ სტადიაზე იზოლაციონიზმისაკენ გადახრა სჭარბობდა. ეს ეხებოდა არა მხოლოდ ჩვენს რეგიონს, არამედ მთელს პოსტ-საბჭოთა სივრცეს. ხანდახან ეს დეზინტეგრაციული პროცესები სისხლისმღვრელ კონფლიქტებსაც კი იწვევდა. მაგრამ, ჩვენ რწმენას გვმატებს ის ფაქტი, რომ დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს იმას, რომ რეგიონის ჰარმონიული განვითარება

დამოკიდებულია ჩვენს წინაშე წამოჭრილი პრობლემების გადალხვისკენ მიმართულ რეგიონში მცხოვრები ყველა მხარის გაერთიანებულ ძალისხმევაზე.

უდიდესი კმაყოფილებით ავღნიშნავ, რომ საქართველოში მკაფიოდ ესმით რეგიონში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური საკითხებისა და უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრისადმი რეგიონული მიდგომის აუცილებლობა. ეს მიდგომა მძლავრ არგუმენტს წარმოადგენს პრეზიდენტ შევარდნაძის *მშვიდობიანი კავკასიის* ინიციატივის სასარგებლოდ და ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას აყალიბებს. ჩვენთვის იმპერატიულია ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა კავკასიას ერთიან რეგიონად განიხილავს და ჩვენ ყველას უნდა ვაჩვენოთ, რომ რეგიონის ქვეყნები თანამშრომლობისათვის მოწადინებულნი არიან. ცხადაა, ეს მნიშვნელოვანი და რთული ამოცანაა.

რეგიონის სახელმწიფოების მიდგომებში ჯერ–ჯერობით კიდევ რჩება ბევრი სიღრმისეული განსხვავება და წინააღმდეგობებიც კი. მაგრამ, მოდით დღევანდელ დღეს ამ პრობლემების ფონის საწინააღმდეგოდ, დავიწყოთ ერთობლივად ფიქრი ჩვენს საერთო მომავალზე. იმედი გვაქვს რა, რომ მუშაობის ეს მიმართულება წარმატებული იქნება, დარწმუნებულნი ვართ, რომ დღევანდელი დღიდან დაწყებული, არსებული განსხვავებები ვერ დაჯაბნიან საერთო ინტერესებს. რომ ამ ერთობისკენ, თანამშრომლობის შესაძლებლობის განხორციელებისკენ მიმართული ჩვენი მისწრაფებები ერთადერთი სწორი არჩევანია, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი რეგიონის ხალხების ბედნიერი მომავალი.

ასევე ძალზე მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ საერთაშორისო არენაზე გაერთიანებული მოქმედებით, როგორც ერთი მთლიანი, ჩვენ ასევე გავუმარტივებთ ამოცანას საერთაშორისო თანამეგობრობას, ჩვენს მეგობრებს, რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ გასაჭირში. ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი მეზობლები, ისევე როგორც სახელმწიფოები, რომლებსაც ძალუძთ და რომლებმაც უნდა მოახდინონ რეალური გავლენა სიტუაციაზე რეგიონში, სულ უფრო მეტად აცნობიერებენ ამას.

*მშვიდობიანი კავკასიის* ინიციატივას მხარი დაუჭირეს რუსეთმა, თურქეთმა, უკრაინამ, ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა ლიდერებმა და სწორედ ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს. იმედი მაქვს, ეს წარმომადგენლობითი ფორუმი შექმნის რეგიონული უსაფრთხოების მოდელს, რომელსაც შეეძლება და რომელიც უნდა იქცეს კიდეც მოდელად პლანეტის მრავალი სხვა რთული რეგიონისთვის და ამით თავის წვლილს შეიტანს რეგიონში მშვიდობის დამყარებასა და უშიშროების განმტკიცებაში.

დღეს, ვმსჯელობთ რა ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მოდელზე, ვფიქრობთ, ჩვენი ამოცანაა წვლილი შევიტანოთ ჩვენს რეგიონში მისაღები მოდელის შექმნისკენ მიმართულ ძალისხმევაში. მსურს, გამოვთქვა იმედი, რომ კონფერენცია მნიშვნელოვანი წამოწყება გახდება ამ საკითხების გადაჭრისკენ მიმართული საფუძვლიანი, ღრმა დიალოგისკენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის სახელით მსურს კიდევ ერთხელ მივესალმო ჩვენს მეზობლებს, აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებს, სტუმრებს ნატო-დან და მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომლებიც გვეწვივნენ, რათა განიხილონ პრობლემები, რომლებიც რეგიონს აწუხებს და მათი გადაჭრის გზები მოიძიონ. მსურს, ასევე, მივესალმო ყველა ექსპერტს და დაინტერესებულ პიროვნებას, რომლებსაც განზრახული აქვთ თავიანთი წვლილი შეიტანონ დღის წესრიგის ირგვლივ გამართულ დებატებში. წარმატებას ვუსურვებ კონფერენციას მის საქმიანობაში

გმადლობთ.

*ბ–ნი ჰერნერ ბაუვენსი, საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ნატო-ს პრესისა და ინფორმაციის ბიურო*

ნება მიბოძეთ მადლობა მოვახსენო ბ–ნ თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს მათი თბილი მისასალმებელი სიტყვებისთვის და საქართველოს მთავრობას – გულთბილი მასპინძლობისათვის.

ბ–ნო თავმჯდომარე, დღეს ჩვენ გაგვაჩნია უნიკალური შესაძლებლობა ავაგოთ უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა მთელი ევრო–ატლანტიკური დერეფნისათვის. ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებულ ქვეყნებს, რომლებიც ათწლეულების მანძილზე მოკლებულნი იყვნენ სრულ სუვერენიტეტს, ამჟამად კვლავ შეუძლიათ თავისუფლების პირობებში განსაზღვრონ თავიანთი ბედ–იღბალი. და მათ გააკეთეს არჩევანი – გახდნენ ახალი ევროპის, ერთიანი და თავისუფალი, დემოკრატიაზე, საბაზრო ეკონომიკაზე, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ევროპის ნაწილი.

ახლა ჩვენ ყველამ უნდა გავიგოთ, რომ ეს არის მათ მიერ აღებული ვალდებულება, განახორციელონ გარდაქმნათა პროცესი. ამ აღმშენებლობით პროცესში ატლანტიკური ალიანსი თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობის გარკვეულ ნაწილს. "ცივი ომის" დამთავრების შემდეგ ნატო-ს ერთ–ერთი ფუძემდებლური ამოცანა გახდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტის ვალდებულებაზე დაფუძნებული უფრო სტაბილური უსაფრთხოების გარემოს შექმნა ევროპაში. ნატო-ს მიდგომის ძირითადი პრინციპი ცხადი უნდა იყოს. ეს არის რწმენა, რომ დემოკრატია მშვიდობის საუკეთესო გარანტიაა. რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას ორიგინალურ მოსაზრებათა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ. 200 წლის წინ ემანუელ კანტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები ნაკლებად იწყებენ ომს ერთმანეთის წინააღმდეგ. ცხადია, ნატო არ არის ერთადერთი ევროპულ ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ცდილობენ მხარი დაუჭირონ დემოკრატიული უსაფრთხოების პრინციპს. ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ისევე, როგორც

ეუთო ფუნქციონირებენ იმ მიზნით, რათა დაამკვიდრონ საყოველთაოდ შეთანხმებული ქცევის ნორმების ერთობლიობა და დროთა განმავლობაში ხელი შეუწყონ საერთო უსაფრთხოების კულტურის შემოღებას, რომელიც მანამდე არასდროს არსებობდა ევროპაში.

ნატო აძლიერებს ძალისხმევას ამ მიმართულებით და ამით საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ სახელმწიფოებს პარალელურად ეხმარება სამხედრო სფეროში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესში. თუმცა, სამხედროებისა და შეიარაღებული ძალების უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ძირითადი მიზეზი მხოლოდ შიდაპოლიტიკური როლია. ეს, ასევე, ემსახურება იმ მიზანს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოები საგარეო და რეგიონულ ურთიერთობებში, უსაფრთხოების საკითხებში უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებულნი თანამშრომლობაზე დამყარებულ მიდგომაზე. ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო და პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" დემოკრატიული უსაფრთხოების მრავალ ელემენტს მოიცავენ.

თუმცაღა, ერთი ელემენტი მაინც გამორჩეულია და ეს გახლავთ სამხედროების ფაქტორი დემოკრატიულ საზოგადოებაში. ჩვენის აზრით, ახალი ევრო—ატლანტიკური უსაფრთხოების წესრიგის ძირითადი ელემენტი არის მჭიდრო ურთიერთობების დამყარება სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის. ეს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების გამორჩეული თვისებაა და მომავალში არ უნდა მოხდეს მისი ჯეროვნად შეუფასებლობა. ტოტალიტარულ ან ავტორიტარულ სახელმწიფოებში ქვეყნის თავდაცვითი საქმიანობის კონტროლი, როგორც წესი, აღიქმება როგორც ტექნიკური საკითხი და განიხილება, როგორც ექსპერტების ან ექსპერტთა წრეების საქმე, რომლებიც ისევ სამხედროები არიან. შედეგად, სამხედროები შეადგენენ მონოლითური ინტერესების მქონე ჯგუფს, რომელიც თვით წარმოადგენს ძალაუფლებას და, შესაბამისად, არაპროპორციულად დიდი მოთხოვნა გააჩნია ეროვნული რესურსებზე.

ამის საპირისპიროდ, გაცილებით ნაკლები ალბათობაა იმისა, რომ სამოქალაქო მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული შეიარაღებული

ძალები, იმ პირობებში, როდესაც თვით მთავრობა კარგად განათლებული ამომრჩევლებისა და თავისუფალი პრესის მხრიდან მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფება, გამოყენებული იქნეს ქვეყნის შიგნით რეპრესიებისა ან ქვეყნის გარეთ ჩარევისათვის. დემოკრატიული სისტემის პირობებში სამხედროებმა უნდა განუმარტონ კრიტიკულად განწყობილ და დაინტერესებულ საზოგადოებას, თუ რატომ დაიხარჯა ესა თუ ის თანხები ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე, და არა ჯანმრთელობის დაცვის, ან თუნდაც, სოციალურ სფეროზე. უფრო მეტიც, ეროვნული თავდაცვითი პოლიტიკის ფორმირება მხოლოდ მოიგებს საერთაშორისო თანამშრომლობის პირობებში, თუკი პოლიტიკის შემმუშავებლები მიჰყვებიან მაქსიმალური გამჭვირვალობის გზას და მათ მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ მიმართულებას ღია საჯარო განხილვის საგნად აქცევენ. ამდენად, დემოკრატიულად ანგარიშვალდებულებისა და სამოქალაქო კონტროლის დაქვემდებარების პირობებში შეიარაღებული ძალები გაცილებით უფრო მეტად ვითარდებიან კანონიერი სამოქალაქო ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ვიდრე პატარა არადემოკრატიული და ვიწროპარტიული ელიტის ინტერესების არსებობის პირობებში.

ბ–ნო თავმჯდომარე, დარწმუნებული ვარ, დღევანდელი სემინარი თავის წვლილს შეიტანს საზოგადოებრივ ცნობიერებაში და საზოგადოების მიერ რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პოლიტიკის მხარდაჭერის საქმეში. ისტორიულად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კავკასიის რეგიონი იმსახურებს იმას, რომ ამ კვირის მანძილზე ჩვენ მას ყურადღება დავუთმოთ. ეს კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზია იმისა, თუ რატომ გადაწყვიტეს ნატო-მ და ჩემმა ოფისმა ყოფილიყვნენ ამ კონფერენციის თანასპონსორები. გისურვებთ თქვენ, ბ–ნო თავმჯდომარე, და თქვენს ორგანიზაციას ყოველივე კარგს.

გმადლობთ.

### *ქ-ნი ალის პილი, ასოცირებული დირექტორი, ჯონ დ. და კეტრინ ტ. მაკარტურების ფონდის მოსკოვის ოფისი*

მე წარმოვადგენ მაკარტურის ფონდის მოსკოვის ოფისს. მოსკოვის ოფისი 1992 წლიდან მოქმედებს. ჩვენ ვაფინანსებთ ოთხ პრიორიტეტულ სფეროს – ადამიანის უფლებებს (განსაკუთრებით ქალთა და უმცირესობათა უფლებებს), კანონი და საზოგადოება, გარემო, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოება.

რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოება ჩვენი ერთ–ერთი უახლესი პრიორიტეტული მიმართულებაა – ერთი იმ მიზეზთა შორის, თუ რატომ ვართ ამ კონფერენციის თანასპონსორი. ეს მნიშვნელოვანი სფეროა და ჩვენ გავაფართოებთ ჩვენს პროგრამას. კავკასია ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამდენად, ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ მონაწილეობას იმ წამოწყების დაფინანსებაში, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს განიხილავს.

ჩვენ, ასევე, ძალზე მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი გრანტის მიმღები – კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრი – ატარებს კონფერენციას ასეთ მაღალ წარმომადგენლობით დონეზე. იმედს გამოვთქვამთ, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგუფები და მათგან წამოვა სამომავლო ინიციატივები, რომელთაც ჩვენ ასე ველით.

გმადლობთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძირითადი მოხსენებები

## რა არის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია და რით განსხვავდება ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისაგან

*თანამომხსენებლები: ვიცე–ადმირალი მაიკლ პიტერ გრეტონი, გაერთიანებული სამეფოს სამხედრო–საზღვაო ძალები, ნატო-ს გაერთიანებული ძალების ატლანტიკის უმაღლესი სარდლობის ევროპელი წარმომადგენელი და ბ–ნი იურგენ შულცი, ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური მრჩევლის მოადგილე, ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის საკითხებში*

ვიცე–ადმირალი გრეტონი:

ქალბატონებო და ბატონებო, ბ–ნო თავმჯდომარე, ულრმესი მადლობა მსურს გადაგიხადოთ მისალმებისთვის.

ჩემთვის უდიდესი პატივია ის, რომ მოწვეული ვარ ძირითად მომხსენებლად საკითხზე, რომელიც შეეხება ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაციას, როგორც შავი ზღვის რეგიონის მდგრადი განვითარების წინაპირობას. მე იმ ოთახში მოვხვდი? როგორც მეზღვაური, ვგრძნობ, რომ იქ ვიმყოფები, სადაც უნდა ვიმყოფებოდე. ეს ნაწილობრივ ხუმრობა იყო, მაგრამ ნაწილობრივ ამით მინდოდა გამეძლიერებინა ჩემი კოლეგის მიერ ჩემამდე გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, თუ რა მჭიდრო კავშირი არსებობს უსაფრთხოების საკითხში სამხედრო და სამოქალაქო მხარეებს შორის. ეს სემინარი ჩემი მოგონილი არ გახლავთ – ის ხვალ იწყებს მუშაობას თბილისში, ერთ კვირას გასტანს, მე მხოლოდ გუშინ შევიტყვე მის შესახებ და როდესაც მე ვფიქრობდი რომ ადგილი არ შემშლია, მართალი ვყოფილვარ.

მინდა გავაძლიერო ჩემი კოლეგის მიერ ჩემამდე გამოთქმული აზრი იმის თაობაზეც, რომ ნატო-ში არსებობს ძალზე ძლიერი კავშირი სამხედრო და სამოქალაქო მხარეებს შორის. დღეს აქ ნატო-ს ექვსკაციანი

კონტინგენტი იმყოფება. მათ შორის, მხოლოდ ორია სამხედრო (პოლკოვნიკი პირსი და მე) და ოთხი – სამოქალაქო.

ჩემი პირადი გამოცდილება განსხვავდება ქრისტოფერ დონელის გამოცდილებისაგან. ის აკადემიური წრეების წარმომადგენელია და ყოფილი ვარშავის პაქტის სივრცეში უზარმაზარი გამოცდილება გააჩნია. მე კი ვარ მეზღვაური, რომელიც დაცურავს. მე ჩემი კარიერის უმეტესი დრო ზღვაზე გავატარე, ვმართავდი გემებს, ვიყავი სარდალი, მაგრამ გამაჩნდა გარკვეული პოლიტიკური გამოცდილება გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროში და, რა თქმა უნდა, გამაჩნია ახლაც, ნატო-ში. ცხადია, მთელი ჩემი კარიერის მანძილზე მე, როგორც სამხედრო თუ პოლიტიკური მხარის წარმომადგენელი, ვმონაწილეობდი რეგიონული უსაფრთხოების სისტემაში – ნატო-ში.

მცირე გადახვევას გავაკეთებ. მე არა ვარ აკადემიური წრეების წარმომადგენელი. მე ვსწავლობდი საერთაშორისო ურთიერთობებს ოქსფორდის უნივერსიტეტში ძალიან, ძალიან, *ძალიან,* დიდი ხნის წინ და ეს მართლაც სიამოვნებას მანიჭებდა. მე თავის მართლებას არ მოვყვები იმის გამო, რომ ჩემი მიდგომა, განსაკუთრებით დისკუსიის დროს, უფრო მეტად შეეხება უსაფრთხოების სისტემების სამხედრო პრაქტიკულ ასპექტს და ამიტომ განსაკუთრებული სიამოვნებით გავუზიარებ ამ მოხსენების ნაწილის წარმოდგენის უფლებას ჩემს კოლეგას – გერმანელ დიპლომატს იურგენ შულცს, რომელსაც გააჩნია როგორც უზადო აკადემიური წარსული, ისე ცენტრალურ აზიაში მუშაობის გარკვეული გამოცდილება.

მაშ ასე, რა უნდა ვაკეთოთ, ჩემი აზრით, მომავალი სამი დღის მანძილზე? მთავარი საკითხია "ერთობლივი სასწავლო სესია" და ნება მიბოძეთ განვმარტო, თუ რას ვგულისხმობ. მომავალი სამი დღის მიზანი ის კი არაა და ვერც იქნება, რომ განვსაზღვროთ საკუთრივ საქართველოს ან კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები. ჩვენ ეს არ შეგვიძლია. მაგრამ, შეგვიძლია გავმართოთ სჯა–ბაასი ჩვენს შორის, რომელიც მიიყვანს ქვეყანას ან რეგიონს საკუთარი ეროვნული ან რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის გაცნობიერებამდე. ასე მაგალითად, ჩვენ ნატო-ში არ შეგვიძლია ვუთხრათ სხვებს, თუ ჩვენი აზრით რა არის მათთვის უმჯო-

ბესი. ამის საილუსტრაციოდ გიამბობთ ერთი კურიოზის შესახებ. ჩემს წინა სამსახურში გაერთიანებული სამეფოს ჯგუფი სი–ის ავიამზიდის კაპიტნად ყოფნისას მე პასუხისმგებელი ვიყავი გაერთიანებულ სამეფოში ხუთი სახელმწიფოს თავდაცვით შეთანხმებაზე წოდებული ხელშეკრულების საზღვაო შემადგენლის უზრუნველყოფისათვის. საქმე ეხება რეგიონს, რომელსაც ჩვენ "შორეულ აღმოსავლეთს" ვუწოდებთ და რომელიც სინგაპურს, მალაიზიას, ავსტრალიას და ახალ ზელანდიას მოიცავს. ერთ–ერთი ჩვენი მორიგი შეხვედრისას მე ჩართული აღმოვჩნდი მალაიზიელებთან და სინგაპურელებთან ძალზე საინტერესო დისკუსიაში, რომელიც შეეხებოდა უსაფრთხოების სტრუქტურებს და მე შევეცადე მეჩვენებინა, როგორ შეიძლებოდა ნატო-ს ჩართვა ამ კონტექსტში. ჩვენი ყოველი ახალი იდეა ცხადს ხდიდა ჩემთვის, უშუალოდ ამ საკითხის მიმართ რამდენად შესაბამისი იყო ის გარკვეულ მიზეზთა გამო, რომელთა დაწვრილებით ჩამოთვლით თავს აღარ შეგაწყენთ. ვერც ერთი აზიური სახელმწიფო და ვერც ხუთი სახელმწიფოს თავდაცვითი შეთანხმება ვერ გახდება ნატო. რაც უფრო მეტად განვმარტავდი, თუ რას ვაკეთებდით, მით უფრო ნაკლებად გამოსადეგი ჩანდა ეს მათ ვითარებაში. იმედი მაქვს, ეს არ არის ის შემთხვევა, რომლის აქ უცვლელად გადმოტანაა შესაძლებელი, მაგრამ მე ეს მაგალითი მოვიყვანე თავმჯდომარის შენიშვნის გამო იმის თაობაზე, რომ ეს არის წარმოუდგენლად რთული რეგიონი და აქაური გარემოებები განსხვავდება იმათგან, რომლებთანაც ნატო-ს აქვს საქმე.

აგრეთვე, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ იმას, რაც თავმჯდომარემ ბრძანა საშინაო კონფლიქტების თაობაზე. მე ვთვლი, რომ ერთ–ერთი კითხვა, რომელიც ჩვენ შემდეგი სამი დღის მანძილზე უნდა დავუსვათ საკუთარ თავს, და თქვენ ის უკვე დასვით, არის ის, თუ რით შეუძლია რეგიონული უსაფრთხოების სისტემას ადექვატურად უპასუხოს საშინაო უსაფრთხოების პრობლემებს. ეს ძალზე რთულია. ამდენად, ვფიქრობ, ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ, გნებავთ ეროვნულ და გნებავთ რეგიონულ, შესაბამის უსაფრთხოების სტრუქტურას. შემოგთავაზებთ რამდენიმე ნაბიჯს, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიდგას ამ გზაზე.

უპირველეს ყოვლისა, და ეს ცხადია, მკაფიოდ უნდა განსაზღვროთ თუ ქვეყნისა და რეგიონის უსაფრთხოებისთვის რა არის უმთავრესი. მათ შესახებ სწორედ რომ ძალზე მკაფიოდ ისაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრმა. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს ისედაც ცხადია, მაგრამ ასევე ადვილადაა შესაძლებელი, შეცდომა მოგვივიდეს იმის განსაზღვრაში, თუ რა არის მართლაც რეალურად მნიშვნელოვანი, ვინაიდან ამ უკანასკნელის განხილვა ჭირს. ამის შემდეგ, შეიძლება იმის განხილვა, თუ როგორ უდგება ქვეყანა ამ საკითხებს. ამჟამად მე ვსაუბრობ პრაქტიკულ მექანიზმებზე და მათ შესაძლო ამუშავებაზე. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ მიუდგეს ქვეყანა ან რეგიონი საკუთარ პრობლემებს იმაზე უკეთ, ვიდრე ეს დღესდღეობით ხდება, ვინაიდან თქვენ ყოველთვის ამჟამად არსებული პოზიციიდან იწყებთ. თქვენს წინაშე არასდროს არ დევს სუფთა ფურცელი. საბოლოოდ, განსაზღვრავთ დახმარებისა და ექსპერტიზის წყაროებს – გაარკვევთ, თუ ვინ გიწევთ ყველაზე ეფექტურ დახმარებას და ვინ ატარებს საუკეთესო ექსპერტიზას, რაც ხშირად ამ პროცესის უაღრესად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

გადადგამთ რა ამ ნაბიჯებს, საჭირო ხდება იდეების გენერირება. რაც მეტად ფიქრობთ, მით ნაკლებად ლაპარაკობთ. შესაძლოა, ეს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას ნაკლებად მიესადაგება – ძირითადად ჩვენ ვლაპარაკობთ. აქ თქვენ, განსაკუთრებით საქართველოში, უკვე უნდა დაიწყოთ იმის გარკვევა, თუ რას ელით ამ სემინარისგან და იმის განსაზღვრა, თუ რაში მდგომარეობს თქვენი პრობლემები და სირთულეები. ჩვენ, ნატო-ს გუნდში და სხვა გუნდებშიაც, შესაძლებლობა გვაქვს, განვსაზღვროთ ჩვენი საკუთარი ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების პრინციპები და ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან. შესაბამისად, ჩვენ სხვადასხვა მიდგომა გაგვაჩნია იმის მიმართ, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ სიტუაციაში. ვფიქრობ, რომ ამ განსხვავებულ მიდგომებს შეუძლიათ სწორ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანონ. საბოლოო შედეგი, შესაძლოა გახდეს ქაღალდზე ჩამოყალიბებული დასკვნები, რომლებიც შევა იმ პრობლემათა წიგნში, რომელთა გადაწყვეტაშიც საქართველოსა და რეგიონს შეიძლება დახმარება ან გარე ჩარევა დასჭირდეთ. ეს შეიძლება იყოს უმთავრეს მოთხოვნათა კონკრეტული ნუსხა, დახმარების

ძირითადი წყაროების კონკრეტული ნუსხა, ანდა, რაც ყველაზე მთავარია, იმ გარღვევათა კონკრეტული ჩამონათვალი, რომელთა ამოვსებაცაა საჭირო. და თუ ჩვენ, მოწვეულ მონაწილეებს, გვაქვს ერთი მიზანი მაინც, მიზანი უნდა იყოს ქვეყნის დახმარება, რათა მან თვითონ გადაჭრას თავის პრობლემები და არა ის, რომ ეს პრობლემები ჩვენ გადავჭრათ.

ამდენად, ჩვენი, ანუ ნატო-ს ჯგუფის, და იმედი მაქვს ასევე სხვა ჯგუფების მიზანია უსაფრთხოების საკითხების ფართო სპექტრის დადგენა და, როგორც თქვენთვის ყველასათვის ცნობილია, ეს მხოლოდ სამხედრო საკითხები არაა. ეს არის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, გარემოს დაცვის, უმცირესობებისა და საშინაო პრობლემების – ესაა უსაფრთხოების საკითხთა მთელი სპექტრი და ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ, თუ რომელ ორგანიზაციებს მივმართოთ დახმრებისთვის, კონკრეტულად რა დახმარებისთვის და როგორ. იმ შემთხვევაში, თუ მკაფიოდ ვერ წარმოგვიდგენია, რომელმა ორგანიზაციამ, ან რა გზით შეიძლება გასწიოს დახმარება, მაშასადამე, ეს საკითხიც გარკვევას საჭიროებს.

ახლა დაგასვენებთ ბრიტანული ხმისაგან, რათა მოისმინოთ ბრიტანულად მოსაუბრე, უაღრესად მკაფიო გერმანული ხმა. იურგენი განმარტავს უსაფრთხოების სისტემებისადმი საბჭოთა მიდგომის არსს, რომელიც მდგომარეობს არა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, არამედ სამხედრო დოქტრინის გამოყენებაში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ყოველ ჩვენთაგანს გააჩნია სხვადასხვა სისტემებში ცხოვრების გამოცდილება და ურთიერთის აზრთა წყობის სხვაობათა გააზრების გარეშე, სრულიად ვერ გავუგებთ ერთმანეთს და ძველებურად აზროვნებას განვაგრძობთ. მაშ ასე, იურგენ, ახლა შენზეა უსაფრთხოებაზე დამყარებული აზროვნების ფონის შექმნა.

ბ–ნი იურგენ შულცი:

დიდი მადლობა. ბ–ნო თავმჯდომარე, ქალბატონებო და ბატონებო, მანამ, სანამ ადმირალი გრეტონი ისაუბრებს იმაზე, თუ "რა არის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია?" და "რა არის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია?", მინდოდა, მოკლედ მელაპარაკა საბჭოთა სამხედრო დო-

ქტრინის რაობაზე, ვინაიდან, მრავალმა დისკუსიამ გვიჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა განსხვავებაა უსაფრთხოებასა და უსაფრთხოების სისტემებისადმი მიდგომებში. იმდენად, რამდენადაც, მათ შორის ძირეული განსხვავებაა, მე მინდოდა მოკლედ მესაუბრა სამხედრო დოქტრინისადმი საბჭოური მიდგომის არსზე.

მე პასუხს გავცემ სამ კითხვას. პირველი – რა არის სამხედრო დოქტრინა? მეორე – ვინ შეიმუშავებს მას? და მესამე – როგორ ხორციელდება ის? ადმირალი გრეტონი წარმოაჩენს განსხვავებებს საბჭოთა სამხედრო მიდგომასა და დასავლური, ეროვნული თუ რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციათა შორის.

უპირველეს ყოვლისა, რაში მდგომარეობდა საბჭოთა სამხედრო დოქტრინა? საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაზღვრავდა სახელმწიფო პოლიტიკას და სამხედრო პოლიტიკა მისი ერთ–ერთი ელემენტი იყო, რამდენადაც ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი იყო პარტია. მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკა წყვეტდა, როდის დაწყებულიყო ომი და დაწყებულიყო თუ არა საერთოდ. ამისგან განსხვავებით, სამხედრო დოქტრინა განსაზღვრავდა, თუ როგორ დაგეგმილიყო ომი და როგორ განხორციელებულიყო სამხედრო. მაშინ, როცა დასავლური არმიები სამხედრო დოქტრინას უფრო ფართოდ განიხილავდნენ, როგორც ცოდნას შეიარაღებული ძალების გამოყენების ტექნიკის შესახებ, რუსული военная доктрина გულისხმობს შეიარაღებული ძალების სტრუქტურის მიერ ნაკარნახები აზროვნების სტრუქტურიზაციის პროცესს, აღჭურვილობის მიღებაზე და ომისთვის მზადების აუცილებელ სხვა საშუალებებზე დამყარებულ პოლიტიკას. ამის გამო, სამხედრო დოქტრინის რუსული ვარიანტი, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, იყო აზროვნების ფორმა, მიდგომა. იყო რა იდეოლოგიაზე დამყარებული, ის წარმოადგენდა აზრთა სტრუქტურირებულ სქემას, რომლის წყალობითაც განისაზღვრებოდა მთლიანად სამხედროების და სამოქალაქო პირთა მიდგომა ომის მიმართ. ეს ფილოსოფია, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფო ემზადებოდა ომისთვის, ქმნიდა შეკრულ და ყოვლისმომცველ სისტემას, რომელსაც ქვეყანა მიჰყავდა იარაღასხმული ერის კონცეფციისკენ.

მეორე შეკითხვა, რომელზეც მე მსურდა საუბარი, იყო – ვინ შეიმუშავა ეს კონცეფცია? დოქტრინას ყოფილ საბჭოურ სისტემაში მთლიანად შეიმუშავებდა და ახორციელებდა სამხედრო ისტებლიშმენტი. სამხედრო დოქტრინის შემუშავება მთლიანად შეიარაღებული ძალების საქმე იყო. ამ სისტემაში სრულიად განსაკუთრებულ, უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გენერალური შტაბი. ემყარებოდა რა გენერალური შტაბის სისტემის ძველ რუსულ მოდელს, ის ითვლებოდა სიბრძნის საცავად, მას გააჩნდა მონოპოლია ცოდნასა და გამოცდილებაზე და ის იყო რჩევების უმთავრესი წყარო პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის სამხედრო და ტექნიკურ საკითხებში. რამდენადაც, საბჭოთა გენერალური შტაბის სისტემის დასავლური ექვივალენტი არ არსებობს, ვფიქრობ, ღირს იმის გარკვევა, თუ როგორ მუშაობდა სისტემა. რეგიონული უსაფრთხოების სისტემის კონცეფციაზე საუბრისას ადმირალი გრეტონი ამ მიდგომას წარმოაჩენს.

მესამე და უკანასკნელი – მოკლედ შევჩერდები იმაზე, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს სისტემა. სამხედრო დოქტრინის განხორციელებისას სამხედრო პირს ხელი მიუწვდება სახელმწიფოს მთელ ქონებაზე. სამხედროები და სამოქალაქო პირები ერთსა და იმავე სამხედრო სახურავის ქვეშ იყვნენ გაერთიანებულნი. სამოქალაქო ქონების ნაწილი – სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი მრეწველობა, სავაჭრო ფლოტი და ა.შ. – ყოველთვის მჭიდროდ იყო ინტეგრირებული სამხედროების მოთხოვნებთან. ამასთან ერთად, სისტემის შიგნით სამხედრო საჭიროება ყოველთვის დომინირებდა სამოქალაქოზე. სამხედრო დოქტრინის ამგვარი განხორციელების შედეგი იყო ის, რომ არმიას არ ჰქონდა ბევრი ფული, სამაგიეროდ სარგებლობდა ბევრი პრივილეგიებით და ბევრ რესურსზე მიუწვდებოდა ხელი. მეორე შედეგი ის იყო, რომ ეს გზა იწვევდა ეკონომიკური დანახარჯების არაეფექტურობასა და ძალზე დიდ ხარჯებს სოციალურ სფეროში. მესამე შედეგი ის გახლდათ, რომ არმია მოწყვეტილი იყო საზოგადოებას, ვინაიდან სამხედრო საკითხები მთლიანად შეიარაღებული ძალების საქმედ რჩებოდა. კიდევ ერთი შედეგი იყო ის, რომ, როგორც ბ-ნმა ბაუენსმა უკვე აღნიშნა, არმია არ იყო ანგარიშვალდებული საზოგა-

დოებრიობის წინაშე. თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არმია იქცა "სახელმწიფოდ სახელმწიფოში".

ნება მიბოძეთ დავასრულო ჩემი მოკლე გამოსვლა იმით, რომ თუ გსურთ დაახასიათოთ ასეთი მიდგომა უსაფრთხოების კონცეფციისადმი, შეგვიძლია გითხრათ, რომ ეს იყო იდეოლოგიაზე დამყარებული სისტემა, რომელსაც ყველა კითხვაზე გააჩნდა პასუხი, და როგორც უკვე აღნიშნა ადმირალმა გრეტონმა, ძალზე განსხვავდებოდა უსაფრთხოების კონცეფციისადმი დასავლური მიდგომისაგან. ახლა, სიტყვა კვლავ ადმირალ გრეტონს მინდა დავუთმო.

ვიცე–ადმირალი გრეტონი:

თქვენის ნებართვით, მე განვაგრძობ და განვმარტავ ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის ზოგიერთი პრინციპის ჩვენეულ ხედვას და ერთის დამოკიდებულებას მეორის მიმართ მოგვიანებით შევეხები. პირველი, რაც მინდოდა მეთქვა გახლავთ ის, რომ უსაფრთხოების ასეთი კონცეფციები უნდა ემყარებოდეს არაიდეოლოგიურ ბაზისს და მას არ უნდა ჰქონდეს მზა, სრულყოფილი პასუხის ფლობის არავითარი მანსი. ასეთი კონცეფცია, ეჭვს გარეშეა, ვითარდება დროთა განმავლობაში და არ გახლავთ სჯულის ფიცარი, რომელიც ერთხელ გადაეცა ხალხს და შემდეგ სამარადჟამოდ ასეთად დარჩა. ის უნდა იყოს ცოცხალი ორგანიზმი და ცხადია, ნატო-ს შიგნით ამჟამად ძალუმად იგრძნობა ამგვარი ადაპტაციით გამოწვეული ტკივილები.

ამასთან ერთად, მე, ცხადია, ისევე, როგორც ყოველი ჩვენგანი, ვლაპარაკობ, როგორც ჩემი საკუთარი გამოცდილების ტყვე. გაერთიანებული სამეფოს უსაფრთხოების კონცეფცია *ქალტურადაა* ჩართული ნატო-ს რეგიონულ ალიანსში, როგორც აბსოლუტური, ფუნდამენტური საკითხი. საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდა ჩემი სამსახურის პერიოდში და ცხადია, არის სხვა უსაფრთხოების ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანებული სამეფოა ჩართული და რომლებზეც ის ამყარებს თავის უსაფრთხოებას. მეორე კი ისაა, რომ თუ დავუბრუნდები ნატო-ს, სადაც მე ამჟამად ვმსახურობ, ვიტყვი, რომ ალიანსი თითქმის 50

წლისაა და შეუძლია იამაყოს იმით, რომ წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ მიმართული არაერთი გარეშე აგრესია შეუკავებია. რა თქმა უნდა, იმას, რომ ეს ნამდვილად ასეა, გადაჭრით ვერავინ ვერ დაადასტურებს, მაგრამ ეს ფაქტი თვით მეტყველებს საუკეთესოდ თავის თავზე. თუმცა, ჩემი პირადი მოსაზრება ამდაგვარია, და ეს მხოლოდ პირადი მოსაზრებაა, უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მან თითქმის შეაჩერა კონფლიქტები ალიანსის წევრებთა შორის, რომელთა რიცხვი 16–მდეა. თუკი დასავლეთ ევროპის წარსულს გადახედავთ, მართლაც რომ აღნიშვნის ღირსი მიღწევაა. მე ვახსენე *თითქმის*, ვინაიდან ბლვაში ვიყავი ვირთევზას ომის დროს ისლანდიასთან, როცა ჩვენ ვიბრძოდით ვირთევზას თევზჭერის უფლებისათვის ალმოსავლეთ ისლანდიის სანაპიროს გარეთ. ცხადია, თქვენ, ყველანი მტკივნეულად აცნობიერებთ იმას, რომ საბერძნეთსა და თურქეთს შორის არსებობს სირთულეები, განსაკუთრებით კვიპროსის საკითხში. ამგვარად, ეს არ არის პასუხი ქალწულის ვედრებაზე (ანუ, ეს არ არის იდეალური სიტუაცია: მთ.), როგორც ინგლისელები იტყვიან ხოლმე და იმედი მაქვს ამ გამოთქმას თარგმნიან, თუმცა, რეგიონული დაჯგუფებების წევრთა შორის უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით ეფექტი საოცრად დადებითია.

განვაგრძობ და ვიტყვი, რომ ცხადია, მხოლოდ ნატო-ს ვერ ექნება პრეტენზია ამ მეორე მიზეზზე, ანუ იმაზე, რომ აგრესიას არ ჰქონდა ადგილი მის წევრ სახელმწიფოებს შორის, ვინაიდან უსაფრთხოებას არა მხოლოდ თავდაცვა, არამედ მრავალი სხვა ასპექტი თუ საშუალება გააჩნია. და კიდევ, ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა გაიძულებთ იყოთ, ალიანსის ერთ-ერთი ჭეშმარიტად შემაკავშირებელი ელემენტი და ამით შეუძლებელს ხდით ომის დაწყებას თქვენი კოლეგების წინააღმდეგ. ცხადია, დასავლეთ ევროპული უსაფრთხოებისათვის ამით არის მნიშვნელოვანი ევროპის კავშირი. თქვენ ყველას წაკითხული გაქვთ კანცლერ კოლის გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ კავშირის გაღრმავება და დაახლოება ფედერაციის მოდელთან არის იმის აბსოლუტური გარანტიის საშუალება, რომ ომი აღარასდროს იქნება. მე მას ვეტყოდი, რომ ჩვენ უკვე გვაქვს საჭირო სტრუქტურა და ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ ბრიტანელი ვარ და არ მსურს კავშირის ფედერაციად გარ-

დაქმნა, არამედ იმიტომ, რომ ინსტიტუტები და განსაკუთრებით ეკონომიკური ინსტიტუტები უკვე არსებობენ და ეს სწორედ ის არის, რასაც რეალურად ძალუძს რეგიონში საგარეო უსაფრთხოების გარანტირება. მე გავოცდი, როცა სახლში ვემზადებოდი ამ საკითხებისთვის და გადავშალე ნატო-ს ცნობარი, რომელშიც ამოვიკითხე, რომ 1948 წლის 14 მარტს, ანუ ნატო-ს შექმნამდე, ბრიუსელის ხელშეკრულებით გაფორმდა ორგანიზაცია, რომელიც ახლა არის სოფია კლემენტის დასავლეთ ევროპის კავშირი – მაგრამ ეს არის ბრიუსელის ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობისა და *კოლექტიური თავდაცვის* შესახებ, შემდგომში ხუთი სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი. მე ყოველთვის მეგონა, რომ დასავლეთ ევროპის კავშირი იყო მხოლოდ კოლექტიური თავდაცვითი ორგანიზაცია. თურმე ეს ასე არ ყოფილა.

დავუბრუნდეთ თემას, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს უსაფრთხოების კონცეფცია – ეროვნული თუ რეგიონული. ძირითადი ასპექტი იმისა, რაც ასახავს დემოკრატიის თაობაზე ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმაში მდგომარეობს, რომ კონცეფცია უნდა საზრდოობდეს ხალხის სურვილებით და იმით, რასაც ხალხი დაუჭერს მხარს. ცხადია, ამისთვის საჭიროა ფართო განათლება და ეს ისაა, რასაც ჩვენ განსკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ნატო-ში. ეს არის ერთ-ერთი ჩემი კოლეგის დეპარტამენტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. ლაპარკია მთლიან მოსახლეობაზე, მაგრამ, განსაკუთრებით – პარლამენტარებზე და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტებზე, აკადემიური წრეების წარმომადგენლებზე, რომელთაგან ბევრი დღეს აქ გვესწრება და ჟურნალისტებზე. უსაფრთხოების კონცეფციას საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება ერთადერთი გზით შეუძლია – ჟურნალისტებმა მაქსიმალურად გასაგებად უნდა განუმარტონ ფართო საზოგადოებრიობას კონცეფციის არსი. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ჩვენ, სამხედროებმაც უნდა გავაცნობიეროთ იგი.

კიდევ ერთი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ამ კონცეფციის შემუშავება ღიად უნდა ხდებოდეს. ეს არ არის ადამიანთა შეზღუდული წრის საქმე, იმ ადამიანებისა, რომელთაც მეტი იციან. და იმ შემთხვევაშიც კი, როცა ისინი სწორ პასუხს პოულობენ, მაინც არსებობს ეჭვი მათი მხრიდან, ვინც ამ შეზღუდული წრის გარეთ დარჩა. ეს კონცეფცია ანგარიშვალ-

დებულებას უნდა გულისხმობდეს, შეიარაღებულ ძალთა ანგარიშვალდებულებას მთავრობის მიმართ. ეს აბსოლუტურად აუცილებელია. სინამდვილეში ეს გულისხმობს პირუკუ პასუხისმგებლობას – მთავრობისა სამხედროებისადმი. აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რუსეთის პრობლემები – შეიარაღებულ ძალებს ხომ ხელფასს არ უხდიან! ლოიალობა, ეს ანგარიშვალდებულება, ორივე მხარესაა მიმართული. ამგვარად, უსაფრთხოების საკითხებში მთავრობა პარლამენტის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული, პარლამენტი კი თავის მხრივ – ხალხის წინაშე. ასე რომ, ეს ანგარიშვალდებულება – ძირითადი ასპექტია.

თქვენს კონცეფციაში, ეროვნულსა თუ რეგიონულში, მოქცეული სამხედრო ორგანიზაციები, გულახდილად თუ ვიტყვით, უბრალოდ ეროვნულ მოდელს უნდა ასახავდნენ. არსებობს მრავალი განსხვავება და არ არსებობს ერთადერთი გადაწყვეტა. ის არც უნდა არსებობდეს. არ არის აუცილებელი, არსებობდეს მსგავსება. მაგრამ თუკი რაღაც მსგავსება არსებობს, ის იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ სამხედროები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ სამოქალაქო პირთა წინაშე. ჩვენ ორნი გამოვეართ ოთხის წინააღმდეგ. არმია და საზოგადოებრიობა, ანდა, როგორც მეზღვაური, ვიტყოდი – *შეიარაღებული ძალები* და საზოგადოებრიობა. მე ეს ძალზე მხიბლავს, ვინაიდან ნატო-ს შიგნითაც კი ამის ამოქმედების იმდენი მოდელი არსებობს. შეიარაღებული ძალები იმ საზოგადოების პროდუქტია, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ეს თავისთავადაც ცხადი განმარტებაა. საზოგადოებას ისეთი არმია ჰყავს, როგორისაც იმსახურებს. ეს არის პატივისცემისა და სტატუსის საკითხი. ცოტა გავთამამდები და მოვიტან შეერთებული შტატების მაგალითს, ჩემი, როგორც მეგობრისა და დამკვირვებლის აღქმა იმდაგვარი იყო, რომ ვიეტნამის ომის მიწურულს სამხედროების სტატუსი სამწუხარო მიზეზების გამო ძალზე დაბალი იყო. თავისთავად აღარ იგულისხმებოდა, რომ მათ შეიარაღებულ ძალებში აშშ–ს საუკეთესო ახალგაზრდას სურდა გამხდარიყო ოფიცერი. ძალზე სამწუხარო ვითარებაა. ამჟამად საქმე სრულიად საპირისპიროდაა და შეიარაღებული ძალების სტატუსი ძალიან მაღალია. მინდა ვიფიქრო, რომ ჩემს საკუთარ ქვეყანაში შეიარაღებული ძალები პატივისცემით სარგებლობენ და მომავალშიც მიიზიდავენ ადამიანებს.

მაგრამ, ვუბრუნდები ძირითად თემას იმის შესახებ, რომ საზოგადოების ისეთი არმია ეყოლება, როგორსაც იმსახურებს. შეიარაღებულ ძალებსა და საზოგადოებას შორის ასეთი დამოკიდებულების პირობებში, იმისათვის რათა შემუშავებული იქნეს ისეთი კონცეფციები, რომლებზეც მე ზემოთ მოგახსენეთ, ცხადია, ზოგიერთ ქვეყანასა და რეგიონში აუცილებელია აზროვნების იმ პროცესის ისეთით შეცვლა, რომელზეც იურგენმა ისაუბრა, რომელიც უფრო გახსნილია დემოკრატიისა და ღია საზოგადოების მიმართ. ეს მტკივნეული გადასვლაა და სამხედროების ტრანსფორმაციას მოიცავს. ჩვენი ხედვით, არსებული პრობლემის ძირითადი ელემენტებია – კვლავაც გავიმეორებ, რომ არავინ ცდილობს თქვას, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს – შემდეგში მდგომარეობს: უსაფრთხოების საკითხების არასაკმარისი ცოდნა, განსაკუთრებით სამოქალაქო პირების, სამოქალაქო სამსახურის, პარლამენტის, ჟურნალისტების, იმ ხალხის მხრიდან, რომელთაც ნაკლებად უფიქრიათ უსაფრთხოების ასპექტებზე.

ამის გამო, რთულდება ქვეყნის ან რეგიონის ქმედითი უსაფრთხოების სისტემის შექმნა და ყველა სოციალური ფენა ურთიერთქმედებს თქვენი და თქვენი რეგიონისთვის მისაღები კონცეფციის შემუშავების მიზნით. ამას ემატება საზოგადოებრივი აპათია და ინდიფერენტულობა. თუ საზოგადოებრიობა არასდროს არ ყოფილა ამაში ჩართული და ეს ყოველთვის იყო სხვისი გადასაწყვეტი, მას ბუნებრივად გაუჩნდება შეკითხვა – "რატომ მაინც და მაინც ახლა?"

სამხედრო თვალსაზრისით საქმე იმაშია, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ უნდა ვიქონიოთ საზოგადოებრიობის მხარდაჭერა, რათა მივიღოთ ჩვენთვის აუცილებელი რესურსები – ხალხი და ფული, რათა თანადგომა აღმოვუჩინოთ თავდაცვით კონცეფციას. როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ, სამხედროები მუდმივად ვიბრძვით ამისთვის და ვერასდროს ვერ ვიღებთ საკმარისს.

დავუბრუნდეთ სოციალურ მხარეს და განვიხილოთ სამხედრო იზოლაცია. ნებისმიერი საზოგადოებისთვის სახიფათოა, თუ სამხედროები იქცევიან ელიტად ან იმად, რაც ელიტის საპირისპიროა, დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებულ ქვეკლასად. ამ საკითხის ანალიზი ასეთია –

ჩვენ აქ იმისთვის კი არ ვიმყოფებით, რათა სასწაულმოქმედი გადაწყვეტილებები მოგაწოდოთ, არამედ, რათა სტიმული მივცეთ დისკუსიებს.

დაბეჯითებით მოვუწოდებ ხალხს შეინარჩუნოს ის საუკეთესო, რაც არის ამჟამინდელ ან წინა სისტემებში. მათ შორის შეიძლება იყოს ბევრი რამ, ამ ქვეყნისთვის სრულიად გამართლებული ტაქტიკური სვლები. ვერც ერთი ჩვენგანი თავს უფლებას ვერ მისცემს გადაყაროს ჩვენს ხელთ არსებული მთელი ძველი საჭურველი და შეიძინოს გოლფის ყვანჯების ახალი პარტია. განსაზღვრეთ ის, რაც უფრო მისაღებია ძველი სისტემიდან, ვიდრე ნატო-დან. ვთქვათ, შვეიცარია ან შვეცია იძლევიან იმის ბრწყინვალე მაგალითებს, თუ როგორა არის შესაძლებელი უსაფრთხოების ან სამხედრო სისტემების განხორციელება. იმედია, ეს მიგვიყვანს თქვენი გარემოებებისათვის განუმეორებელი თვითკმარი უსაფრთხოების სისტემის შემუშავებამდე. ეს ეროვნული სისტემა განიხილება თქვენს მეზობლებთან ერთად და იქცევა გამჭვირვალე რეგიონულ სისტემად, ხოლო კონსულტაციები ამ პროცესის უმთავრესი ელემენტი იქნება. თქვენ, როგორც წესი, გესმით ხოლმე ნატო-ს ხელშეკრულების მეხუთე თავის შესახებ (კოლექტიური თავდაცვა), მაგრამ, რაც მართლაც უმნიშვნელოვანესია ამ ხელშეკრულებაში, ესაა მეოთხე თავი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს ეთათბირონ ერთმანეთს, მაშინ, როცა ერთობლივ პრობლემებს აწყდებიან.

იმედი მაქვს, რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია შედგება ამ რეგიონის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციების ჯამისგან ან მათი ნაწილებისგან, გულისხმობს სუვერენულ, ეროვნულ გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ როგორ მოაწყოთ თქვენი საკუთარი უსაფრთხოება და ამის შემდეგ მოდის დიდი *თუ*. თუ ორი ან მეტი სუვერენული სახელმწიფო თვლის, რომ მათი უსაფრთხოების მიზნები უკეთ მიიღწევა, თუკი ისინი ერთობლივ რეგიონულ გაერთიანებას შექმნიან, ანუ თუკი საკითხისადმი რეგიონული მიდგომა არსებობს, მაშინ, ცხადია, ეს არის ბაზა რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციისთვის. თავის მხრივ, ეს კონცეფცია შეიძლება ინტენსიურობის მიხედვით იცვლებოდეს კოლექტიური უსაფრთხოებიდან, როგორც ერთი უკიდურესობა, ნდობის შექმნის ზომებამდე, მეორეს მხრივ.

ასეთი რეგიონული კონცეფციის შექმნისათვის ხელშემწყობი პირობები უნდა არსებობდეს. არ არის აუცილებელი, რომ გარემოებები შესანიშნავი იყოს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ნატო-ს მაგალითს, როცა ის იქმნებოდა და საჭირო იყო სხვადასხვა ეტაპებზე მისი მისადაგება ყოფილ მტრებთან. იტალია, როგორც ყოფილი ღერძის სახელმწიფო, შეუერთდა ნატო-ს მისი შექმნისთანავე 1949 წელს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგ. თურქეთი და საბერძნეთი შეუერთდნენ მას 1952 წელს და ვფიქრობ, თურქეთის ელჩი დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ არცთუ ახლო მეგობრები ვიყავით იმ დროს – თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. ჩემი გერმანელი მეგობრები 1955 წელს შემოგვიერთდნენ. მრავალი ადამიანისთვის გაერთიანებული სამეფოდან, ნიდერლანდებიდან და ნორვეგიიდან ეს წარმოუდგენლად ძნელად მისაღები იყო. გაითვალისწინეთ, ისინი შეუერთდნენ ალიანსს 1955 წელს არმიის გარეშე, მაგრამ შემდეგ ესეც შეიცვალა. დასაწყისში არ არის აუცილებელი, რომ ყველაფერი სრულყოფილად წარიმართოს, მაგრამ რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის პრინციპები იგივეა, რაც ეროვნულისა.

განსაკუთრებით გამოვყოფდი ორ ასპექტს. საჯარო მხარდაჭერა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ეროვნული კონცეფციის შესაქმნელად და მის შესანარჩუნებლად, ცხადია, უფრო ძნელი მოსაპოვებელი იქნებოდა რეგიონული კონცეფციებისთვის, ვინაიდან საერთო ინტერესებმა, შესაძლოა სხვა გზებით გვატარონ, ხოლო წმინდა ეროვნულმა – სხვა. სხვადასხვა ეტაპებზე ვაწყდებოდით მძლავრ ნატო-ს მიმართ პროტესტებს, განსაკუთრებით საშუალო სიშორის ბირთვული ძალების განლაგებასთან დაკავშირებულ პროცესში. მეორე ისაა, რომ რეგიონული კონცეფციის შემუშავების პროცესი, შესაძლოა, მიგვიყვანს უსაფრთხოების სტრუქტურების ურთიერთგადაბმულ სისტემასთან, რაც, ჩემი აზრით, სრულიად აუცილებელია, რათა ერთმანეთს სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ელემენტები გადავაბათ.

ბოლო თემა, რომელსაც მინდა შევეხო, არის ის, თუ როგორ შეიძლება პროგრამის პარტნიორობა მშვიდობისათვის როლის შესრულება და როგორ შეუძლია ამ პროგრამას ხელი შეუწყოს

ნდობის ჩამოყალიბებასა და რეგიონული უსაფრთხოების შემუშავებას კავკასიაში. ვთვლი, რომ ეს დღევანდელი სალამოს სხდომის ერთ–ერთი საკითხია.

თუ ნებას დამრთავთ, შეგახსენებთ პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ოთხ მიზანს – ხელი შეუწყოს გამჭვირვალებას, წაახალისოს დემოკრატია, განავითაროს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლური ურთიერთობები სამხედრო სფეროში და, ბოლოს, შესაძლებელი გახადოს ერთობლივი მოქმედებები საქმიანობის შემდეგ სფეროებში – სამშვიდობო ძალები, ჰუმანიტარული თანადგომა და საძიებო და სამაშველო საქმე.

პირველი, რაც მინდოდა მეთქვა ისაა, რომ პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის სტრუქტურა შეიძლება ადაპტირებული იქნას და შეასრულოს თითქმის ყველაფერი, რაც შეიძლება პარტნიორებმა ისურვონ. რა თქმა უნდა, ეს მოხდება ინდივიდუალური პარტნიორობის იმ პროგრამის მეშვეობით, რომელსაც აირჩევს თავისთვის სახელმწიფო და რომლის თაობაზე შემდგომში სჯა–ბაასი გაიმართება. არსებობს პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ელემენტები, რომლებიც სწორედ ნდობის ჩამოყალიბებასა და რეგიონულ უსაფრთხოებას შეესაბამებიან. ჩვენი უსაფრთხოების კონცეფციის და თავდაცვითი ძალების ნატო-სთვისა და სხვა პარტნიორებისთვის გამჭვირვალება, ანუ – ღიად ყოფნა, აბსოლუტურად ფუნდამენტური საკითხია. ეს ასახულია, ჩვენ ასე ვუწოდებთ, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში, რომელშიც ჩვენ ყველას ვუმჟღავნებთ, თუ რას ვგეგმავთ – ესაა ნამდვილი გამჭვირვალება, რომელსაც მივყავართ მეორე ელემენტთან – ნდობის შექმნასთან, რაც შესაძლებელია ამ პროცესისა და მიმოხილვის (რაშიც საქართველო ამჟამად არ არის ჩართული), სემინარებისა და წვრთნების მეშვეობით. ეს, ჩემი, როგორც პრაქტიკოსის აზრით, ქმნის იმას, რაც ალიანსის შუაგულში ძევს – ურთიერთს შორის თანამშრომლობის ჩვევას ყველა დონეზე, პოლიტიკურსა თუ სამხედროზე და მე ხედავ, რომ ის მართლაც ცენტრალური ნაწილია. ცხადია, ეს ჩვევა მხოლოდ ნატო-სთვის არ არის დამახასიათებელი, მაგრამ, შესაძლოა ნატო-ში ჩვენ უფრო მეტად ვართ შეთამამებულნი, ვიდრე სხვა სტრუქტურებში.

ტექნიკურ დონეზე ჩვენ გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მიზნები პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში, რომლებიც საშუალებას აძლევენ ქვეყნებს უკეთ ითანამშრომლონ ერთმანეთთან და ნატო-ს ქვეყნებთან. მართლაც, მებადება აზრი, რომ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების გაერთიანების კანდიდატები უკვე პარტნიორები არიან. ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ურთიერთთანამშრომლობის უნარი, რაც ძნელადმისაღწევი ჩანს, ნატო-ში სხვადასხვა დონეზე არსებობს. ნატო-ში ჩვენ ნამდვილად ვერ ურთიერთთანამშრომლობთ სრულად. ჩვენ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და ამას არავითარი საერთო არ აქვს ჩემს უუნარობასთან, ვილაპარაკო ფრანგულად.

გამოსვლას ცოტა არ იყოს აპოლოგეტური ტონით ვამთავრებ, ვინაიდან ჩვენ არ გაგვაჩნია ეს სრული ურთიერთთანამშრომლობის უნარი ნატო-ში. მაგრამ, ვფიქრობ, ეს შესაფერისი ტონია ჩემი მოხსენების დასამთავრებლად. ჩვენ ნატო-ში ნამდვილად არ გვაქვს პასუხი ყველა ამ პრობლემაზე და არც ვცდილობთ და არც პრეტენზია გვაქვს, რომ ვიქონიოთ. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩვენი ალიანსი ძალიან კარგად აკმაყოფილებს დასავლეთ ევროპის რეგიონულ მიზნებს. იმის და მიხედვით, თუ როგორ იცვლება მსოფლიო, ჩვენც ვერგებით ახალ ვითარებას. აქ ჩვენ ყველანი მოვედით ჩვენს მიერ განცდილი გაკვეთილებითა და გამოცდილებით და, ჩემი აზრით, ვცდილობთ, თქვენთან ერთად განვიხილოთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების პრობლემები და განვსაზღვროთ მათი შესაძლო გადაწყვეტილებები. მე მტკიცედ მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ერთმანეთს.

*ამის შემდეგ დოქტორმა ხუციშვილმა გამოაცხადა დისკუსიის დასაწყისი.*

მოიხსენია რა უთანხმოებები ნატო-ს სახელმწიფოებს შორის საწყის ეტაპზე და ადმირალ გრეტონის კომენტარი იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობები, არ არის აუცილებელი ისინი სრულყოფილი იყოს, დოქტორმა გია ნო-

დიამ (მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი) დასვა შეკითხვა, "რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიის წინაპირობა რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებისათვის?" ადმირალმა გრეტონმა გამოთქვა აზრი, რომ უკიდურესად რთული იქნებოდა იმ სახელმწიფოთა შორის გაერთიანებული კონცეფციის შემუშავება, რომლებსაც არ აქვთ მსგავსი პოლიტიკური ხედვა (ამის თაობაზე საბჭოეთის მაგალითი მოიყვანა ბ–ნმა იურგენ შულცმა) და რომ კრიტერიუმებში დემოკრატიის რაღაც დონეა გასათვალისწინებელი. ასევე გასათვალისწინებელია უნარი – წვლილი შეიტანო უსაფრთხოებაში და არა მხოლოდ ისარგებლო უსაფრთხოების სიკეთით. მან ხაზი გაუსვა, რომ სრულყოფილება აუცილებელი არ არის. ბ–ნმა იურგენ შულცმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც კი განსაზღვრული კრიტერიუმებისადმი ერთგულება მსჯელობის საგანი უნდა იყოს და უდავოა, რომ დემოკრატია ყველაზე მეტად აძლევს სახელმწიფოს თანამშრომლობის საშუალებას, დადებით ზეგავლენას ახდენს უსაფრთხოების შემუშავების გამჭვირვალებაზე, ხელს უწყობს ანგარიშვალდებულებას და, ამის შედეგად, ნდობას აყალიბებს.

პროფესორ ბაიჩოროვს (ეუთო–ს მისია საქართველოში) ირონიულად ეჩვენა ის, რომ ნატო-ს შტაბ–ბინაში 1995 წლის სექტემბერში ჩატარებული სწავლება, როგორც ჩანს, დიდ სრულყოფილებას მოითხოვს და ადმირალმა უპასუხა, რომ თუმცა ის არ შეაფასებდა ამას, როგორც სრულყოფას, ნატო-ს წევრობისათვის კრიტერიუმების ფართო სპექტრის ერთგულების აუცილებლობა, სინამდვილეში, კვლავაც ცხოველი დებატების საგნად რჩება. მან, ასევე, თქვა, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნების უმეტესობა, თუ ყველა არა, მხარს უჭერს "მიერთების ბილეთის მაღალ ფასს".

ბ–მა დიტრიჰ შპერლინგმა (ბუნდესტაგი) დასვა კითხვა, მოითხოვს თუ არა რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურა იმას, რომ უნდა არსებობდეს საყოველთაოდ გაზიარებული საფრთხე და მუქარა. ადმირალმა გრეტონმა თქვა, რომ დიახ, პირადად მისი აზრით ეს ასეა. ნატო-ს ყოველწლიური "ორივე მხარეს განაპირა" რისკის შეფასება გვიჩვენებს, რომ

ყველაზე მიღებული რისკის ფაქტორები კარგადაა გაზიარებული ალიანსის შიგნით, თუმცა არსებობს საფრთხის სხვადასხვა აღქმა და ეს სავსებით ნორმალურია. მან მაგალითად მოიყვანა თურქეთი და ნორვეგია, რომლებმაც, შეიძლება სხვადასხვაგვარად აღიქვან საფრთხეები.

წამოიჭრა კითხვა, როგორ შეიძლება განისაზღვროს რისკის ფაქტორი კავკასიის რეგიონისათვის, განსაკუთრებით, საგარეო რისკის ფაქტორი. მიღწეული იქნა საერთო თანხმობა იმის თაობაზე, რომ საგარეო რისკის დადგენის საკითხი განიხილება და გაირკვევა კონფერენციის მსვლელობის დროს. ადმირალმა გრეტონმა გააკეთა საბოლოო შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ნატო-ს მსგავსი რეგიონული უსაფრთხოების ორგანიზაციებმა დაამტკიცეს თავისი არაეფექტურობა საშინაო კონფლიქტების მოგვარებაში. მან მაგალითად მოიყვანა გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთ ირლანდია და ხაზი გაუსვა, რომ ბრიტანეთის მთავრობა კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ნატო-ს ჩართვა სიტუაციას შეესაბამებოდა.

# სპეციალური თემატური მოხსენებები

## მშვიდობის ძიება აფხაზეთში

*ბ-ნი უილიამ კორტნი, აშშ-ს ელჩი საქართველოში*

---

ჩემთვის დიდი პატივია, შემოგიერთდეთ დღეს ამ მნიშვნელოვან სემინარზე, რომელიც ტარდება ნატო-ს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის", თბილისის კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის ეგიდით. რეგიონული უსაფრთხოება სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია კავკასიაში. უსაფრთხოების გაძლიერებასთან ერთად გაიხსნება ახალი პერსპექტივები რეგიონული თანამშრომლობისათვის. პროგრამამ "პარტნიორობა მშვიდობისათვის" უჩვენა, რომ ის არის შემოქმედებითი და დინამიური ინსტრუმენტი. იგი ხელს უწყობს ევროპაში სტაბილურობის ზრდას, ამცირებს მშვიდობისთვის პოტენციურ საფრთხეს, ანვითარებს ძლიერ ურთიერთობებს, პრაქტიკული თანამშრომლობის და დემოკრატიული პრინციპებისადმი თავდადების სულის განმტკიცებას.

ამ კეთილშობილური მიზნების სულისკვეთებით დღეს მე მინდოდა თქვენთან ერთად განმეხილა კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერების უმნიშვნელოვანესი საკითხი – აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის საკითხი. სამშვიდობო გზების ძიება მიმდინარეობს, მაგრამ გასავლელი გზა კვლავაც რთული და გაურკვეველია. მთავარი პრობლემა არის არა საუკუნეობრივი შუღლი, არამედ "გაყავი და იბატონე" – საბჭოთა პოლიტიკის მემკვიდრეობა, რომელიც ერთმანეთს უპირისპირებს ეთნიურ ჯგუფებს, რათა უზრუნველყოს ცენტრალური ხელისუფლების წამყვანი როლი.

საქართველოს ხალხმა, კონფლიქტის ორივე მხარეს, უდიდესი ტანჯვა გამოიარა და მტკივნეულად განიცდის 1992-93 წლების ომს. აფხაზი სეპარატისტები მოითხოვენ დამოუკიდებლობას და რუსეთთან უფრო მჭიდრო კავშირს. ისინი ხელს უშლიან 200 000-ზე მეტ ადამიანის, რომლებმაც დატოვეს აფხაზეთი, საკუთარ სახლებში დაბრუნებას. საქართველო და

საერთაშორისო საზოგადოებრიობა ითხოვს მათ გადაუდებელ დაბრუნებას. საქართველომ განაცხადა, რომ მიანიჭებდა აფხაზეთს ფართო ავტონომიას, თუკი ადგილნაცვალი პირები და ლტოლვილები დაბრუნდებოდნენ. საერთაშორისო საზოგადოებრიობა არ ცნობს აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.

შესაძლოა, უმჯობესდება ზოგიერთი განმსაზღვრელი პირობა აფხაზეთის დაპირისპირების გადასაჭრელად. პირველი, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების სწრაფი გატარებით საქართველო და რუსეთი თავიანთი თანამშრომლობისთვის აფართოვებენ შესაძლებლობებს. მეორე, საერთაშორისო იზოლაცია და დსთ–ს ეკონომიკური სანქციები საყრდენს აცლიან აფხაზეთს და ქმნიან შიდა დაძაბულობას. მესამე, როგორც საქართველო, ასევე რუსეთი დაინტერესებულია მშვიდობის დამყარებით. საქართველოს უნდა, შეამსუბუქოს ადგილნაცვალ პირთა ტვირთი. სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის აღდგენა რუსეთის მიმართულებით და მის საზღვრებს მიღმაც წაადგება საქართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარებას. რუსეთი, ასევე, მოწადინებულია, განაახლოს სატრანსპორტო მიმოსვლა საქართველოსა და სომხეთში, როგორც სტრატეგიული მოსაზრებებით, ასევე ამიერკავკასიაში დასავლეთის მზარდ ეკონომიკურ აქტივობასთან კონკურენციის გაწევის მიზნით. ჩეჩნეთის კონფლიქტით გახლეჩილი რუსეთი ცდილობს დააცხროს სეპარატისტული განწყობილებები რეგიონში.

აფხაზი სეპარატისტი ლიდერები არ აღიარებენ ამ ცვალებად რეალობას და კვლავაც ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ კომპრომისს, რომელიც საერთაშორისო მხარდაჭერით ისარგებლებდა. რა თქმა უნდა, ამ ტრაგიკულ კონფლიქტს ვერც ერთი მხარე ვერ დაივიწყებს. მაგრამ, სიმწარე გვერდზე უნდა გადაიდოს იმ ახალი გზების ერთობლივი ძიებისას, რომლებიც ამცირებენ ომის რისკს, იცავენ ადამიანის უფლებებს და გვთავაზობენ უკეთეს მომავალს. ამ მიზნის მისაღწევად პრეზიდენტმა შევარდნაძემ აღიარა, რომ "სხვადასხვა დროსა და ეტაპებზე საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა სერიოზული შეცდომები", როგორც აფხაზებთან, ასევე სხვებთან მიმართებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უსაფრთხოების ზონები

1994 წლის მაისში, რვა თვის შემდეგ, რაც აფხაზეთი დაექვემდებარა სეპარატისტების კონტროლს, საქართველო და აფხაზი სეპარატისტები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე და მდ. ენგურის გასწვრივ უსაფრთხოების ზონის შექმნაზე, რომლის ფარგლებშიც არც ერთ მხარეს არ ექნებოდა სამხედრო ძალის განთავსების უფლება. უფრო ფართო ზონაში ვერც ერთი მხარე ვერ განალაგებდა მძიმე ტექნიკას. აღნიშნული შეთანხმება, ასევე, ითვალისწინებდა დსთ-ს სამშიდობო ძალების განლაგებას უსაფრთხოების ზონაში, შეთანხმების პირობების დაცვაზე მეთვალყურეობის მიზნით.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეხედულებით, ეს შეთანხმება ძირითადად დაცული იყო. მაგრამ, შეიარაღებული შეტაკებები და ტერორიზმი გრძელდება. ნაღმების აფეთქებასთან დაკავშირებულმა ინციდენტებმა იმსხვერპლა საქართველოში გაერო-ს მათვალყურეთა მისიის და დსთ-ს სამშვიდობო ძალების პერსონალის წევრები. აპრილში გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გამოხატა შეშფოთება "აფხაზეთის მხარის კონტროლს ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მზარდი ძალადობისა და მკვლელობების შესახებ შეტყობინებების" თაობაზე. ნაღმების საშიშროების გამო გაეროს მეთვალყურეთა მისიამ მნიშვნელოვნად შეამცირა თავისი სამეთვალყურეო არეალი აფხაზეთის გალის რაიონში და ვერ ამოწმებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების უმრავლესობას. გალში სპონტანურად დაბრუნებული პირები ქმნიან თავდაცვით რაზმებს. აფხაზეთის მილიციის მხრიდან კონტროლი არაეფექტურია და მოქმედებენ აფხაზური და ქართული შეიარაღებული ბანდები. მძევლების აყვანა, ნაღმები და შეიარაღებული შეტაკებები შემაშფოთებელ პრობლემებს ქმნიან.

საქართველომ გააგრძელა სამშვიდობო ძალების მანდატი. ნაკლოვანებების მიუხედავად, სამშვიდობო ძალებმა, გაძლიერებულმა საქართველოში გაერო-ს მეთვალყურეთა მისიის ყოფნით, საბოლოო ჯამში, მასტაბილიზირებელი როლი შეასრულეს. მაგრამ, როგორც სამშვიდობო ძალების, ასევე საქართველოში გაერო-ს მეთვალყურეთა მისიის ყოფნა დროებითია. თუ მოლაპარაკებები წინ არ წაიწევს და შეიარაღე-

ბული შეტაკებები შეაფერხებს ამ ძალების ქმედითუნარიანობას, მათი არსებობისათვის აუცილებელი კონსენსუსი შესუსტდება.

ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა გაჭირვება განსაკუთრებით აძლიერებს საერთაშორისო შეშფოთებას აფხაზეთის თაობაზე. 1994 წლის აპრილში ქართველმა და აფხაზმა წარმომადგენლებმა შეათანხმეს დაბრუნების გეგმა. პირველ ეტაპზე, 1994 წლის ოქტომბრისთვის, 80 000 ადამიანი უნდა დაბრუნებულიყო. აფხაზებმა არ დაიცვეს შეთანხმება და პროგრამა აღარ განხორციელდა. უსაფრთხოების პირობების არარსებობა აბრკოლებს ლტოლვილთა სპონტანურ დაბრუნებას აფხაზეთის სამხრეთის საზღვრის მიღმა ტერიტორიებზე, სადაც დაახლებით 30 000 ადამიანი დაბრუნდა.

უსაფრთხოებისათვის რისკის მიუხედავად, საერთაშორისო ჯგუფები სასიცოცხლო მნიშვნელობის ჰუმანიტარულ დახმარებას აწვდიან აფხაზეთში მცხოვრებ გაჭირვებულ მოსახლეობას, დაბრუნებული პირების ჩათვლით. თავდადებით მუშაობს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალი, როგორიცაა "წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი", "გაერო-ს ლტოლვილთა საქმეთა უმაღლესი კომისრის სამსახური", "ექიმები საზღვრებს გარეშე", "აქცია შიმშილის წინააღმდეგ", და "პირველხარისხოვანი გადაუდებელი საკითხები".

თუკი არ იქნება სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგება, რომელიც მოიცავს გაუმჯობესებული უსაფრთხოების პირობებს დაბრუნებულთათვის, ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა უმრავლესობა ვერ გაბედავს სახლში დაბრუნებას. ნებისმიერი დაბრუნება უნდა იყოს ნებაყოფილობითი და მშვიდობიანი, განხორციელებული საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით.

## ადამიანის უფლებები და ომის დანაშაულებანი

გაერო-ს უშიშროების საბჭო და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ანუ ეუთო, გეგმავენ ითანამშრომლონ ადამიანის უფლებების დაცვის ახალ ოფისში აფხაზეთში. ეს ოფისი ხელს

შეუწყობს ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის გაძლიერებას და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას, გააუმჯობესებს რა ადამიანის უფლებების დაცვის პირობებს. ორი წლის მანძილზე ეუთო-მ ნდობა მოიპოვა საქართველოში ციხეების მონახულებითა და ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე მოხსენებების წარდგენით.

აფხაზეთის თაობაზე ეუთო–ს სამიტის განცხადებაში გამოთქმულია „ღრმა შეშფოთება ეთნიური წმენდის, ძირითადად ქართული მოსახლეობის თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი განდევნისა და დიდი რაოდენობით უდანაშაულო სამოქალაქო პირების დაღუპვის თაობაზე.“ ორივე მხარის მიერ გულდასმით გაწეული მუშაობა მხეცური ძალადობისა და დანაშაულებების მტკიცებების ჭეშმარიტების დასადგენად ხელს შეუწყობს იარების შეხორცებასა და შერიგებას ჩაუყრის საფუძველს.

## სამართლებრივი სტატუსი

აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა ყოვლისმომცველი მოწესრიგების უმთავრესი საკითხია. საქართველომ წამოაყენა თავის წინადადება. ფედერალური სახელმწიფოს კონტექსტში ფედერალური ორგანოები გააკონტროლებდნენ ისეთ სფეროებს, როგორებიცაა საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, საშინაო უშიშროების საკითხები, ფულადი პოლიტიკა, საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ეკოლოგია. აფხაზეთს, მაგალითად, ექნებოდა თავისი საკუთარი დროშა, ჩამოაყალიბებდა საკუთარ ორგანოებს, გაატარებდა საკუთარ საბიუჯეტო, საგადასახადო, სოციალური დაცვისა და ბუნებრივი რესურსების პოლიტიკას.

საქართველოს წინადადება შეიძლება ყოფილიყო საფუძველი ლეგალური მოლაპარაკებების დაწყებისათვის. ხაზი უნდა გაესვას საერთაშორისო მეთვალყურეობით არჩევნების ჩატარების აუცილებლობას. თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სტაბილური, მრავალეთნიური საზოგადოების განვითარებისთვის, რომელშიც მთავრობას კანონიერი ძალაუფლება უპყრია ხელთ, ხოლო ადამიანის

უფლებები დაცულია. არ შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო აღიარება ან სამართლებრივი სტატუსი არჩევნებს, ჩატარებულს ადგილნაცვალ პირთა და ლტოლვილთა მონაწილეობის გარეშე.

## მოლაპარაკებები ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე

გაერო-ს უშიშროების საბჭომ გააკეთა მოწოდება, რომ გაერო-ს ეგიდითა და რუსეთის ხელშეწყობით გაწეულიყო ძალისხმევა „კონფლიქტის დროული და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგებისთვის“, საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების სრული დაცვით. უფრო ადრე ამავე წელს საბჭომ გამოთქვა „ღრმა შეშფოთება“ იმის გამო, რომ მოლაპარაკებების მსვლელობა „კვლავ ჩიხშია მოქცეული“. საბჭომ მოუწოდა მხარეებს, „განსაკუთრებით კი აფხაზურ მხარეს“, მიაღწიოს არსებით წინსვლას.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც მოლაპარაკებების უმეტესობა გაერო-ს მონაწილეობის გარეშე ტარდება. როგორც ჩანს, მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა. „საქართველოს მეგობრების“ ჯგუფი – საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო და ამერიკა – მხარს უჭერს მოლაპარაკებების ისეთ პროცესს, რომელიც ნდობას იმსახურებს. ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევა მოითხოვს საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ლიდერთა ჩართვას, ისევე როგორც გაერო-ს, ეუთო-ს და დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობას. პრეზიდენტმა შევარდნაძემ და აფხაზეთის ლიდერმა არძინბამ გამოხატეს დაინტერესება პირდაპირი კონტაქტის დამყარებაში, რაც სასარგებლო იქნება.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მონაწილე მხარეს, მხარი დაუჭირონ მოლაპარაკებების გზით მიღწეულ შედეგს. საქართველოსადმი საერთაშორისო მხარდაჭერა გაიზარდა, ვინაიდან ქვეყანა მნიშვნელოვან დემოკრატიულ და ეკონომიკურ რეფორმებს ატარებს და სეპარატიზმით გამოწვეული დაპირისპირებების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას ეძიებს. რუსეთს ასევე გადამწყვეტი როლი აკისრია – მოუწოდოს აფხაზ

სეპარატისტებს რეალისტურ საწყისებზე აწარმოონ მოლაპარაკება. რუსეთი, ისევე, როგორც საქართველო, დაინტერესებულია სტაბილურობის გაძლიერებით, ვაჭრობისა და ადამიანური კონტაქტების განვითარებით, რაც მთელს რეგიონს გამოაცოცხლებს.

ჩვენ არა გვაქვს რაიმე ილუზია იმის თაობაზე, რომ შერიგების გზა აფხაზეთში უეკლო იქნება. ყოველმხრივ გაცნობიერებულმა წინამძღოლობამ, პასუხისმგებლობით აღსავსე ქმედებამ და ჭეშმარიტად გულახდილმა მოლაპარაკებამ წარმატება უნდა მოიტანოს. ყოვლისმომცველი მოწესრიგების კონტექსტში საერთაშორისო საზოგადოებრიობას შეუძლია დაეხმარონ უშუალოდ მონაწილე მხარეებს ისეთი ძირეული საკითხების განხილვაში, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ჰუმანიტარული და სხვა საკითხები. ამერიკა, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრები, მზად არიან მხარდაჭერის აღმოსაჩენად.

*ამ გამოსვლის შემდეგ სიტყვა კომენტარისთვის მიეცა მის აღმატებულება ბერნარ ფასიეს, საქართველოში საფრანგეთის ელჩს. ელჩმა ფასიემ აღწერა არაფორმალური ჯგუფის „საქართველოს მეგობრების“ საქმიანობა, რომელიც შეიქმნა 1993 წელს აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებათა ხელშეწყობის მიზნით და რომლის მუშაობა შეიძლება გაშუქდეს კონფერენციის მთავარი თემის ფარგლებში. თავდაპირველად მან ხაზი გაუსვა იმ პარტნიორებს შორის ნდობის შექმნის აუცილებლობას, რომლებიც ცდილობენ, ჩამოაყალიბონ ეფექტური კოალიცია, რათა მოაწესრიგონ კონფლიქტი და ხელი შეუწყონ უსაფრთხოებას. მან აღწერა „მეგობრების“ ჯგუფში თანამშრომლობის ევოლუცია, როგორც „ცივი ომის“ დროიდან შემორჩენილი დამოკიდებულების გადალახვის მცდელობა თანამშრომლობის საწყის ფაზაზე და რუსეთის ერთგვარი მცდელობები პირდაპირ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შეეყვანა მეორე ეტაპზე (1995 წლის შუაგულიდან დღემდე) და მინიმუმამდე დაეყვანა გაეროს-ს მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ უმნიშვნელო პროგრესი მოლაპარაკებებში საქართველოს ხელმძღვანელობის იმედგაცრუებას იწვევს, რომელიც უფრო აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებს როგორც ხელშემწყობ მხარეს*

*(რუსეთს), ასევე გაერო-ს. ელჩმა ფასიემ აღნიშნა, რომ თანამშრომლობისკენ მიმართული ეს ძალისხმევა მაინც სასარგებლოა, რამდენადაც ქმნის მნიშვნელოვან პრეცედენტს, ანუ, იგულისხმება გაერო-ს უშიშროების საბჭოს აქტივობა და მისი რეზოლუციები.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატო-ს გაფართოება

*ბ–ნი ვერნერ ბაუვენსი, საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ნატო-ს პრესისა და ინფორმაციის ბიურო*

---

ცხოვრება აღსავსეა სიურპრიზებით. დილის 9 საათიდან აქ ვარ, რათა ვიმსჯელო ნატო-ს გაფართოების შესახებ, მაგრამ მაინც ვგრძნობდი ზნეობრივ ვალს, ხელიდან არ გამეშვა ეს შესაძლებლობა.

ნატო ამ კონფერენციის ძირითადი თემა არ არის, მაგრამ ამ რეგიონმა უცილობლად უნდა მიაქციოს ამ საკითხს ყურადღება, რამდენადაც მას სერიოზული შეხება აქვს რუსეთის უსაფრთხოებასთან და უსაფრთხოების ინტერესებთან, აგრეთვე იმასთან, თუ როგორ ჩამოყალიბდება რუსეთის პოლიტიკა კავკასიის მიმართ.

ეუთო–ს წევრი ყველა სახელმწიფო ცნობს ყოველი ქვეყნის უფლებას, განახორციელოს თავისი საკუთარი უსაფრთხოებისთვის აუცილებელი ღონისძიებები ალიანსში მონაწილეობის ჩათვლით. ამ პრინციპისადმი ერთგულების იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც იგულისხმებდა მხოლოდ შეზღუდულ სუვერენიტეტს, ეწინააღმდეგება "ცივი ომის" შემდგომი ევროპის რეალიებს.

1994 წლის იანვარში, როცა დასაბამი მიეცა პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისათვის, ნატო-მ მიიღო გაფართოების პროგრამა, რომელსაც არა თუ ზიანი არ უნდა მოეტანა ახალი განუყოფელი ევროპისთვის, არამედ უნდა გაეძლიერებინა ცალკეული და ყველა სახელმწიფო. გაფართოება უნდა იყოს თანდათანობითი, კარგად მოფიქრებული და გამჭვირვალე და ესეც ეუთო–ს დისკუსიების თემაა.

1994 წლის მანძილზე რუსეთმა, უკრაინამ, ტრადიციულად ნეიტრალურმა ფინეთმა და შვეციამ ხელი მოაწერეს პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისათვის. 1994 წლის დეკემბერში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა დასაბამი მისცეს ნატო-ს კვლევით პრო-

გრამას, რომლის მიზანია გაფართოების პროცესის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება — იმის გარეშე, რომ შეეხოს ან მიმართოს რომელიმე კონკრეტულ ქვეყანას ან შეიმუშავოს ქმედებათა კონკრეტული განრიგები. ამ კვლევის შედეგები, გამჭვირვალების სულისკვეთებიდან გამომდინარე, საჯაროდ 1995 წელს გახდა ცნობილი.

ყურადღება გავამახვილოთ ამ კონცეპტუალური მიდგომის ელემენტებზე.

ნატო-ს გაფართოება, ახალი წევრების ინტეგრაციასთან ერთად, დანახულია, როგორც ფართო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილი, ამასთან, მტკიცედაა განზრახული ძლიერი თანამშრომლური ურთიერთობები ქვეყნებთან, რომლებიც მას მოგვიანებით მიუერთდებიან ან საერთოდ არ მიუერთდებიან. ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო და პარტნიორობა მშვიდობისათვის, ისევე, როგორც დისკუსიები ეუთო-ში, სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამჟამად, ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო შეიმუშავებს პროგრამას პარტნიორობა მშვიდობისათვის II, ანუ, ამ პროგრამის მეორე თაობას და ამ რეგიონის ქვეყნები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ამ პროცესით.

ნატო-ს ინტერესში ვერ იქნება ახალი დაძაბულობის შექმნა, რომელიც გამოიწვევდა თავდაცვითი საჭიროებებისათვის დანახარჯების შემდგომ ზრდას (რასაც წინააღმდეგობას გაუწევდა ჩვენი საზოგადოებრივი აზრი). ნატო-ს ახალი წევრები არ აღმოჩნდებიან სტერილურ გარემოში, რომელიც იმ მეზობლებისგან დისტანცირების საშუალებას მისცემდა მათ, რომლებიც ან შეუერთდებიან ნატო-ს, ან არა, ან არასდროს შეუერთდებიან. ამჟამად შემუშავების სტადიაში მყოფ დიალოგში ნატო-სა და რუსეთს შორის მათი უშუალო მონაწილეობა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში რუსეთთან გაწონასწორებული ურთიერთობების ისევე, როგორც უკრაინასთან, მისი მნიშვნელობის ზრდასთან ერთად, განსაკუთრებული ურთიერთობების შემუშავებისათვის პასუხისმგებლობის შეგრძნებას გაზრდის.

ნატო-ს გაფართოება მიმართული არ არის ვინმეს წინალმდეგ და ნატო-ს მოქმედება, რომელიც სცილდება კოლექტიური თავდაცვის ფარგლებს (მშვიდობის მხარდაჭერა და მშვიდობის დამკვიდრება ბოსნიაში), შესაძლოა მხოლოდ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ან ეუთო-ს მიერ გაცემული მკაფიო მანდატის შემთხვევაში. ვფიქრობთ, ნატო-ს გაფართოებით, ახალი წევრების წყალობით, სტაბილურობის ზონის გაფართოებით მთელი ევროპა ნახავს სიკეთეს. თვით გაფართოების პროცესი იწვევს კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, საშინაო ეთნიური და საგარეო ტერიტორიული დავების გადაჭრას, როგორც ფაქტორი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს იმაში, მიიღებს თუ არა ქვეყანა ალიანსში გაერთიანების მოწვევას.

ჩვენს ანალიზებში დემოკრატია არის არა მარადიული ნირვანის, არამედ მუდმივი ცვლილებების მდგომარეობა. გათვალისწინებულია აუცილებელი სტრუქტურები და პროცედურები. ეს ისაა, რასაც გულისხმობს დემოკრატული მოქცევა, როგორც კრიტერიუმი გაწევრიანებისათვის. ყველა წევრი ისარგებლებს ყველა უფლებით და გაიზიარებს ყველა სახის პასუხისმგებლობას, რათა მიერთების შემდეგ წვლილი შეიტანოს უსაფრთხოებაში, მიიღოს და შეეგუოს სტრატეგიულ კონცეფციებსა და პროცედურებს, მიღებულს ნატო-ს ყველა წევრისათვის.

ნატო არ გეგმავს "მეორე რიგის სტატუსს" აღმოსავლეთ ევროპელი წევრებისთვის მათი პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურების არჩევანის შეზღუდვის გზით. ნატო-ში წევრობის დონე არ შეიძლება ნაკარნახევი იყოს სხვა სახელმწიფოს მიერ, ის ყოველ მოცემულ ქვეყანასთან გამართული ორმხრივი დიალოგის შედეგი იქნება.

ერთი რამ ცხადია, წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ჯარების ან ბირთვული შეიარაღების განლაგების წინაპირობა არ არსებობს. ასეთი განლაგება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნების ფორმალური თანხმობის შემთხვევაში. ნატო-ს ამჟამინდელი მიდგომა ბირთვული საკითხისადმი, რომელიც მომდინარეობს "ცივი ომის" შემდგომი შორს მიმავალი შეთანხმებებიდან განიარაღების შესახებ, ნატო-ს გაფართოების სტრატეგიულ მოთხოვნებს სრულყოფილად პასუხობს.

ნატო-ს ინფრასტრუქტურაში ახალი წევრების ინტეგრირება გადაწყდება ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე სანდო კოლექტიური მიდგომისა და ხელმისაწვდობი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

ურთიერთთანამშრომლობის უნარი უმნიშვნელოვანესი საკითხია დოქტრინის შემუშავების, დაგეგმვის, ჯარების წვრთნისა და კომუნიკაციების სფეროებში. ეს ასპექტები პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამასა და ერთიანი სამშვიდობო ოპერაციების მზადების პროცესშია წარმოდგენილი.

სამხედრო ალჭურვილობის სრული ინტეგრაცია არ დგას დღის წესრიგში. შეიარაღების თუნდაც ნაწილობრივი მოდერნიზაცია გამოიწვევს სერიოზულ საბიუჯეტო პრობლემებს და ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ.

ახალი წევრების მიღება განხორციელდება, როგორც პარალელური პროცესი, რომელიც ევროპის კავშირს შეავსებს. ორივე განხორციელდება ავტონომიურად, მაგრამ მოვლენების განვითარება ერთ–ერთი მიმართულებით მეორეს მიერ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. საბოლოოდ ევროკავშირში წევრობა ნატო-ში, ევროპის კავშირსა და დასავლეთ ევროპის კავშირში დადებითად იმოქმედებს ევროპის უსაფრთხოებაზე. ნატო-ც და დასავლეთ ევროპის კავშირშიც თავიანთ წევრებს ფორმალური უსაფრთხოების გარანტიებს სთავაზობენ. ეს ვალდებულებები, იმის გამო, რომ ისინი ფორმალურია, უნდა იყოს ერთგვაროვანი და მისაღები. ამჟამად, დასავლეთ ევროპის კავშირის ყველა წევრი ნატო-შია გაერთიანებული. ევროკავშირის გაფართოება, ნაწილობრივ ზოგადად საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების განზომილებიდან გამომდინარე და მისი დასავლეთ ევროპის კავშირთან ჯერაც განსასაზღვრი დამოკიდებულების თვალსაზრისით ნატო-სთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია. 1995 წლის მადრიდის სამიტზე ევროკავშირი დათანხმდა, რომ მისი გაფართოების პროცესით მიმდინარე მთავრობათაშორის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ექვსი თვის შემდეგ დაიწყება ახალი ფაზა. როგორც ნატო-ს გაფართოების ინდიკატორი, ევროკავშირი უნდა აცნობიერებდეს ევროპაში ახალი გამყოფი ხაზების შექმნის რისკს. ნატო-ს გაფართოება

არ უნდა განიხილებოდეს როგორ ალიანსში ჭეშმარიტად "ევროპული სვეტის" შექმნის პერსპექტივის, ტრანსატლანტიკური პარტნიორობის უცილობელი ხელახალი განსაზღვრის, ევროპის უსაფრთხოებაში აშშ-ს როლის ანალიზისგან მოწყვეტით.

ნატო-მ დასაბამი მისცა ალიანსის სამხედრო ასპექტების რესტრუქტურიზაციის პროცესს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები "ევროპული სვეტის" გაძლიერებისა და ნატო-სა და დასავლეთ ევროპის კავშირს შორის მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე. შეთანხმება მიღწევის სტადიაშია და შესაძლებელს გახდის ალიანსის კოლექტიური წვლილის შეტანას დასავლეთ ევროპის კავშირში, რაც გამოიხატება ევროპელი მოკავშირეების მცდელობაში, ერთობლივ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას მიაღწიონ. ამ ახალ კონცეფციას, თუ პოლიტიკურ და სამხედრო ენაზე ვიტყვით, ეწოდება "შერეული გაერთიანებული განხორციელების ძალები". ეს გულისხმობს ნატო-ს სამხედრო სარდლობის სტრუქტურების მეტ მოქნილობას. კონკრეტული მაგალითია ნატო-ს გაერთიანებული ძალები ბოსნიაში, სადაც ნატო-ს და არა მხოლოდ ნატო-ს ქვეყნები ერთად მუშაობენ ნატო-ს სარდლობაზე დამყარებულ სტრუქტურებში და მისი კონტროლის ქვეშ. ეს ქმნის ყველა მონაწილე სამხედრო შენაერთის კოორდინაციისა და უსაფრთხოების გარანტიას.

მას შემდეგ, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები მიუერთდებიან ალიანსს, ისინი შეუერთდებიან ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობას, რომელსაც იმ დროისთვის ადაპტირებული ექნება თავისი პოლიტიკური თუ სამხედრო სტრუქტურა, რესურსები და სამუშაო მეთოდები ახალი ევროპული უსაფრთხოების გარემოს მოთხოვნებისა და ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპული კავშირის მოლოდინის მიმართ.

1996 წლისათვის ნატო-ში გაერთიანებული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს, განახორციელონ ინტენსიური ინდივიდუალური დიალოგი გაფართოებული სწავლების ბაზაზე იმ ქვეყნებთან, რომლებსაც ამის სურვილი აქვთ. ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები 15 სახელმწიფოსთან. მოკავშირეები განსაზღვრავენ გაფართოების შედეგებს, მაშინ, როცა თვით ნატო, როგორც ორგანიზაცია, შეაფასებს საბი-

უჯეტო საკითხებს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. როგორც ჩანს, უბრალო კვალიფიცირებული უმრავლესობით ხმის მიცემას არ აქვს დიდი მომავალი – კონსენსუსი ერთადერთ რეალურ ინსტრუმენტად რჩება მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რთული მისაღწევია ის ნატო-ში. მაგრამ, 1992 წლის შემდეგ ნატოს საკონსულტაციო სტრუქტურები და პროცედურები ადაპტირებულნი უნდა ყოფილიყვნენ ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოსა და მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს პ ა რ ტ ნ ი ო რ ო ბ ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს მხარეთა მონაწილეობისათვის.

ზოგიერთი შემოთავაზებული დროებითი ფორმულირებიდან სასარგებლო გაკვეთილის გამოტანა შეიძლება. 1996 წლიდან ნატო-ს საბჭო შეაფასებს დიალოგის მიმდინარეობას და განიხილავს სამომავლო გზებს.

მე თუ მკითხავთ, ცხადია, რომ გაფართოების პროცესი შეუქცევადი გახდა. პროცესის რითმის წინასწარი დიქტატი ან რაიმე პირობებით შემოსაზღვრა შეუძლებელია. ჯერ ერთი, ნატო-ს წევრი ქვეყნები, თავიანთი საკუთარი სუვერენული პოლიტიკური შეფასებების საფუძველზე განსაზღვრავენ, თუ რომელი კონკრეტული ქვეყნები მოიწვიონ მიერთების შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების შედეგი უნდა გახდეს მიერთების ოქმი, რომელიც შემდგომში რატიფიკაციისთვის გადაეცემა ნატო-ს წევრი ქვეყნების პარლამენტებს. რატიფიკაციის პროცესმა შეიძლება გარკვეული დრო დაიკავოს და ეს, ალბათ, ასეც მოხდება. ასევე, ყოველ კანდიდატ სახელმწიფოში უნდა მიიღონ მოლაპარაკებებისა და რატიფიკაციის პროცედურა – იქნება ეს პარლამენტის მიერ რატიფიკაცია ზოგიერთ ქვეყანაში, თუ საერთო სახალხო რეფერენდუმი. ყველა ეს ფაქტორი საბოლოოდ განსაზღვრავს ნატო-ს გაფართოების დროით ჩარჩოებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ამ ელემენტს მეტი დრო დასჭირდება. ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა, მეტად ვიდრე ადრე, იციან, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისთვის, რომლებიც ითხოვენ და ხაზს უსვამენ მათ, როგორც მიღების ოფიციალურ

აპლიკანტებად დასახელების აუცილებლობას, დროის ფაქტორს პოლიტიკური განზომილება გააჩნია.

ჩნდება იმის სულ უფრო მეტი ნიშანი, რომ 1997 წლის გაზაფხულზე ნატო დაიწყებს ცალკეული სახელმწიფოების მიერთების შესახებ მოლაპარაკებებზე მოწვევას. 1997 წლის უმაღლესი დონის შეხვედრა პირველ მოწვევებსა და განაცხადებს გაღრმავებული მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამის შინაარსსა და მიზნებს (რაზეც მე ადრე ვისაუბრე) განახორციელებს. უმაღლესი დონის შეხვედრა მიმართავს ნატოსა და რუსეთს შორის ახალ ურთიერთობებს.

და ბოლოს, რუსეთი – მცირე ფოკუსი იმ სირთულეებსა და პრობლემებზე, რომლებიც, ეჭვს გარეშეა, არსებობს ნატო–რუსეთის ურთიერთობებში. მე მსურდა დადებითი კუთხით შემეხედა ამ საკითხისთვის. ეუთო ყოველ ქვეყანას აძლევს უფლებას, შევიდეს ალიანსში. ამავე დროს, ეს ის საკითხია, რომლის თაობაზე ყოველ მათგანს უფლება აქვს, მოითხოვოს კონსულტაციების გამართვა. რუსეთის მიერ ნატო-ს გაფართოების კრიტიკული შეფასება მოითხოვს მთელ ჩვენს ყურადღებას და ნატო-ს მხრიდან აქტიურ პოლიტიკას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა XXI საუკუნის ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში

*პროფესორი ალექსანდრე ბაიჩოროვი,*
*ეუთო–ს მისია საქართველოში*

ქალბატონებო და ბატონებო, აქ მე დიდი მოცულობის მქონე მოხსენება მაქვს მომზადებული. მე მის წაკითხვას არ ვაპირებ. მე მას მხოლოდ მოკლედ შევაჯამებ. ზოგიერთი აზრი, რომელსაც თქვენ მასში მოისმენთ, შესაძლოა, დაუსაბუთებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ, ამ სქელტანიან მოხსენებაში ვცდილობ, ისინი ზოგიერთი ფაქტითა და არგუმენტით გავამაგრო.

როგორც ჩვენთვის ყველასთვის ცნობილია, საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლამ მთლიანად შეცვალა "ცივი ომის" დროინდელი გეოსტრატეგიული წონასწორობა ევროპაში. აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანა თავს დაუცველად გრძნობდა. ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ქვეყანა ცდილობდა, უსაფრთხოების ნიშაში თავისი ადგილი ეპოვნა. ეგრეთ წოდებულ სახალხო დემოკრატიებს სურდათ ნატო-ში შესვლა. რუსეთის ფედერაციას არ ჰქონდა თავდაცვითი საშუალებები ცენტრალურ რუსეთში, კავკასიასა და დასავლეთში, ვინაიდან დასავლეთიდან რუსეთს ბელორუსიის სამხედრო ოლქი იცავდა. ასე რომ, მათ შექმნეს ტაშკენტის ხელშეკრულება კოლექტიური თავდაცვის შესახებ და წამოიწყეს დისკუსია ეუთო–ში XXI საუკუნის ევროპის უსაფრთხოების მოდელის შესახებ. დისკუსია დაიწყო ეუთო-ს 1994 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ამ უსაფრთხოების მოდელის სხვადასხვა ასპექტის შემუშავებაში მრავალი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო.

გასულ ოქტომბერს ეუთო-ს მაღალი თანამდებობის პირთა საბჭომ მიიღო რისკებისა და გამოწვევათა სია, რომლებიც იარსებებენ ევროპაში უახლოეს მომავალში. ეუთო–ს წევრთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამ 1995 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთისათვის მისაღები უსაფრთხოების მოდელის შექმნის შესახებ, ვინაიდან მან ფორმალურად უთანხმოება გამოთქვა, განეხილა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, როგორც უსაფრთხოების ზონა, რომელშიც უმ-

თავრესი პასუხისმგებლობა რუსეთს დაეკისრებოდა. ამავე დროს, ეს მისაღები იყო რუსეთისთვის, ვინაიდან ფორმალურად ის უარყოფდა ნებისმიერი უსაფრთხოების ორგანიზაციის – რუსეთისთვის კი ეს უპირველესად ნატო-ს ნიშნავდა – ნებისმიერი სახის უპირატეს პასუხისმგებლობას მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე ეუთო–ს რეგიონში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნები, განსაკუთრებით პატარა ქვეყნები, დაინტერესებულნი არიან თანამშრომლობის და არა შეკავების კონცეფციით. მათ ინტერესშია ის, რომ უსაფრთხოების მოდელის პროექტი მოიცავდეს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ, დემოკრატიულ ასპექტებს და არა მარტო სამხედროს. სასაცილო იქნებოდა დღესდღეობით ევროპაში უსაფრთხოების ორგანიზაციების იერარქიის შექმნა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს, ეუთო–ს, ნატო-ს, დასავლეთ ევროპულ კავშირს, ჩრდილო-ატლანტიკურ თანამშრომლობის საბჭოს, კოლექტიური უშიშროების საბჭოს (ტაშკენტის ხელშეკრულება, 1992 წ.) თავ–თავისი როლი გააჩნიათ. როგორც თქვენთვის ცნობილია, რუსეთის ელჩი საქართველოში ბ–ნი ზემსკი ამჟამად დანიშნულია კოლექტიური უშიშროების საბჭოს გენერალურ მდივნად, ასე რომ, საქართველოს მეგობარი ჰყავს უსაფრთხოების ამ ორგანიზაციაში.

ეუთო არ უნდა იყოს ჩართული გაერო-ს ტიპის სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებაში. მან უნდა განახორციელოს და გააუმჯობესოს თავისი ამჟამინდელი ფუნქციები კრიზისების თავიდან აცილებასა და კონფლიქტის შემდგომ რეაბილიტაციაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემოკრატიული ინსტიტუტების აღდგენას და ადამიანის უფლებების დაცვას პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციაში. ეუთოს–ს საველე მისიების არსებული პოტენციალი უფრო ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც პრევენტიულ დიპლომატიაში, ასევე პოსტ-კონფლიქტურ რეაბილიტაციაში.

დსთ–ს ქვეყნებმა, განსაკუთრებით პატარებმა, გამოთქვეს დაინტერესება იმით, რომ არც ერთი არსებული ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურა არ ჩაერიოს მშვიდობის დამკვიდრებაში კონფლიქტში ჩართული სახელმწიფოების მკაფიოდ გამოთქმული თანხმობის გარეშე. ვინმემ

შეიძლება გაიხსენოს, რომ ეუთო–ს 1994 წლის უმაღლესი დონის შეხვედრის გადაწყვეტილების პროექტში არსებობდა VIII თავი, რომელშიც გამოთქმული იყო წინადადება, რომ ეუთო–ს მოეწოდებინა გაერო–ს უშიშროების საბჭოსთვის მონაწილეობა მიელო სამშვიდობო ძალებში ევროპის ქვეყნებში, თუკი იქნებოდა გადაწყვეტილება კონსენსუსით მინუს ერთი. ეს არ იქნა მიღებული ერთი ქვეყნის უარის გამო. მაგრამ, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ დსთ–ს მცირე ქვეყნებს შორის გაიმართა კონსულტაციები და ისინი ყველანი ამის წინაალმდეგი იყვნენ.

"ცივი ომის" კონფლიქტების უმეტესობა ევროპაში რეგიონული ან ეროვნული ხასიათისაა. ამიტომაც, უსაფრთხოების რეგიონული განზომილება, XXI საუკუნის უსაფრთხოების მოდელის შემუშავებისას, პრიორიტეტული უნდა იყოს. პრეზიდენტ შევარდნაძის *მშვიდობიანი კავკასიის* ინიციატივა შეიძლება განვიხილოთ რეგიონული უსაფრთხოების ინიციატივის კარგ მაგალითად. ის 1996 მარტში წარედგინა ეუთო–ს მაღალი თანამდებობის პირთა საბჭოს და მიღებულ იქნა, როგორც სამომავლო რეგიონული უსაფრთხოების მოდელის საფუძველი. ეს ინიციატივა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტიების მიღების მცდელობა, არა მარტო რუსეთის ფედერაციის, არამედ თურქეთისა და ირანის მხრიდანაც. ინიციატივამ, შესაძლოა, განვითარება ჰპოვოს ეუთო–ს სახელმწიფოების ხმელთაშუა ზღვის თანამშრომლობის მიმართულებით.

ცხადია, რომ ევროპის უსაფრთხოების რეალისტური მოდელის შემუშავება შეუძლებელი იქნება ნატო-ს გაფართოების საკითხის მოუგვარებლად. ნატო-ს სამომავლო მისიის მიდგომების, მისი გაფართოების სისწრაფისა და მანერის განსაზღვრაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. შეიძლება აღინიშნოს რიგი გარკვეული საკითხებისა, რომლებიც გაფართოებასთან დაკავშირებით გაჩნდნენ. პირველი ისაა, რომ დაუყოვნებლივი გაფართოება აღარ მოხდება. მეორე, რომ ახალი წევრების მიღება არ იგულისხმებს ნატო-ს სხვა წევრების შეიარაღებული ძალების ან ბირთვული იარაღის განლაგებას მათ ტერიტორიაზე. მესამე ისაა, რომ რუსეთსა და დსთ–ს სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულების თაობაზე მიმდინარეობს აქტიური დიალოგი. მეოთხე, რომ წარმოიშვა გარკვეული ძვრა

ნატო-ს გაფართოების კრიტერიუმებთან მიდგომებში. ნატო-ს გაფართოებასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიცია მკაფიოდ ჩამოაყალიბა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი პრიმაკოვმა, რომლის თქმით "ნატო-ს სამხედრო სტრუქტურა არ უნდა მოუახლოვდეს ჩვენს ტერიტორიას". თუ ეს მოხდება, რუსეთი, ჯერ ერთი, გადასინჯავს შეიარაღების კონტროლის შესახებ მრავალი ხელშეკრულებით თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს. მეორეც ერთი, ის გაააქტიურებს პოლიტიკას, რათა თავის სასარგებლოდ შეცვალოს საერთო პოლიტიკური სიტუაცია როგორც დსთ–ს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს უკანასკნელი, სხვასთან ერთად, ნიშნავს დსთ–ს შიგნით თავდაცვითი ალიანსის შექმნის ბელორუსიის პრეზიდენტული იდეის განხილვას.

ამჟამად, პოლონეთს, უნგრეთს ან ჩეხეთის რესპუბლიკას რუსეთის მხრიდან ამწუთიერი ან სამომავლო საფრთხე არ ემუქრება. ამიტომ, ამ ვითარებაში, ნატო-ს გაფართოება მეტ უსაფრთხოებას მოუტანს მას, ვისაც ეს ნაკლებად სჭირდება და უსაფრთხოების თვალსაზრისით რისკს გაზრდის დსთ–ს იმ ქვეყნებისათვის – ბელორუსიისთვის, მოლდოვასა და უკრაინისთვის – რომლებიც უკვე არიან რუსეთის გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური წრეების მხრიდან მომავალი იმპერიული ზრახვების ობიექტები. არ შეიძლება გაექცე იმ აზრს, რომ გარკვეული დასავლელი პოლიტიკოსები მზად არიან, მიიღონ ევროპის ახალი დაყოფა, ე.წ. "ცივი მშვიდობის" ახალი გეოსტრატეგიული რეალიები. ბელორუსიის, მოლდოვასა და უკრაინის მთავრობებს კარგად ესმით, რომ მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში მათი ტერიტორიები ბუფერულ ზონად ან ფრონტის წინა ხაზის სახელმწიფოებად იქცევიან.

და საბოლოოდ, მსურს აღვნიშნო, რომ XXI საუკუნის უსაფრთხოების მოდელის არჩევის უფლება არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ უფრო უსაფრთხო გარემოში ცხოვრებას, არამედ დაუბრკოლებელ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ამიტომ, ცხოვრების დონე XXI საუკუნის ევროპაში დიდადაა დამოკიდებული იმ არჩევანზე, რომელსაც დღეს ვაკეთებთ.

გმადლობთ.

# ბრეინსტორმინგი

## I. რეგიონული უსაფრთხოება და მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამის გავლენა

*ვიცე ადმირალი ბრეტონი, სხდომის თავმჯდომარე და პოდპოლკოვნიკი პადოუ, ანგარიშის შემდგენი*

---

სხდომა გახსნა ბ–ნმა დე ლაბრატმა ნატო-ს შტაბ–ბინიდან, რომელმაც ისაუბრა პროგრამის მშვიდობისათვის პარტნიორობა, როგორც ევროპული უსაფრთხოების ელემენტის როლზე. მისი მიზნებია გამჭვირვალების მხარდაჭერა, დემოკრატიის თანადგომა, თანამშრომლობის სტრუქტურების განვითარება და ერთობლივი ნაბიჯების შემუშავება სამშვიდობო, ჰუმანიტარულ, საძიებო და სამაშველო ოპერაციებში. დაარსების დღიდან, ანუ 1994 წლიდან, მასში გაერთიანდა 27 პარტნიორი წევრი სახელმწიფო და მათგან 15 მონაწილეობს დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში. მისი წარმატებისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა მოქნილებას:

- ის იყო ნებაყოფლობითი და ემყარებოდა სახელმწიფოთა პოლიტიკური ნებით განსაზღვრულ თავისუფალ არჩევანს მიელოთ მონაწილეობა.
- არსებობდა პროგრამების დიდი მრავალფეროვნება, დაწყებული უმაღლესი პოლიტიკურ\სამხედრო დონიდან, მაგ., კრიზისების მოგვარებიდან, თავდაცვის დაგეგმვისა და კვლევებისა და განვითარებიდან პრაქტიკულ საკითხებამდე, მაგ., საჰაერო თავდაცვამდე, კავშირგაბმულობამდე, მატერიალურ–ტექნიკურ უზრუნველყოფამდე და წვრთნამდე.
- სახელმწიფოების მონაწილეობაში არსებობდა მოქნილება, დაწყებული ინფორმაციის გაცვლიდან ერთობლივი პროცედურების შემუშავების მეშვეობით, დამთავრებული კოალიციის ოპერაციებში მონაწილეობით, ისეთებში, როგორიცაა ნატო-ს ძალები ბოსნიაში.

სხდომაზე შეეხენ პროგრამას მშვიდობისათვის პარტნიორობა. დისკუსიების ფარგლებში განსაკუთრებით მიესალმნენ პარტნიორ ქვეყნებს.

- არსებული პროგრამები უნდა გაფართოვდეს.
- საქმიანობის მასშტაბები უნდა გაღრმავდეს, ანუ მშვიდობისმყოფელობის, ჰუმანიტარული, საძიებო და სამაშველო ოპერაციების მიღმა.
- გამოითქვა სურვილი, გაიზარდოს პარტნიორების მონაწილეობა ყველა სფეროში, მათ შორის გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამის მშვიდობისათვის პარტნიორობა მეშვეობით.
- უნდა შემუშავდეს რეგიონული მიდგომა, რომელიც შეძლებისდაგვარად დაეფუძნება საერთო ინტერესებს, მაგ., საჰაერო მიმოსვლის კონტროლი.

რაც შეეხება ამიერკავკასიის სამ სახელმწიფოს, გამოითქვა წინადადება იმის თაობაზე, რომ მათი მონაწილეობა პროგრამაში მშვიდობისათვის პარტნიორობა საწყის სტადიაზე იმყოფება. ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმები ჯერ–ჯერობით ყველასთან არ არის შეთანხმებული. ამ ინიციატივაში მონაწილეობა ცხადს ხდიდა პოლიტიკურ და პრაქტიკულ მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც თითოეულ სახელმწიფოს სურდა, ეთანამშრომლა ნატო-სთან. ხაზი გაესვა კრიზისული სიტუაციების მოგვარებასა და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვაში მონაწილეობას, როგორც ისტორიულად აქტიური სეისმურობისა და სამოქალაქო დანიშნულების ბირთვული დანადგარებით მდიდარი რეგიონისთვის პოტენციალურად ყველაზე სასარგებლოს. აღინიშნა, რომ პროგრამას მშვიდობისათვის პარტნიორობა მრავალი მიმართულების მომცველი პროცესია: ნატო-მ შეიძლება ისწავლოს პარტნიორებისგან, ხოლო, პარტნიორებმა – ერთმანეთისგან. (მაგალითად მოიყვანეს შეთანხმება ადგილობრივი საზღვრების გადაკვეთის შესახებ ცენტრალურ ევროპაში). მომხსენებელმა გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ კავკასიური სახელმწიფოების მონაწილეობა პროგრამაში მშვი-

დობისათვის პარტნიორობა შეზღუდულია ენობრივი ფაქტორითა და სამხედრო პერსონალის მიერ პროცედურის არცოდნით.

გაგრძელდა მსჯელობა პროგრამის მშვიდობისათვის პარტნიორობა როლის ირგვლივ სხვა ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურებთან ერთად. ხომ არ მოხდება ფუნქციების გადაფარვა, მაგალითად ეუთო–სთან? შეთანხმდნენ, რომ პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობა ყველაზე ეფექტური იქნება იმ შემთხვევებში, როცა მას შეეძლება შეავსოს სხვა სტრუქტურები, შესაძლოდ გამოყენებული იქნეს, როგორც განხორციელების ინსტრუმენტი.

ნატო გამოვიდა წინადადებით, რომ პროგრამამ მშვიდობისათვის პარტნიორობა თავის თავზე აიღოს ახალი პოლიტიკური და უსაფრთხოების განზომილება და იმსჯელეს საკითხზე, თუ როგორი უნდა იყოს ეს განზომილება. ნატო-ს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ნატო-ს პოლიტიკა ამ სფეროში უკვე შემუშავებულია. ერთ–ერთი შემოთავაზებული ინიციატივის მიზანია პოლიტიკური კონსულტაციების პროცედურის შექმნა, რომელშიც პარტნიორებს შეეძლებათ წამოსწიონ თავიანთი უსაფრთხოების პრობლემები პროგრამის მშვიდობისათვის პარტნიორობა ფარგლებში განსახილველად.

გამოითქვა ბრალდება ერთ–ერთი კავკასიური სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც უგულებელჰყო პროგრამის მშვიდობისათვის პარტნიორობა ვალდებულებები შეიარაღებული ძალების მიმართ დემოკრატიული კონტროლის სფეროში. ამის საპასუხოდ, ხაზი გაესვა იმას, რომ პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე იმყოფებოდა. ეს ძალზე დიდ ზეგავლენას ახდენდა პარტნიორ სახელმწიფოებში შეიარაღებული ძალების მიმართ დემოკრატიულ კონტროლზე გადასვლის წახლისების საქმეში. თუმცა, აღიარეს, რომ ზოგიერთისთვის ჯერაც მისაღებია ეფექტური საკანონმდებლო ჩარჩოები.

დაისვა საკითხი იმის შესახებ, გააჩნია თუ არა ნატო-ს როლი მთიან ყარაბაღში დაკარგულ პირების მოძიების პრობლემასთან დაკავ-

შირებით. იგრძნობოდა, რომ ამ საკითხს უკეთ გადაწყვეტენ ამ სფეროში გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი. თუმცა, უფრო ზოგადად, ნატო-ს და პროგრამას მშვიდობისათვის პარტნიორობა შეუძლიათ იპოვონ თავისი ადგილი, რაც იგულისხმებდა არასამთავრობო ორგანიზაციების თანადგომას. ამის ბოლოდროინდელი მაგალითია IFOR–ის (ნატოს სარდლობით მოქმედი გაერთიანებული ძალები ბოსნიაში) დახმარება არჩევნებში ბოსნიაში.

კავკასიის პრობლემებთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადება, რომ არსებობს სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა, რომელიც შედგებოდა კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის წარმომადგენლისაგან და მას ექნებოდა ქვე-სამთავრობო დონის სტატუსი. პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობა ითამაშებდა რაიმე როლს ასეთ საბჭოში? ნატო-ს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იმისათვის, რათა შესძლოს ფუნქციონირება, ნატო და პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობა სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებებს საჭიროებენ და მხოლოდ ასე ძალუძთ იმუშავონ მთავრობებთან.

მომხსენებელმა ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტურია რეგიონული მიდგომა კავკასიური სახელმწიფოების უსართხოებასთან დაკავშირებული შეშფოთების მიმართ. იგრძნობოდა, რომ ყოველ სახელმწიფოში არსებული უსაფრთხოების სისტემები იმდენად ძირეულად განსხვავდებოდნენ, რომ საერთო ნიადაგის პოვნა შეუძლებელია. მისი აზრით, რეგიონის უსაფრთხოების განხილვა შესაძლებელი იყო მხოლოდ, როგორც ცალკეული სახელმწიფოების უსაფრთხოებათა ჯამი. ამიტომ, ნატო-ს უნდა ემუშავა მხოლოდ ორმხრივ საფუძველზე, ეროვნულ დონეზე. საპასუხოდ, ნატო-ს წარმომადგენლებმა დაიცვეს თავიანთი აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლოა უსაფრთხოების საერთო ასპექტების განსაზღვრა და მიღწევა პროგრამაში მშვიდობისათვის პარტნიორობა მონაწილეობით (ყველაზე ქვედა დონეზე ამის მაგალითი იყო ეს სემინარი). ამასთან ერთად, სხვა ორგანიზაციების, მაგალითად ეუთო–ს როლმა დაგვანახა, რომ საერთო საზრუნავს (შეშფოთებას) შეიძლება ეფექტურად მოვეპყროთ რეგიონულ დონეზე.

არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა უსაფრთხოებისადმი რეგიონული მიდგომის შესაბამისობის საკითხში აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებს შორის. აზერბაიჯანული მხარე ფიქრობდა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს სახელმწიფოებს შორის რაიმე თანამშრომლობის დაწყებამდე. სომხეთის მხარემ ხაზი გაუსვა თურქეთის, რუსეთის ფედერაციისა და ირანის როლს კავკასიის სამივე სახელმწიფოსთან ერთად ამ დავის მოგვარებაში და რომ ამის პარალელურად უნდა შემუშავდეს მარშალის ტიპის გეგმა, რათა გაიზარდოს ყველა ამ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულობის დონე. მან წამოაყენა წინადადება, რომ თითოეულ საკითხს ორ სახელმწიფოს შორის არსებულ კონფლიქტში მივუდგეთ დეტალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის განხილვით.

თავმჯდომარემ მადლობა მოახსენა მონაწილეებს მათ მიერ განხილვაში შეტანილი წვლილისთვის და დახურა სხდომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. რუსეთისა და თურქეთის წვლილი რეგიონულ უსაფრთხოებაში:

*დოქტორი ალექსანდრე რონდელი, სხდომის თავმჯდომარე და ქ-ნი ქენდი ბრინი, ანგარიშის შემდგენი*

---

მონაწილეებმა თავმჯდომარედ აირჩიეს პროფესორი ალექსანდრე რონდელი. მან პროგრამაში ჩამოთვლილ "შემოთავაზებულ მომხსენებლებს" სთხოვა, მოკლედ წარმოედგინათ თავიანთი სათქმელი, რის შემდეგაც მონაწილეები დაიწყებდნენ ძირითად განხილვას. ვინაიდან სომხეთიდან წარმომადგენელი არ ესწრებოდა, ხოლო რუსეთის საელჩოს წარმომდგენელმა გამოსვლაზე უარი განაცხადა, სიტყვებით წარსდგნენ მხოლოდ ნატო-ს, საქართველოში თურქეთის საელჩოსა და აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ბ–ნმა ნელიმოლლუმ, ნატო-ს საერთაშორისო სამდივნოდან, წარმოადგინა თავისი, როგორც განხორციელებისა და შემოწმების მენაერთის ხელმძღვანელის გამოცდილებაზე დამყარებული რამდენიმე პრაქტიკული იდეა, რომელთაც შეეძლოთ, დახმარება გაეწიათ რეგიონში ნდობისა და უსაფრთხოების დამყარებისთვის. დასაწყისში, ნელიმოლლუ არ დაეთანხმა ადმირალ გრეტონის დაკვირვებას იმის თაობაზე, რომ რეგიონის მთავრობები უნდა შეთანხმდნენ რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციაზე, რათა დაიწყონ რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნა. ბ–ნმა ნელიმოლლუმ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა და ბრძანა, რომ, შესაძლოა, ხშირად სასარგებლო იყოს მოქმედების დაწყება საერთო მნიშვნელის გამონახვით ყველაზე დაბალ დონეზე.

მაგალითად, სასარგებლო იყო მუშაობა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების ხელშეკრულებაზე. როგორც ყველასათვის ცნობილია, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების ხელშეკრულებაზე მუშაობა მიმდინარეობდა ცალკეული ბლოკების ნაბიჯ–ნაბიჯ შეთანხმების ფორმატით. ახლა, მათ, ვინც პასუხიმგებელია ხელშეკრულების განახორციელებაზე,

უნდა ეძიონ გზები, რათა გადალახონ ბლოკური მიდგომა ხელშეკრულებაში ძირეული ცვლილებების შეტანის გარეშე. ნატო ეცადა ამის გაკეთებას გაფართოებული თანამშრომლობის პროგრამის მეშვეობით, რაც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების ხელშეკრულების შემთხვევაში გამოისახა ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ინსპექტირების პროგრამის გამიჯვნით. ეს გართულებული იყო ტენდენციით, რომელიც გულისხმობდა მრავალი ქვეყნის სურვილით ჩატარებულიყო მხოლოდ რუსეთის ინსპექცია და მათ ჰქონოდათ ლომის წილი შესაძლო ინსპექტირებაში; მათი დაუინტერესებულობით, ვისაც არ ჰქონდა შესაძლებლობა, გაეგზავნა ინსპექტორები; სხვათა ფოკუსირებით ქვერეგიონულ საჭიროებებზე.

ამ პრობლემების გადალახვის მიზნით, ნატო-მ დასაბამი მისცა ზოგიერთ პროცესს, რომელიც მისთვისაც იყო სასარგებლო და წვლილიც შეიტანა საყოველთაო უსაფრთხოების გარემოს შექმნაში. ინსპექტირების დილემის შესაძლო გადაჭრის გზები განიხილეს სემინარებზე, რომლებსაც ესწრებოდნენ ყველა პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლები, ამ საკითხში მათი მონაწილეობის ხასიათის დამოუკიდებლად. ნატო-მ მოაწყო სასწავლო კლასები ინსპექტორებისათვის და კიდევ ერთხელ მიიწვია ყველა პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი. ნატო-მ, ასევე, შექმნა ინსპექტირების მასალების მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომად ღიაა ყველა პარტნიორი ქვეყნისთვის.

ბ–ნმა ნელიმოლლუმ გამოთქვა წინადადება, რომ ასეთი ტიპის პროგრამები შეიძლება შედგეს სხვადასხვა რეგიონისთვის სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ისინი, შესაძლოა, კავკასიისთვის სასარგებლო გამოდგეს. მაგალითად, ბულგარეთი არცთუ ძალიან იყო დაინტერესებული რუსეთის მიგნით ინსპექტირებით, მაგრამ ძალიან აინტერესებდა ამის გაკეთება საბერძნეთში და თურქეთში. მან ორივე ქვეყანას შეუთანხმა ჩვეულებრივი შეიარაღებების ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ დამატებითი ინსპექტირების გრაფიკი. ამრიგად, იმის გამო, რომ ამ რეგიონში ურთიერთობები ყოველთვის კარგი არ ყოფილა, ყველა ცნობდა ამგვარი თანამშრომლობის სარგებლიანობას.

კიდევ ერთი კარგი მაგალითი იყო ბოსნია. ყველასათვის იყო ცნობილი, რომ ერთ დღეში მკვლელობების მთელი ციკლის შეჩერება არ არის მარტივი, ასევე რთულია მეორე დღეს დაარწმუნო დაპირისპირებული მხარეები, რომ მათ უნდა სჯეროდეთ ერთმანეთის. მიუხედავად ამისა, სიტუაციის გამოსწორების დაწყება აუცილებელი იყო. პროგრამის მ შ ვ ი დ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს პ ა რ ტ ნ ი ო რ ო ბ ა წარმატებიდან გამომდინარე ნატო-მ შეიმუშავა მსგავსი პროგრამა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმებებში მონაწილე რეგიონის ხუთი დაპირისპირებული მხარისთვის (წარმონაქმნისთვის) ამ შეთანხმებების მე-2 (შეიარაღებების კონტროლი) და მე-IV თავებზე დაყრდნობით. ერთი პროგრამა ითვალისწინებდა მე-II თავის განხორციელების კურსს ხუთივე წარმონაქმნის 25 წარმომადგენლისთვის. მაშინ, როცა კურსის დასაწყისში ბევრი ამ მონაწილეთაგან არ ელაპარაკებოდა ერთმანეთს, კურსის ბოლოს ისინი ენთუზიაზმით უზიარებდნენ ურთიერთს აზრებს და ერთად მუშაობდნენ. ბევრი სხვა კურსი უკვე ჩატარდა, სხვების ჩატარება განზრახულია; შედეგები ყველგან მსგავსია. ასევე, მიღწეულია შეთანხმება, რომ ნატო მხარს დაუჭერდა შეიარაღების შემცირების შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზას.

ბ–ნმა ნედიმოღლუმ აღნიშნა, რომ მიამიტობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოს ასეთი ურთიერთგაცვლა რეგიონში არსებული სიძნელეების დაძლევას შეძლებდა. თუმცა, ამ გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ძალუძთ, თუკი ამის შესაძლებლობა ეძლევათ, დაინახონ, რომ ნდობისა და უსაფრთხოების ზომების შექმნა შეიძლება სასარგებლო იყოს. ნატო ძალიან მოწადინებული იქნებოდა, შეემუშავებინა მსგავსი პროგრამა კავკასიისთვის. მიუხედავად ამისა, ბ–ნმა ნედიმოღლუმ ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნდობის შექმნა ისეთი პროცესია, რომელიც დროსა და მოთმინებას მოითხოვს.

დაისვა შეკითხვა, ხომ არ შეეძლო ნატო-ს რეალურად სასარგებლო ყოფილიყო ამ რეგიონში ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული საკითხების გადაჭრაში. ბ–ნმა ნედიმოღლუმ თქვა, რომ ამჟამად ნატო-ს არ შეუძლია ჩაერიოს საშინაო კონფლიქტებში, მაგრამ მას შეუძლია შესთა-

ვაზოს გარკვეული ინსტრუმენტები, რომლებსაც შეეძლებათ სარგებლობა მოუტანონ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქვეყნებს.

მეორე მონაწილემ დასვა შეკითხვა, თუ რატომ მიმდინარეობდა ევროპაში შემდგომი ინტეგრაციის პროცესი მაშინ, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირი სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიდიოდა და გაკვირვება გამოთქვა, ხომ არ შეუწყობდა ხელს ნატო-ს მომავალი გაფართოება ამ უკანასკნელს. რამდენიმე მონაწილე გამოესმაურა მის შეკითხვას ბრეინსტორმინგის დროს და მათ აღნიშნეს, რომ ევროპული ინტეგრაცია შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ იყო სრულიად ნებაყოფლობითი, აგრეთვე იმიტომ, რომ სახელმწიფოები ბევრ საერთო ფასეულობას იზიარებდნენ. ამისგან განსხვავებით, ხშირად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს არაფერი ჰქონდათ საერთო გარდა ყოფილი დამონებულობისა, რისი ერთი კარგი მაგალითიცაა რუსეთისა და აზერბაიჯანის დიამეტრალურად განსხვავებული მიზნები ცენტრალური აზიის ნავთობსადენთან დაკავშირებით.

შემდეგ, თურქეთის ელჩმა ილაპარაკა იმაზე, რომ თურქეთი დაინტერესებულია სტაბილური კავკასიით და აღნიშნა, რომ რეგიონი უნდა მოიცავდეს ირანს, ჩრდილოეთ კავკასიას, და რუსეთს, ამ უკანასკნელის შეიარაღებული ძალების რეგიონში ყოფნის გამო. უპირველესი საკითხი ისაა, თუ როგორ განვსაზღვროთ, რა არის უსაფრთხოება: უმარტივესი პასუხი იყო, რომ ეს არის საფრთხის არარსებობა. რეგიონში ასეთი პოტენციური საშიშროებებია: 1) აგრესია უცხო სახელმწიფოს მხრიდან, ოკუპაციის ჩათვლით; 2) სამოქალაქო ომი; 3) სეპარატისტული მოძრაობა; 4) ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების ხელშეკრულებით დადგენილ ზღვრულ რაოდენობაზე მეტი იარაღის არსებობა; 5) ამ იარაღის სიჭარბის გამო მეზობელი ქვეყნებისთვის შექმნილი საფრთხე და 6) ადგილობრივი მთავრობაზე დაუქვემდებარებელი იარაღის არსებობა.

თურქეთის აზრით, ნატო-მ ჯეროვანი ყურადღება არ მიაპყრო ამ საფრთხეებს და აღნიშნა ქართველთა შორის არსებული ფართოდ გავრცელებული მიტოვებულობის შეგრძნება. საერთაშორისო ორგანიზაციები, სხვა ქვეყნები და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო წარმოჩენილნი

და აქტიურნი უნდა იყვნენ რეგიონის უსაფრთხოების პირობების გაუმჯობესების დახმარების საქმეში. ითქვა, რომ არც ერთ გარეშე მხარეს არ ძალუძს სასწაულებრივად გადაჭრას ყველა პრობლემა და თავს მოახვიოს რაიმე გადაწყვეტილება. პირიქით, გადაწყვეტილების პოვნა აუცილებელია რეგიონის შიგნით და ქვეყნები უპირველესად თვითონ უნდა ეცადონ ასეთი გადაწყვეტილებების მოძებნას მანამ, სანამ სხვები დაიწყებენ მათ განხორციელებას. თურქეთი მიესალმა პრეზიდენტ შევარდნაძის ამასწინანდელ ინიციატივას მშვიდობიანი კავკასიის თაობაზე. ვერც ერთი ქვეყანა მარტო ვერ გადაჭრის ამ პრობლემას, ამიტომ აუცილებელია საკითხისადმი რეგიონის მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე სხვების გაერთიანებული მიდგომა.

ელჩმა წინადადება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ერთი სერიოზული წამოწყება გაზრდიდა რეგიონში ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებლობას. მან შესთავაზა რუსეთის საელჩოს, ითანამშრომლოს ქართველებთან სამმხრივი პროექტის შემუშავებაზე. რამდენადაც რუსებს არ განუვითარებიათ ეს აზრი რაიმე წინადადებებით, თურქეთმა წამოაყენა შემდეგი წინადადებები: საერთაშორისო ნავთობ- და გაზსადენების განვითარება, რომლებიც, სხვადასხვა სახით გადაკვეთენ აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს, ყაზახეთს, რუსეთს, თურქეთს. ისინი მზარდ აყვავებას მოუტანენ ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც გადაკვეთენ და ამგვრად კონფლიქტებისთვის ძლიერი შემაფერხებელი გახდებიან. ამ სახით, ეს ნდობის დამყარებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა. კიდევ ერთი შესაძლებლობაა რკინიგზა რუსეთიდან თურქეთში საქართველოს გავლით. ეს რუსეთისთვის თურქეთის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებს ხელმისაწვდომს გახდიდა. საერთო სარგებელი სრულიად ნათელია.

ელჩი შეეხო საზღვრისპირა თანამშრომლობას, საკითხს, რომელიც ასევე აღიძრა კონფერენციის ორგანიზატორების მიერ. მან აღნიშნა სარფის დადებითი მაგალითი, რომელიც 70 წლის მანძილზე ერთადერთი სასაზღვრო გადასასვლელი იყო თურქეთსა და საბჭოთა კავშირს (და საქართველოს) შორის. იმ მრავალი წლის მანძილზე გადასასვლელი წარმოადგენდა ხუთი მეტრის სიგრძის ერთ პატარა ხის ხიდს. სარფის დღევანდელი საქმიანობა მკვეთრ კონტრასტს წარმოადგენს: 1995

წელს მის კარიბჭეში 40 000 სატრანსპორტო საშუალებამ და 350 000 ადამიანმა გაიარა. თურქეთმა და საქართველომ უკვე გახსნეს მეორე სასაზღვრო გადასასვლელი და გეგმავენ მესამეს გახსნას. ამ მზარდმა კავშირებმა თურქეთსა და საქართველოს გარდა ბევრ სხვას მოუტანა სარგებლობა.

ამ სფეროში ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები, რომლებიც ცხადყოფენ ნდობის განმტკიცების უფრო ძლიერი ზომების აუცილებლობას. რუსი მესაზღვრეები სარფში დაბეჯითებით მოითხოვდნენ თითოეული საზღვარზე გამავალი სატვირთო მანქანის დაცლას და შემოწმებას, რათა აღმოეჩინათ ჩეჩნეთში კონტრაბანდული წესით გაგზავნილი იარაღი. ორი წლის ძებნის შედეგად ვერაფერი იპოვეს. აღნიშნა რა, რომ თურქეთს წესად ჰქონდა საერთო საზღვართან დაკავშირებული ნებისმიერ განსახილველ საკითხზე მიემართა საქართველოს მთავრობისთვის – მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ რუსეთის მესაზღვრეებს ჯერაც უკავიათ საზღვარი – ელჩმა იმედი გამოთქვა, რომ ქართულ–რუსული დისკუსიები ამ საკითხის ირგვლივ გაამარტივებს იმ პრობლემებს, რომლებიც რუსულმა პოლიტიკამ შექმნა. ერთ–ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილო იყო როგორც უცხოელი ჯარისკაცების ყოფნით საქართველოში, ასევე იმ ფაქტით, რომ არაქართველები აკონტროლებდნენ საქართველოს საზღვარს.

დასასრულს ელჩმა თქვა, რომ თურქეთი მზადაა ნებისმიერი მასშტაბის დახმარება აღმოუჩინოს რეგიონის ქვეყნებს – დიდი პროექტებიდან დაწყებული, როგორიცაა აღნიშნული მილსადენი, ყველაზე მცირეთი დამთავრებული. მისი სტაბილური კავკასიით დაინტერესება განისაზღვრება და ემყარება მრავალ ფაქტორს, მათ შორის იმას, რომ საოცრად ბევრია ქართველენოვანი თურქეთის მოქალაქე და პარლამენტის წევრი. არიან, აგრეთვე, აფხაზურენოვნებიც, მათ შორის ერთი პარლამენტარიც კი. ელჩმა განაცხადა, რომ, მიუხედავად ამისა, თურქეთს არ გააჩნია სტრატეგიული მიზნები რეგიონში და, ამიტომ, ვერ დაუპირისპირდება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს, რაზეც კიდევ ერთი მონაწილე დავობდა.

## III. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არა-სამთავრობო ორგანიზაციების როლი რეგიონულ უსაფრთხოებაში

*დოქტორი ალექსანდრე რონდელი, თავმჯდომარე და*
*ქ-ნი მარია ბარლეტი, ანგარიშის შემდგენი*

---

კეთილსინდისიერ ჟურნალიზმთან დაკავშირებით საუბარი დოქტორმა ნოდიამ დაიწყო შემდეგი კომენტარით: "ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი – გარდა იმ შემთხვევისა, თუკი აქ ვინმე წინააღმდეგია კეთილსინდისიერი და ღია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა". მიუხედავად ამისა, ზოგადად ჟურნალისტური პასუხისგებლობისა და კერძოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოქცევისადმი მიდგომების მთელი სპექტრის თაობაზე კონფლიქტურ სიტუაციებში ცხოველი და ფართო მსჯელობა გაჩაღდა.

დოქტორ რონდელის თქმით, პოსტ-საბჭოთა სივრცის ერთ-ერთი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება ხშირად ხდება მათ მიერ, ვინც წარმოადგენს ყველაზე უარესი სახის უკიდურეს ნაციონალიზმს. მათ, ვინც შეიძლება ხმა აღიმაღლონ ამის წინააღმდეგ, ხშირად ეშინიათ პოპულისტების, ნაციონალისტების ან დემაგოგიური ყოფაქცევის პირების საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა.

მიღწეული იყო ზოგადი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ჟურნალისტები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ამიტომაც განიცდიან ადგილობრივი პატრიოტებისა და პოლიტიკოსების ზეგავლენას, რაც იწვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განსხვავებულ გამოხმაურებებს ერთსა და იმავე პიროვნებასა ან მოვლენაზე.

"კეთილსინდისიერი" ჟურნალიზმის ერთ–ერთი მტერია არა იმდენად არაკეთილსინდისიერება, რამდენადაც ახალი და მრავალფეროვანი ინფორმაციის ნაკლებობა – ანუ, კონტაქტების შეუძლებლობა და ის, რომ

მიუწვდომელია ტექნიკური სამუალებები. სხვა სიტყვებით, არ არის საკმარისი დაფინანსება და ამის გამო გართულებულია ფაქსით, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონითა და სხვა სამუალებებით სარგებლობა.

კონფლიქტში მონაწილე მოწინაალმდეგე მხარის წარმოუჩენლობა, ასევე, გაწონასწორებული ჟურნალიზმის მტერია. წარმოჩენას, ან გამჭვირვალებას (თუკი ამ, სხდომებზე მიღებულ პოპულარულ ტერმინს ვიხმართ), ხელს არ უწყობს ის, რომ ხშირად მთავრობის ოფიციალური პირები თავისუფალ პრესას მტრად მიიჩნევენ. და ეს ხდება არა მხოლოდ პოსტ–საბჭოთა სივრცეში. ამით აიხსნება მასობრივი ინფორმაციის სამუალებების შეზღუდვის ან კონტროლის ტენდენცია და ყველანი დაეთანხმენ აზრს, რომ ელექტრონული ინფორმაციის სამუალებები უფრო მეტად განიცდიან სამთავრობო კონტროლს, ვიდრე პრესა.

გამოითქვა წინადადება, რომ კოლიზია ხშირად წარმოიშვება ამ რეგიონის განვითარებად დემოკრატიებში იმის გამო, რომ არსებობს ნარჩენი საბჭოური ლოგიკა, რომლის თანახმად "პრესის თავისუფლება" იწვევს არა ინფორმაციის, არამედ უპასუხისმგებლობისა და წამქეზებლობის ასოციაციას. მასობრივი ინფორმაციის სამუალებები უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი, ობიექტურნი და უნდა გადასცენ ის, რისი დამტკიცებაც შეიძლება. როგორც ისრაელის ელჩმა ლილი ხახამიმ მოსწრებულად აღნიშნა, მიუკერძოებელი მასობრივი ინფორმაციის სამუალებების მიერ ინფორმაციის დამახინჯების მტკიცება ყოველთვის ძალზე გვიან ჩნდება.

თურქეთის ელჩმა ოქიაუზმა განსაზღვრა პასუხისმგებლობის განსაკუთრებული სფეროები:

- მასობრივი ინფორმაციის სამუალებებს და არასამთავობო ორგანიზაციებს გააჩნიათ სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა
- მთავრობებს გააჩნიათ პოლიტიკური იურიდიული პასუხისმგებლობა

ამიტომაც, აქედან გამომდინარეობს, რომ თუ არსებობს რისკი, რომ მასობრივი ინფორმაციის სამუალებები "დაამახინჯებენ" მთავრობის პოლიტიკას, მთავრობა მოვალეა განმარტოს თავისი პოლიტიკა, რათა გააუვნებელყოს ამ მიზნით შედგენილი ინფორმაცია. მაგალითად მოიყვანეს სასაცილო პუბლიკაცია იმის თაობაზე, თითქოს თბილისი გამოცხადდა

დიდი სომხეთის დედაქალაქად. თუკი ვინმემ ეს სერიოზულად აღიქვა, სომხეთის მთავრობას შეეძლო გამოექვეყნებინა ამის უარყოფა და განეცხადებინა, რომ ეს მისი პოლიტიკა არაა.

მთავრობებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით მოვლენების საპასუხოდ კი არ უნდა იმოქმედონ, არამედ უნდა დაასწრონ მოვლენებს. ამ აზრის გასაძლიერებლად ელჩმა ოქიაუზმა აღწერა ორი სხვადასხვა შემთხვევა, როცა თურქეთის მთავრობის პროექტები, რომლებიც შეიცავდნენ მინისტრთა კაბინეტის განზრახვას სომხეთის მიმართ (დახმარება ხორბლით და ელექტროენერგიით) პრესით იმგვარად მიეწოდა, რომ ამ საკითხში ჩართულები მოღალატეებად გამოჰყავდათ საკუთარი მოქალაქეების თვალში. ელჩი ოქიაუზი, რომელიც კოორდინაციას უწევდა ორივე ინიციატივას, კრიტიკის ქარცეცხლში აღმოჩნდა. ალბათ, ზომების მიღება შეიძლებოდა მანამ, სანამ კრიტიკის ქარიშხალი მოვარდებოდა, რათა მთავრობის კარგი განზრახვა საზოგადოებისათვის განემარტათ.

ხაზი გაესვა იმას, რომ მთავრობამ ვერც და არც უნდა აკონტროლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მაგრამ უნდა გამოიყენოს ისინი ისევე, როგორც მათ იყენებს ნებისმიერი სხვა. ნებისმიერ საკითხში დაპირისპირებულ მხარეებს უნდა შეეძლოთ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გამოყენება, როგორც ადგილისა, სადაც თავიანთი პოზიციის განმარტებას შესძლებენ.

· რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, გამოითქვა აზრი, რომ როგორც გარეშე მდგომ, თუნდაც ადგილობრივი მთავრობის კონტროლისაგან თავისუფალ ძალას, მათ გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. მათ შეუძლიათ კონფლიქტების ჩიხიდან გამოყვანაში დახმარება, მაგალითად, კავკასიის რეგიონში. მათ შეუძლიათ კონფლიქტის ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებებში ახალი იდეების და მიდგომების შემოტანა. მათი ნეიტრალურობა კარგი ასპარეზია კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის დაახლოვებისათვის. ბრეინსტორმინგის ამ სხდომაში მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ მისასალმებელია არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციის გავრცელებაში მზარდი აქტიურობა.

ნება მიბოძეთ, მოკლედ აღვნიშნოთ საზოგადოების როლი ყოველივე ამაში. ელჩმა ოქიაუზმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მოვალეობათა ნუსხაში ჩართო მათი, როგორც "აზრის გარდაქმნის" პროცესში მონაწილეთა როლი. ელჩი ხახამი არ დაეთანხმა ამ ფრაზას და შესთავაზა ფრაზა "უფრო დამაჯერებლები". ბ–ნმა დიტრიჰ შპერლინგმა გამოთქვა აზრი, რომ ვინმეს რწმენის ჩამოყალიბების მცდელობა ისეთივე სერიოზული ამოცანაა, როგორც მენტალიტეტის შეცვლის მცდელობა. ამ აზრთა გაცვლა–გამოცვლის გარდა გაჩნდა აზრი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე, მაგრამ იმასთან ერთად, რაც უკეთ ეცნობიან ადამიანები თავიანთი ინფორმაციის წყაროებს, ანუ ჟურნალისტების, გაზეთების, რადიოგადაცემების რეპუტაციას, მით უფრო ადვილად განარჩევენ ხარისხს შარლატანობისაგან.

უპრიანი იქნებოდა ამ შეჯამების დასრულება ელჩი ლილი ხახამის შენიშვნით იმის თაობაზე, რომ ძველი სიბრძნის თანახმად, ენას შეუძლია გააცოცხლოს და შეუძლია მოკლას. თანამედროვე პირობებში შეგვიძლია ვთქვათ, რომ *კომუნიკაციის საშუალებებს* შეუძლიათ გააცოცხლონ და შეუძლიათ მოკლან.

*გამოიკვეთა ორი თემა, რომელთაც შეუძლიათ შექმნან კონკრეტული რეკომენდაციების საფუძველი:*

- აუცილებელია კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის ჟურნალისტთა გაცვლები და დიალოგი.
- შესამუშავებელია რეგიონული საინფორმაციო სტრატეგია. ვიღაცამ თავის თავზე უნდა აიღოს ინიციატივა და შექმნას სადმე ცენტრში აქტიურად მოქმედი და ეფექტური საინფორმაციო ცენტრი.

*ბ–ნმა ბაუენსმა ნატო-დან ორი კონკრეტული წინადადება გამოთქვა:*

- ვიღაცამ თავის თავზე აიღოს ინიციატივა და მოაწყოს სამმხრივი შეხვედრა, აუცილებელი ღონისძიება ან სემინარი და მიმართოს ნატო-ს ასეთი ინიციატივის დაფინანსების თხოვნით. მან განგვიმარტა, რომ ნატო-ს აქვს ასეთი წამოწყების დანახარჯების 50% დაფარვის

შესაძლებლობა, მაგრამ ამ ფონდების მიღებისთვის კონკურენცია მკაცრია. აქ მოქმედებს პრინციპი – სხვაზე ადრე მოდიხარ, სხვაზე ადრე იღებ.

ბიბლიოთეკა

- ბ–ნმა ბაუენსმა, ასევე, გამოთქვა აზრი, რომ მოეწყოს მოგზაურობა ნატო-ს შტაბ–ბინაში, რაც სასარგებლო იქნებოდა ნატო-სთვის ინფორმაციის გავრცელებისა და ჟურნალისტებისათვის ორგანიზაციის მუშაობის გაცნობის თვალსაზრისით. ჟურნალისტები შესძლებდნენ, საფუძველი ჩაეყარათ ურთიერთობებისთვის, რომლებიც მათ უკეთ გაარკვევდნენ საკითხებში და ამის წყალობით ხელს შეუწყობდნენ უფრო დაბალანსებული რეპორტაჟების მომზადებაში და მოსახერხებელ მეხვედრის ადგილს შესთავაზებენ კონფლიქტში მონაწილე მხარეთა წარმომადგენლებს.

## IV. საზოგადოება და რეგიონული კონფლიქტების სამხედრო საშუალებებით შეკავება

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დოქტორი გიორგი ხუციშვილი, თავმჯდომარე და*
*ქ-ნი მიშელ ბოკოზი, ანგარიშის შემდგენი*

---

სამუშაო შეხვედრა, რომლის თემა იყო საზოგადოება და რეგიონული კონფლიქტების სამხედრო საშუალებებით შეკავება გაიხსნა რეგიონში მოქმედი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული სამუშაოს წარმოდგენით. ეუთო-ს შეხედულებები წარმოდგენილი იყო მისი მანდატის მოკლე აღწერით სამხრეთ ოსეთში, სამმხრივი სამშვიდობო ძალების მონიტორინგის ჩათვლით. სამხედრო საშუალებებით შეკავებასთან დაკავშირებული მანდატის ეს ნაწილი უნდა განხილულიყო, როგორც პოლიტიკურ მოლაპარაკებებში ეუთო-ს გლობალური როლის, ასევე კავკასიაში სხვადასხვა კონფლიქტების (რამდენადაც, ყველა ისინი ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან არიან დაკავშირებული) პერსპექტივაში. ეუთო-ს მკაფიო მანდატი გააჩნია, რეგულარულად ანგარიშს აკეთებს და სამშვიდობო ძალებთან ურთიერთქმედებს. ის მზადაა იმ ახალ მოვლენებთან ადაპტირებისთვის, რომელიც მოწესრიგების პროცესში პოლიტიკურმა პროგრესმა შეიძლება გამოიწვიოს.

ამის შემდეგ შესაბამისად შეადარეს საქართველოში გაერო-ს მეთვალყურეთა მისიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატები. საქართველოში გაერო-ს მეთვალყურეთა მისია მხოლოდ მეთვალყურის როლს ასრულებს, მაგრამ ორივე შეიარაღებული ძალის როლი სცილდება მანდატით გათვალისწინებული ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნების უბრალო მეთვალყურეობას, ის, ასევე, მოიცავს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ორგანიზებულ დაბრუნების პროცესს. დსთ-ს მანდატი მოიცავს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში დღემდე მიღწეული სხვადასხვა შეთანხმებ-

ბის შესრულების უზრუნველყოფას (თუმცა, დღემდე ყველა ეს შეთანხმება ირღვეოდა). ბევრს მოელიან გაერო-ს შენაერთისგან, მაგრამ, შეზღუდული მანდატი და მცირე რაოდენობის შეიარაღებული ძალა (138 მეთვალყურე) ამ მოლოდინის განხორციელების საშუალებას არ იძლევიან. ამრიგად, ახლა გაერო უფრო მეტად ცდილობს მანდატთან დაკავშირებულ ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებების დაცვის ასპექტებზე გაამახვილოს ყურადღება. ამ მიზნით, მას განზრახული აქვს, გახსნას ადამიანის უფლებათა ოფისი, რათა ეუთო–სთან თანამშრომლობით გაარკვიოს მოსახლეობა მათ ადამიანურ უფლებებში, განსაკუთრებით უმაღლესი განათლების სფეროში ამ დარგის სპეციფიურ ასპექტებში ოფიციალური პირების მომზადების გზით.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციამ წარმოადგინა ქართული და რუსული ინიციატივები მშვიდობიანი კავკასიის შესახებ. მან კვლავ ახსენა, რომ საერთაშორისო სამართალში საყოველთაოდ მიღებული პრინციპების ერთგულია, განსაკუთრებით პატივს სცემს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. ის მზად არის, განავითაროს რეგიონული ეკონომიკური და სხვა სახის თანამშრომლობა, როგორც ორმხრივი, ასევე დსთ–ს ფარგლებში. დსთ–ს სამშვიდობო ძალების მანდატი, მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებით, გაგრძელებულია 1997 წლის იანვრამდე. მეთვალყურეთა მისიასთან მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მისიის ხელმძღვანელმა, ბ–ნმა ლივიუ ბოტამ, აღწერა საქართველოში გაერო-ს მეთვალყურეთა მუშაობა, როგორც გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციის ახალი ფორმატი. მისი მცირე ზომა მას უფრო ფინანსურად ეფექტურს ხდის და აადვილებს მის განლაგებას ან გაყვანას. მაგრამ ის ასევე გულისხმობს უფრო შეზღუდულ მანდატს, მოქმედების შემოსაზღვრულობას და უფრო შეზღუდულ საშუალებებს. ყოველმა ამ მიზეზთაგან შეიძლება იმედგაცრუება გამოიწვიოს. ჩანს, მომავალში გაერო-ს უბრალო მეთვალყურის როლი დაეკისრება, მაშინ როცა ქმედებების განხორციელება გადავა ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა ნატო, დასავლეთ ევროპული კავშირი ან დსთ, ყოველ მათგანს კი მშვიდობის დაცვის განსხვავებული კონცეფციები გააჩნიათ.

ბიბლიოთეკა

სემინარზე წარმოდგენილი იყო გაერთიანებული სამეფოს მშვიდობის დაცვის კონცეფცია. სამშვიდობო მისიამ უნდა იხელმძღვანელოს სამი ძირითადი პრინციპით:

- სამშვიდობო ოპერაცია სამხედრო საშუალებების გამოყენებით უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო კანონების ფარგლებში და სამოქალაქო მეთვალყურეობის ქვეშ. სამშვიდობო ძალებისათვის ძალაუფლების მიცემა ნებადართული უნდა იყოს პარლამენტის მიერ.
- სამხედრო ოპერაცია უნდა ხორციელდებოდეს სამოქალაქო კონტროლის ქვეშ.
- გამოყენებული უნდა იყოს მინიმალური ძალის პრინციპი. სამშვიდობო ძალები შესაბამისად უნდა იყვნენ გაწვრთნილნი და აღჭურვილნი – და არა ისე, როგორც ჩეჩნეთში ხდებოდა.

მეტიც, შეიარაღებული ძალები მიუკერძოებლები უნდა იყვნენ. მათ უნდა მიეცეთ ზუსტი მანდატი და ადექვატური უფლებები, რომლებიც საშუალებას მისცემენ შესაბამისად განახორციელონ ეს მანდატი. ასევე მნიშვნელოვანია მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლი საზოგადოებრივი აზრისა და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანოების უზრუნველყოფაში.

ეს ბადებს კითხვას, თუ რატომ მოქმედებს ზოგიერთი სამშვიდობო ოპერაცია სხვებზე უკეთ. მაგალითად, ოპერაციამ სამხრეთ ოსეთში საზოგადოდ კმაყოფილება გამოიწვია, მაშინ, როცა ოპერაცია აფხაზეთში მკაცრი კრიტიკის საგნად იქცა. ერთ–ერთი აღნიშნული მიზეზი გახლდათ უკეთესი დისციპლინა და წესრიგი ოსეთში განლაგებული ძალების რიგებში. ამასთან ერთად, გამოითქვა ის აზრიც, რომ ეს ძალები უნდა სარგებლობდნენ მინიმალური ნდობით მოსახლეობის მხრიდან. როგორც ჩანს, აფხაზეთში ნდობის ხარისხი ძალზე დაბალია. აღინიშნა ძალების მრავალეროვნული ხასიათი და სინანული გამოითქვა იმის გამო, რომ დსთ–ს სამშვიდობო ძალები მხოლოდ რუსეთის ჯარისკაცებისგან შედგებიან. მნიშვნელოვანი ელემენტი აღმოჩნდა სამშვიდობო ოპერაციის ზონიდან გასვლის სტრატეგია. ჩანს, რომ ოპერაციის დეტალური გეგმაზომიერი

განხორციელების არარსებობის პერსპექტივამ შეიძლება გამოიწვიოს პოლიტიკური სიტუაციის გაყინვა და ამგვარად, სამშვიდობო ძალების შემდგომი ყოფნა შეანელებდა მისი მოლაპარაკების გზით მოწესრიგებას. აფხაზეთის შემთხვევაში სამშვიდობო ძალები ახლა განიხილება უფრო როგორც "სასაზღვრო ჯარი" საქართველოსა და მის რეგიონს – აფხაზეთს შორის. სასარგებლოდ იყო მიჩნეული ოპერაციისათვის გაწეული მონიტორინგი, განსაკუთრებით ენების, და უფრო ზოგადად, ქვეყნაში არსებული რეალიების ცოდნა. ასეთი უარყოფითი ელემენტების თანხვედრამ აფხაზეთში გამოიწვია ამოცანის სუსტად შესრულება და ცუდი განწყობილება. ყველა შეთანხმება დაირღვა, უსაფრთხოების დონე დაბალია (განსაკუთრებით განნაღმვის თვალსაზრისით), რასაც შედეგად ადამიანების დაშავება და სასიკვდილო შემთხვევები მოჰყვა.

ამ დებატებიდან შეიძლება ზოგიერთი სამოქმედო პრინციპის გამოტანა, რომლებიც დაეხმარებოდნენ და წარმატებით მოქმედების საშუალებას მისცემდნენ სამშვიდობო ოპერაციას:

- ის უნდა ჩატარდეს კანონისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ფარგლებში;
- ის უნდა ჩატარდეს სამოქალაქო კონტროლის ქვეშ;
- გამოყენებული უნდა იქნეს მინიმალური ძალის პრინციპი და სამშვიდობო ძალები შესაბამისად უნდა იყვნენ გაწვრთნილნი და აღჭურვილნი;
- შეირაღებული ძალები უნდა იყვნენ მიუკერძოებლები, მათ უნდა მიეცეთ ზუსტი მანდატი და ადექვატური უფლებები, რაც მათ საშუალებას მისცემს ისინი შესაბამისად განახორციელონ, ისე, რომ გააჩნდეთ ნდობის გარკვეული დონე;
- ძალები მრავალეროვანი უნდა იყვნენ;
- სრულიად აუცილებელია გასვლის მკაფიო სტრატეგია;
- უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი მონიტორინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დასკვნა

## წინადადებები რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში თანამშრომლობისათვის

- ნატო-მ გამოთქვა წინადადება, რომ მხარს დაუჭერდა რეგიონში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებების ხელშეკრულებისა და დეიტონის შეთანხმებათა მსგავსი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას – ინსპექციების განხორციელებას, ინსპექტორების მომზადებას, შეიარაღებების კონტროლის შესახებ მონაცემთა ბაზების მუშაობას
- თურქულმა მხარემ გამოთქვა წინადადება, რომ რკინიგზითა და მილსადენებით მზარდი მოცულობების ტრანსპორტირების, საზღვრისპირა თანამშრომლობისა და ნებისმიერი სხვა სახის დახმარების მეშვეობით ხელს შეუწყობს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას
- მიღწეულ იქნა ზოგადი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ აუცილებელია გარეშე მხარეთა ძალისხმევის კოორდინაცია, რათა დაეხმარონ რეგიონის ქვეყნებს, გადალახონ იზოლაციის შეგრძნება.
- რამდენადაც პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობა ასე წარმატებით მიმდინარეობს, მისი მოქმედების საზღვრები უნდა გაფართოვდეს და მოიცვას პარტნიორი სახელმწიფოების წინადადებები
- საჰაერო მიმოსვლის კონტროლი შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეგიონული თანამშრომლობის სფერო, შესაძლოა, პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობის ეგიდით
- კრიზისების მენეჯმენტი და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა – მოცემული რეგიონული ბირთვული პროგრამები და გაზრდილი სეისმური აქტივობა (მაგ. თანამშრომლობა წყლის რესურ-

სების მენეჯმენტსა და მდინარის ადიდების კონტროლში ჩეხეთის რესპუბლიკასა და უნგრეთს შორის)

- *პროგრამამ მშვიდობისათვის პარტნიორობა*, როგორც განხორციელების ინსტრუმენტმა, მაგ. IFOR–მა (გაერთიანებული სამშვიდობო ძალები ბოსნიაში ნატო-ს ეგიდით) ბოსნიის არჩევნებში, უნდა შეავსოს უსაფრთხოების სხვა ფუნქციები

- *პროგრამას მშვიდობისათვის პარტნიორობა* შეეძლო მეტი ფუნქციები აეღო თავის თავზე უსაფრთხოებისა და პოლიტიკურ საკითხებში, რათა გამხდარიყო ის ფორუმი, სადაც პარტნიორები შესძლებდნენ ემსჯელათ იმაზე, რაც მათ აწუხებთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

- არასამთავრობო სამუშაო ჯგუფები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნებოდნენ რეგიონულ კონფლიქტებში დაინტერესებული მხარეები, თუმცა, *პროგრამა მშვიდობისათვის პარტნიორობა* მონაწილეობის გარეშე, ვინაიდან ეს პროგრამა, ძირითადად, მუშაობს მთავრობათა შორის დონეზე

- უნდა განისაზღვროს უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ზომების საერთო საფუძველი

- უნდა მოხდეს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია და მეზობელი სახელმწიფოები უნდა ჩაერთონ მოწესრიგებაში ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე

- არსებობს კონფლიქტში მონაწილე ორივე მხრიდან ჟურნალისტებს შორის გაცვლისა და დიალოგის აუცილებლობა

- უნდა შემუშავდეს რეგიონული საინფორმაციო სტრატეგია და ეს უნდა დაიწყოს ცენტრალურ ადგილზე განთავსებული, ფაქტიური და ვირტუალური ინფორმაციის ცენტრის შექმნით

- მოეწყოს სამმხრივი შეხვედრა, საუბარი ან სემინარი და ეთხოვოს ნატო-ს დააფინანსოს ეს ინიციატივა

- მოეწყოს ჟურნალისტების სასწავლებლად გამგზავრება ნატო-ს შტაბ–ბინაში, აგრეთვე, იმ მიზნით, რათა დახმარება გაეწიოთ იმ ახალი ურთიერთობების დამყარებაში, რომლებიც ღრმად გააცნობიერებენ მათ და საშუალებას მისცემენ,ს მოამზადონ დაბალანსებული რეპორტაჟები, ნატო კი შესთავაზებდა კონფლიქტურ მხარეებს შეხვედრისათვის მოსახერხებელ ნეიტრალურ ადგილს.

# ბრაუნის უნივერსიტეტისა და ICCN-ის ერთობლივი სემინარი

## ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში: რეგიონალურ და გლობალურ უსაფრთხოებაზე მათი გავლენა

### პროექტის აღწერა

ბრაუნის უნივერსიტეტთან არსებული ტომას უოტსონის სახელობის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის განვითარების ცენტრმა შეიმუშავა კვლევითი პროექტი თემაზე „ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში“. ეს პროექტი პოსტ-საბჭოურ სივრცეში შიდასახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ურთიერთდაპირისპირებულ ტენდენციებსა და ინტეგრაციას აანალიზებს. პროექტი, ძირითადად, კოოპერაციული და იძულებითი საშუალებების გამოყენების ალბათობასა და რეგიონალურ და გლობალურ უსაფრთხოებაზე გადაწყვეტილებათა მიღების ზეგავლენას განიხილავს.

პროექტი ორწლიანია, 1996 წლის 1 იანვრიდან 1997 წლის 31 დეკემბრამდე და მოიცავს შემდეგს:

1) პროექტი ყოფილ საბჭოთა კავშირში უსაფრთხოების სერიოზული პრობლემების იდენტიფიკაციას მოახდენს. იგი სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიურსა და ეკოლოგიურ სფეროებში უსაფრთხოების დონის მრავალჯერადი შეფასების შესაძლებლობას განიხილავს. შესწავლის მთავარი საგანი გახდება რუსეთის დამოკიდებულება პოსტ-საბჭოურ ოთხ სახელმწიფოსთან: უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი და საქართველო. ამ ოთხ სახელმწიფოს სხვადასხვაგვარი ურთიერთობა აკავშირებს რუსეთთან და ისინი ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონში მდებარეობენ. მათთან მიმართებაში აღმოცენებული პრობლემები შეიძლება ყოფილ საბჭოთა კავშირში უფრო ფართო ტენდენციების მაჩვენებელი გახდეს. რუსეთის მომავალი პოზიციისათვის და სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებისათვის ამ გლობალურ სისტემაში ურთიერთობათა შედეგები გადამწყვეტი იქნება და საგრძნობი გავლენა ექნება ამ რეგიონიდან მორსმიმავალ უსაფრთხოებზე.

2) 2005 წლამდე რეგიონში ურთიერთობათა ევოლუციის მიზნით პროექტი შეიმუშავებს ალტერნატიულ „სამომავლო სცენარებს" ორ ძირითად საკითხზე: პირველი საკითხი – დეზინტეგრაცია-ინტეგრაცია, მეორე – კოოპერაცია-ძალდატანება.

3) პროექტი შესთავაზებს რეგიონში არსებული სახელმწიფოებისათვის, დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის პოლიტიკაში სამოქმედო ვარიანტებს, გამოეხმაურება პროექტში იდენტიფიცირებულ პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფოების როლს, რომელიც მათ შეუძლიათ ითამაშონ უფრო მშვიდობიანი, კოოპერაციული გადასვლისათვის. ყურადღება დაეთმობა აგრეთვე რეგიონის გარეთ მყოფი მთავრობებისა და მრავალმხრივი ორგანიზაციების შესაძლებლობებს პოსტ-საბჭოური სახელმწიფოებისა და მათი მეზობელი ქვეყნებისათვის უფრო უსაფრთხო მომავალის უზრუნველსაყოფად.

კვლევა ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

- უპირველეს ყოვლისა, ამორჩეულ ხუთ პოსტ-საბჭოურ სახელმწიფოში კვლევითი ინსტიტუტებისა და მეცნიერების მჭიდრო თანამშრომლობა.
- ექსპერტთა და საზოგადოებრივი აზრის განხილვა ყოველ ამ ქვეყანაში.
- კოოპერაციული, "ურთიერთუსაფრთხო" გადაწყვეტილებების მოძიება რეგიონში აღმოცენებული უსაფრთხოების დილემების გადასაწყვეტად.

კვლევის კოორდინირებას მოახდენს საგარეო პოლიტიკის განვითარების ბრაუნის ცენტრის კვლევითი ჯგუფი, რომელიც თავს მოუყრის ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში პოსტ-საბჭოური რეგიონის საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელ სპეციალისტებს და ექსპერტებს. კვლევის მეთოდები: საგარეო პოლიტიკის განვითარების ცენტრის რეგიონალური ექსპერტების მიერ რეგიონში მოვლენების უწყვეტი დაკვირვება, სემინარები და სიმპოზიუმები ბრაუნის უნივერსიტეტში, რათა განისაზღვროს პროექტის კონცეპტუალური საფუძვლები; ორმხრივი კონფერენციები ხუთ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოში; ყველა რეგიონიდან ექსპერტების მრავალმხრივი კონფერენციები და ამ ხუთ ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის ანალიზი. ამ კვლევითი სამუშაოების შედეგები გავრცელდება პროექტის რეგულარული მოხსენებების, სამეცნიერო კონფერენციების, რეგიონში, დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შემაჯამებელი მოხსენებებისა და აგრეთვე პროექტის თაობაზე 1998 წელს გამოსაცემი წიგნის საშუალებით.




მარცხნიდან მარჯვნივ: ელჩი ანატოლი კასიანენკო, დ-რი [illegible], დ-რი სტივენ [illegible], პროფ. რეინ [illegible], დ-რი გიორგი ხუციშვილი, ბ-ნი გიორგი თარხან-მოურავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კვლევითი პროექტი „ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში: მათი რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე გავლენა“

*კვლევითი პროექტის კოორდინატორები:*

ამშ-ში:

ბრაუნის უნივერსიტეტთან არსებული ტომას უოტსონის სახელობის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის საგარეო პოლიტიკის განვითარების ცენტრი, პროვიდენსი, როდ აილენდი:

პ. ტერენს ჰოპმანი, კვლევათა დირექტორი, უოტსონის ინსტიტუტთან არსებული გლობალური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი;

დომინიკ არელი, უოტსონის ინსტიტუტის მკვლევარი;

პროფესორი მარკ გარისონი, უოტსონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, საგარეო პოლიტიკის განვითარების ცენტრის დამსახურებული ექს-დირექტორი.

არკადი იანიშევსკი, უოტსონის ინსტიტუტის კვლევათა უმცროსი ასისტენტი.

პოსტ-საბჭოურ რეგიონში:

ბელორუსია: ვიაჩესლავ პაზნიაკი, პოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორი, მინსკი.

საქართველო: გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, თბილისი.

ყაზახეთი: უმირსერიკ კასენოვი, სტრატეგიულ კვლევათა ყაზახეთის ინსტიტუტის დირექტორი, ალმატი.

რუსეთი: ანდრეი ზაგორსკი, საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტის ვიცე-რექტორი, მოსკოვი.

უკრაინა: სერგეი პიროჟკოვი, დირექტორი და ლეონიდ კისტერსკი, სტრატეგიულ კვლევათა ეროვნული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, კიევი.

პროექტის კვლევა ფინანსდება კარნეგის კორპორაციისა (ნიუ-იორკი) და ბრაუნის უნივერსიტეტთან არსებული ტომას უოტსონის სახელობის საერთაშორისო კვლევათა ინსტიტუტის (აშშ) მიერ გაცემული გრანტებით.

## 2006 წლისათვის პოსტ-საბჭოურ რეგიონში სახელმწიფოებრივი უშიშროების ოთხი სცენარი

### შესავალი

ჩვენი კვლევის მიზანია, შევაფასოთ უსაფრთხოებისათვის ალტერნატიული შესაძლებლობები “პოსტ-საბჭოური რეგიონის შუაგულში“ 2006 წლისათვის და განისაზღვროს თუ როგორ შეესაბამება ყოველი სცენარი რეგიონში არსებული სახელმწიფოების ინტერესებსა და პრეროგატივებს. ჩვენი დავალების შესასრულებლად ამერიკელ მონაწილეებს და მათ პარტნიორებს დასჭირდებათ რეგიონში მოარული შეხედულებების შესახებ წარმოდგენის ქონა. და ამიტომ გთხოვთ, პოსტ-საბჭოური შიდასახელმწიფოებრივი და სახელმწიფოთაშორისი უსაფრთხოების ოთხ ჰიპოთეტიურ სცენარს გამოეხმაუროთ.

შემოთავაზებული ოთხი სცენარი საგრძნობლად განყენებული და ჰიპოთეტურია. ისინი შემუშავდა როგორც სუფთა ნიმუშები, რომლებიც ასახავენ საკმაოდ ერთმხაროვან და აქედან გამომდინარე უკიდურეს პირობებს.

ეს სცენარები გამოააშკარავებენ კრიტიკულ საკითხებს და დისკუსიას ბიძგს მისცემენ. ჩვენ ვაღიარებთ, რომ მომავალი დრო, ალბათ, უფრო რთული და ორაზროვანი იქნება და უცილობლად გააერთიანებენ ელემენტებს რომელიმე ან ყველა სცენარიდან. მიუხედავად ყველაფრისა, მოცემული ვარიანტები ასახავენ სრულიად განსხვავებულ მიმართულებებს, რომლებიც შეიძლება აღმოცენდეს, თუნდაც ძალზე გამარტივებული ფორმით.

ამ გამარტივების ერთი ასპექტი გახლავთ ის, რომ სცენარები გვთავაზობენ პოსტ-საბჭოური რეგიონისადმი დამოკიდებულების ერთგვაროვნებას. ამავე დროს ვაღიარებთ, რომ რეგიონის ნებისმიერ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, მაგალითად რუსეთი-ყაზახეთი და რუსეთი-უკრაინა, შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს. ე ს გახლავთ ერთი იმ მიზეზთაგანი, რომლის გამოც ვეცნობით გამოხმაურებებს სცენარებზე ყოველი ხუთი სახელმწიფოდან, რათა გამოავლინონ სახელმწიფოთა დამოკიდებულებების მნიშვნელოვანი სხვაობა.

ჩვენ აგრეთვე ვაღიარებთ, რომ შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა ვარიანტები გამომდინარე ამ სცენარებიდან, სადაც იარსებებს ორი ან მეტი კომბინაცია ვარიანტებისა და უნიკალური შესაძლებლობების, რომლებიც არ იყვნენ გათვალისწინებული დასაწყის სტადიაში. მაგალითად, რომელიმე სახელმწიფოს ერთი ნაწილი შეიძლება ინტეგრირებული იყოს

ნებით ან ძალდატანებით რუსეთში, ხოლო ამავე დროს დარჩენილი ნაწილები შეიძლება უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდნენ. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ მოვლენათა განვითარება შეიძლება დაემსგავსოს ერთ-ერთ სცენარს მომავალი რამოდენიმე წლით, ხოლო შემდეგ შეიცვალოს და გადავიდეს სხვა სცენარზე. გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ყველა ეს შესაძლებლობები სცენარებზე თქვენი აზრის გამოხატვისას.

მიუხედავად ყოველგვარი ვარიანტებისა დარწმუნებული ვართ, რომ ურთიერთობათა ერთი მნიშვნელოვანი განზომილება პოსტ-საბჭოურ რეგიონში არის ის, რომელიც ვარირებს ინტეგრაცია-დეზინტეგრაციის ღერძზე. ანუ, სახელმწიფოებმა, რომლებიც დამოუკიდებლები გახდნენ 1991 წელს, შეიძლება დაახლოება დაიწყონ და სუვერენობათა სრული გაერთიანებაც მოხდეს. მეორეს მხრივ, ისინი ერთმანეთისაგან კიდევ უფრო დამოუკიდებლები შეიძლება გახდნენ და დეზინტეგრაციული ტენდენციები გამყარდეს, რაც მათ ახალი, უფრო მეტად ავტონომიური, შიდასახელმწიფოებრივი ოლქებისა და სულაც ახალი, სუვერენული სახელმწიფოების შექმნისაკენ უბიძგებს.

მეორე მნიშვნელოვანი განზომილება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა საშუალებებს ეხება. ერთის მხრივ, სახელმწიფოებმა შეიძლება ზეწოლა გამოიყენონ, თუნდაც სამხედრო გზით იძულება, მაგრამ გავლენისა და შანტაჟის უფრო სხვა საშუალებებია მისალოდნელი. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფოთაშორისი და შესაძლებელია შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობებში კონფლიქტის გაღრმავებასაც ჰქონდეს ადგილი. სხვა მხრივ, სახელმწიფოებმა შეიძლება ითანამშრომლონ ნებაყოფლობითი თანხმობითა და მშვიდობიანი, მაგალითად, მოლაპარაკებების, ურთიერთმოგვარებადი და შემგუებლური საშუალებების გამოყენებით.

ამ ორი განზომილების შერევა წარმოშობს სხვადასხვაგვარ ოთხ სცენარს, რომლებიც სქემატურადაა გამოხატული 1 დიაგრამით. ძალზე გვაინტერესებს ჩვენი დისკუსიის მსვლელობისას თქვენი აზრი ამ სცენარების შესახებ. კერძოდ, გვაინტერესებს თქვენი პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- საერთოდ, რა იქნება თქვენი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ყველაზე დიდი მუქარა 2006 წლისათვის?
- შემოთავაზებული ოთხი სცენარიდან რომელი იქნება ყველაზე მოსალოდნელი პოსტ-საბჭოურ რეგიონში არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით?
- მოცემული ოთხი სცენარიდან, რომელი მიგაჩნიათ რეალურად, რომელ ვარიანტს აირჩევდით თქვენ?

- როგორ შეიძლება თქვენს მიერ მოწონებული სცენარისაკენ უბიძგოთ მოვლენებს? როგორი პოლიტიკოსები უფრო ირწმუნებენ თქვენს მიერ მოწონებული სცენარის ვარიანტს?
- ვინ იმყოფება საუკეთესო პოზიციაში, რათა ამ ტენდენციებზე გავლენა იქონიოს? გარე სახელმწიფოთა მთავრობები, კერძოდ, დასავლეთ ევროპა და ამერიკა? რეგიონული და გლობალური მრავალმხრივი ორგანიზაციები, კერძოდ, გაერო და ეუთო?

## ოთხი სცენარი

### სცენარი №1. ინტეგრაცია რუსეთის ბატონობით.

ძირითადი ტენდენცია – ინტეგრაცია.

ინტეგრაციის პროცესში რუსეთი დომინირებს და უზრუნველყოფილია რუსეთის ზეგავლენით.

რუსეთი ინარჩუნებს სრულ სუვერენიტეტს, მაგრამ სხვა სახელმწიფოები ნაწილობრივ ან სულ დაკარგავენ ნამდვილი სუვერენიტეტის არსს.

პოსტ-საბჭოური მრავალმხრივი ორგანიზაციები რუსეთის მიერ არის დომინირებული, ანდა მთავარ როლს არ თამაშობენ.

### სცენარი №2. კოოპერაციული ინტეგრაცია.

პრიორიტეტული ტენდენცია – ინტეგრაცია.

ინტეგრაციის პროცესი ერთობლივად კონტროლირდება ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიერ, რომლებიც ნებაყოფლობითი თანამშრომლობით მოქმედებენ.

მონაწილე სახელმწიფოები ნაწილობრივ ინარჩუნებენ და „უნაწილებენ" თავიანთ სუვერენობას (როგორც ევროპულ კავშირში).

პოსტ-საბჭოური მრავალმხრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და ერთი სახელმწიფოს მიერ არ არიან დომინირებულები.

### სცენარი №3. დაურეგულირებელი დეზინტეგრაცია.

დომინირებული ტენდენცია – დეზინტეგრაცია.

დაურიგულირებადი და უწესრიგო დეზინტეგრაცია წარმოშობს კონფლიქტებს.

პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებს შეუძლიათ შეინარჩუნონ სუვერენიტეტი ან თვითონვე დაიშალონ.

პოსტ-საბჭოური მრავალმხრივი ორგანიზციები არაეფექტურნი არიან ან არ არსებობენ.

## სცენარი №4. კოოპერაციული დამოუკიდებლობა.

დომინირებული ტენდენცია – დეზინტეგრაცია.

მართვადი და მშვიდობიანი ურთიერთმომრიგებლური დეზინტეგრაცია.

პოსტ-საბჭოური სახელმწიფოები ინარჩუნებენ სრულ სუვერენიტეტსა და მთლიანობას.

პოსტ-საბჭოური მრავალმხრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვანი არიან და არსებობენ. დომინირებს ორმხრივი დიპლომატია.

## სცენარი №1

*ინტეგრაცია რუსეთის ბატონობით*

ამ სცენარში დომინირებადი ტენდენცია – რუსეთის ირგვლივ ინტეგრაცია, და რუსეთი მიმართავს ნებისმიერ ხერხს, რომელიც მიზანის მისაღწევად სჭირდება. ინტეგრაციის პროცესი, მოსალოდნელია, რუსეთის ქმედებები დომინირებადი იქნება და რუსეთი შეეცდება ზეწოლა მოახდინოს, რათა სხვა პოსტ-საბჭოური ქვეყნების მიერ მისი მოთხოვნებისადმი ქვემემრდომობა უზრუნველყოს.

ამისათვის იძულებაში შეიძლება იგულისხმებოდეს პირდაპირი სამხედრო ზეწოლა, მაგრამ უფრო მოსალოდნელია ცდია ან ფარული ფორმის გავლენა, რომელიც ეკონომიკის ანდა სხვა სახის (მაგალითად, ენერგიით მომარაგება, ეთნიური, ლინგვისტური და სხვა შიდასახელმწიფოებრივი დანაყოფები) ექსპლუატირებას მოახდენს. ამ სახის მქონე ინტეგრაციაში რუსეთი საკუთარ სრულ ავტონომიას ინარჩუნებს. სხვა სახელმწიფოები შეიძლება ფორმალურად დამოუკიდებელნი დარჩნენ ან ვერ დარჩნენ, მაგრამ ისინი სუვერენიტეტის ნამდვილ არსს ნაწილობრივ ან სრულიად დაკარგავენ. სუვერენიტეტის დაკარგვის ხარისხი შესაძლებელია სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, ერთი სახელმწიფო (ვთქვათ უკრაინა) შესაძლოა გარკვეულწილად სუვერენული დარჩეს და რუსეთის სტრატეგიული პარტნიორის როლი ითამაშოს იმ დროს, როცა სხვები დამოკიდებული ვასალის სტატუსამდე იქნენ დაყვანილნი. 1991 წელს დარღვეული ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები ყველა შემთხვევაში აღდგება. უკიდურეს შემთხვევაში, მთელი პოსტ-საბჭოური რეგიონისა და მისი დიდი ნაწილის შიგნით ერთი სუვერენული სახელმწიფო ისევ შეიძლება აღმოცენდეს.

აგრეთვე მოსალოდნელია რომ შიდა და საგარეო ზეგავლენათა აღრევას შეუძლია გამოიწვიოს ზოგიერთი სახელმწიფოს დაშლა (ვთქვათ, ყაზახეთი, საქართველო და უკრაინა) და რუსეთში ამ სახელმწიფოთა ნაწილების შემდგომი ინკორპორაცია.

პოსტ-საბჭოურ რეგიონში მრავალმხრივ ორგანიზაციებს (მაგალითად, დსთ ან მისი მემკვიდრეები) შეეძლებათ ამ სცენარში ინტეგრაციის განხორციელებისას მნიშვნელოვანი როლი ან ითამაშონ ან ვერ ითამაშონ, მაგრამ ნებისმიერი ასეთი როლის შემსრულებელი ორგანიზაცია რუსეთის მიერ იქნება დომინირებული.

## სცენარი №2
*კოოპერაციული ინტეგრაცია*

ამ სცენარში, როგორც პირველში, დომინირებადი ტენდენცია ინტეგრაცია გახლავთ, მაგრამ ძირითადად კოოპერაციული და არა ძალდატანებითი გზით ხორციელდება. პოსტ-საბჭოური რეგიონის გულში ნებაყოფლობითად განისაზღვრება ინტეგრაციის ნებისმიერი ხარისხის ფორმა და განსაღვრული, შეთანხმებული იქნება ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიერ. ორმხრივი და ერთსულოვანი შემგუებლური სული იმეფებს რეგიონში სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. ყოველ პოსტ-საბჭოური სახელმწიფოს შიგნით კონფლიქტებისა და დაძაბულობის განმუხტვის მიზნით გამოყენებული იქნება კოოპერაციული საშუალებები. ხშირ შემთხვევაში ასეთი სახის ინტეგრაციის პროცესში მონაწილე სახელმწიფოები სუვერენიტეტის ძირითად ნაწილს ინარჩუნებენ, მაგრამ შეუძლიათ თავიანთი სუვერენობის ნაწილი გალაავალონ რეგიონში მომქმედ საერთო მრავალმხრივ ორგანიზაციებს. ამავე დროს ეს ორგანიზაციები ერთი სახელმწიფოს მიერ დომინირებული არ იქნებიან. ყველა სახელმწიფო ფორმალურად თანასწორუფლებიანია, მაგრამ ორგანიზაციებში უცილობლად სხვადასხვაგვარი გავლენა ექნებათ. სუვერენობა გარკვეულწილად „დაყოფილი“ ან „გაერთიანებული“ იქნება, როგორც ეს დასავლეთ ევროპაში, ევროპულ კავშირში ხდება.

მაგრამ ზოგიერთ სცენარში ინტეგრაციის მიზეზი პატარა სახელმწიფოების საკუთარი გზით განვითარების უუნარობა ან გულგრილობაა, რამაც ისინი შესაძლოა სუვერენიტეტის მნიშვნელოვანწილად დაკარგვამდე ან ამ სახელმწიფოების სხვების, უფრო ძლიერი სახელმწიფოების, მიერ სრულ (მართალია ნებაყოფლობით) აბსორბციამდე მიიყვანოს.

უსაფრთხოება მთელი რეგიონისათვის განუყოფლად განიხილება და არცერთი სუბრეგიონი არ გრძნობს თავს უსაფრთხოებაში თუ სხვა დანარჩენი დაცულად არ ეგულება. ასე და ამგვარად, წმინდა ეროვნულ და სუბრეგიონულ უსაფრთხოებაზე "საერთო უსაფრთხოება" დომინირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენარი №3

*დაურეგულირებადი დეზინტეგრაცია*

მესამე სცენარში წამყვანი ტენდენცია დეზინტეგრაცია გახლავთ. სახელმწიფოები და სუბრეგიონები ცდილობენ მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვონ, მაგრამ ეს პროცესი დიდი არეულობებისა და დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობს. სახელმწიფოებმა შესაძლოა აღმოაჩინონ, რომ მოსუსტებული, მაგრამ ამავე დროს დაპყრობელი რუსეთის აბსორბციას მხოლოდ აქტიური წინააღმდეგობითა და დამოუკიდებლობის განმტკიცებით, მიუხედავად რუსეთის მცდელობებისა თავისი ბატონობის დასამკვიდრებლად, უშველონ თავს. ამ სცენარის მიხედვით, ისინი ნებისმიერი აუცილებელი საშუალებებით წარმატებით აღწევენ და ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას.

ასეთი რეალური დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოიცავს რისკის ფაქტორსაც, რომ დეზინტეგრაციის პროცესი არარეგულირებადი, ჩახლართული და ქაოტური გზით ივლის. ამ ფაქტმა შეიძლება სხვადასხვა დონეზე კამათი და თუნდაც შეიარაღებული კონფლიქტები აღმოაცენოს – ეთნიურ ანდა სხვა ჯგუფებში, სახელმწიფოთა შორის, ყოველ სახელმწიფოში სუბეროვნულ რეგიონებს შორის და აგრეთვე იმ რეგიონებში, რომლებიც სახელმწიფოთა შორის არსებულ საზღვრებს კვეთენ. ყოველი სახელმწიფო, ყოველი ჯგუფი, ან ყოველი ოლქი შეიძლება შეეცადოს თავისი ინტერესების რეალიზაციას პოსტ-საბჭოური რეგიონის უსაფრთხოების გაუთვალისწინებლად. რეგიონში სახელმწიფოთაშორისი და ჯგუფის შიდა დამოკიდებულებები ძირითადად ანარქიული ხასიათისა იქნება.

თუ ამ ინტეგრაციის პროცესი არსებული სახელმწიფოების დაშლით გაგრძელდება, პოსტ-საბჭოური სახელმწიფოები ვეღარ შესძლებენ სრული სუვერენიტეტის შენარჩუნებას ან სიცოცხლისუნარიან და სტაბილურ სახელმწიფოებად დამკვიდრებას. უკიდურეს შემთხვევაში, მთელს რეგიონში სამოქალაქო ომები დაიწყება.

პოსტ-საბჭოური მრავალმხრივი ორგანიზაციები (როგორიცაა დსთ) კიდევ იარსებებენ, მაგრამ მათი სისუსტე კერძო კონფლიქტების გადაუწყვეტილობაში და დეზინტეგრაციული ტენდენციების შეჩერების უუნარობაში გამოჩნდება. ამავე დროს, ასეთი ტენდენციების არსებობა ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობას შეუშლის ხელს.

## სცენარი №4

ამ სცენარში, ისე როგორც №3-ში, ძირითადი ტენდენცია დეზინტეგრაცია იქნება. სხვებისაგან განსხვავებით, ამ სცენარში ეს ტენდენცია ნებაყოფლობითი, ურთიერთთან მოლაპარაკების და მშვიდობიანი მოწესრიგებული გზით მიმდინარეობს. მესამე სცენარისაგან განსხვავებით, პოსტ-საბჭოური სახელმწიფოები შესძლებენ შეინარჩუნონ და განიმტკიცონ კიდევაც თავიანთი დამოუკიდებლობა და საკუთარი ტერიტორიაზე სრული სუვერენიტეტი. ისინი შესძლებენ მომაგრდნენ როგორც სიცოცხლისუნარიანი, სტაბილური და გარკვეულწილად დამოუკიდებელი ქვეყნები. ასე და ამგვარად, ზოგიერთ ავტონომიებს შესაძლოა ნებაყოფლობით მიეცეს მაღალი ხარისხის ავტონომია უკვე არსებულ სახელმწიფოებში.

ამ სცენარში სახელმწიფოები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს და თანამშრომლობენ კიდევაც, მაგრამ №2 სცენარისაგან განსხვავებით, ისინი შეეწინააღმდეგებიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საგრძნობლად შებღალვას კოოპერაციის გულისათვის.

მათი ურთიერთდამოკიდებულება და დამოკიდებულება სხვებთან პოსტ-საბჭოურ რეგიონში ძირითადად ორმხრივი დიპლომატიით დახასიათდება, ვაჭრობის სფეროში ან ეკოლოგიური საშიშროების თავიდან აცილების სფეროებში კოოპერაცია მოლაპარაკებების საფუძველზე იმოქმედებს. ამ პროცესში ურთიერთხელსაყრელი გადაწყვეტილებების მიღება ძირითადი ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის დათმობის გარეშე უნდა ხდებოდეს.

თუ პოსტ-საბჭოური მრავალმხრივი ორგანიზაციები იარსებებენ პოსტ-საბჭოურ რეგიონში, მათ მხოლოდ სიმბოლური, მოლაპარაკებათა გამართვისა და მაკოორდინირებელი ფუნქციები დაეკისრებათ. ისინი მხოლოდ ურთიერთთან შეთანხმებების ან სულაც საერთო მიზანის მისაღწევად კონსენსუსის საფუძველზე იმოქმედებენ. მაგრამ ისინი თავიანთ ეფექტურობაში შეზღუდულები იქნებიან, მაგალითად: გარედან მომავალი მუქარისაგან საერთო დაცვისათვის დახმარების აღმოჩენაში, ეკონომიკური ინტეგრაციის მოქმედებისა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისას. ამ სფეროებში ნებისმიერი ეფექტური სანქციების ამოქმედება მხოლოდ ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე მოხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

მონაწილეთა სია
5

შესავალი

მშვიდობიანი კავკასიისათვის
კონფერენციის „კავკასიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება" ზოგადი მიმოხილვა

ზოგი რამ კავკასიის უკეთ გასაცნობად
13

გამოსვლები გახსნის ცერემონიალზე

*ბ-ნი ირაკლი მენაღარიშვილი,*
*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი*

*ბ–ნი ვერნერ ბაუვენსი, საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი,*
*ნატო-ს პრესისა და ინფორმაციის ბიურო*

*ქ–ნი ალის ჰილი, ასოცირებული დირექტორი,*
*ჯონ დ. და კეტრინ ტ. მაკარტურების ფონდის მოსკოვის ოფისი*
30

ძირითადი მოხსენებები

რა არის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფცია
და რით განსხვავდება ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისაგან
37

სპეციალური თემატური მოხსენებები

მშვიდობის ძიება აფხაზეთში
*ბ-ნი უილიამ კორტნი, აშშ-ს ელჩი საქართველოში*

ნატო-ს გაფართოება
*ბ-ნი ვერნერ ბაუვენსი, საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, ნატო-ს პრესისა და ინფორმაციის ბიურო*

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა XXI საუკუნის ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში
*პროფესორი ალექსანდრე ბაინოროვი, ეუთო-ს მისია საქართველოში*

55

---

ბრეინსტორმინგი

I. რეგიონული უსაფრთხოება და მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამის გავლენა
*ვიცე ადმირალი გრეგსონი, სხდომის თავმჯდომარე და პოლკოვნიკი კალუე, ანგარიშის შემდგენი*

II. რუსეთისა და თურქეთის წვლილი რეგიონულ უსაფრთხოებაში:
*დოქტორი ალექსანდრე რონდელი, სხდომის თავმჯდომარე და ქ-ნი ქენდი გრინი, ანგარიშის შემდგენი*

III. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი რეგიონულ უსაფრთხოებაში
*დოქტორი ალექსანდრე რონდელი, თავმჯდომარე და ქ-ნი მარია ბარლეგი, ანგარიშის შემდგენი*

IV. საზოგადოება და რეგიონული კონფლიქტების სამხედრო საშუალებებით შეკავება
*დოქტორი გიორგი ხუციშვილი, თავმჯდომარე და ქ-ნი მიშელ ბოკოგი, ანგარიშის შემდგენი*

74

---

დასკვნა

წინადადებები რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში თანამშრომლობისათვის

94

ბრაუნის უნივერსიტეტისა და ICCN-ის ერთობლივი სემინარი

ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში: რეგიონალურ და გლობალურ უსაფრთხოებაზე მათი გავლენა

პროექტის აღწერა

კვლევითი პროექტი "ინტეგრაცია და დეზინტეგრაცია ყოფილ საბჭოთა კავშირში: მათი რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებაზე გავლენა"

97

2006 წლისათვის პოსტ-საბჭოურ რეგიონში სახელმწიფოებრივი უშიშროების ოთხი სცენარი

101

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა გამომცემლობაში „ნეკერი“

n 3/1
F 77.345
3
ეროვნული
ბიბლიოთეკა